



სამართლებრივი
დოკუმენტების კრებული

СБОРНИК ПРАВОВЫХ ДОКУМЕНТОВ

COLLECTION OF LEGAL DOCUMENTS

Часть I I

Тбилиси
2009

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს მეორ გამოცემას სამართლებრივი პუბლიკაციების სერიიდან, რომელიც გამოიცემა საქართველოს საერთაშორისო ახალგაზრდული ასოციაციის მიერ, პროექტის ფარგლებში “ქალები და ახალგაზრდები პროგრესისა და დემოკრატიული ცვლილებისათვის”, პროექტი ფინანსდება ევრო კომისიის მიერ.

მოცემულ გამოცემაში თანდართულია ევროპის საბჭოს საერთაშორისო დოკუმენტები, საქართველოს სახელმწიფოს მიერ შემუშავებული კონცეფციებს და ნორმატიულ აქტებს, რომელიც წარმოადგენს სახელმწიფოს პოლიტიკის საფუძვლებს ეთნიკური უმცირესობების დაცვისა და ინტეგრაციის სფეროში.

მოცემული დოკუმენტაციის ცოდნა დაეხმარება მოსახლეობას ეფექტურად დაიცვან საკუთარი უფლებები და ზოგ შემთხვევაში თავი აარიდონ მათი დარღვევისგან, მოსახლეობას მიეცემა საშუალება მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ხელისუფლების ყველა დონეზე, ასევე ხმა აიმაღლონ თავიანთი თემების ინტერესების დასაცავად.

Данная книга представляет собой второе издание из серии правовых публикаций, которые будут изданы Международной ассоциацией молодежи Грузии в рамках проекта «Женщины и молодежь за прогресс и демократические изменения», финансируемого миссией Еврокомиссии в Грузии.

Данное издание включает в себя международные документы Совета Европы, а также разработанные государственными органами Грузии концепции и нормативные акты, являющиеся основой политики государства в сфере защиты и интеграции национальных меньшинств.

Знание данных документов поможет населению эффективно защитить свои права и даже избежать, в некоторых случаях, их нарушения, позволит принимать участие в процессе принятия решений на всех уровнях власти, выступать за интересы своих общин.

Bu kitab Avropa Komissiyasının maliyyəəşirdiyi “Qadınlar və gənclər inkişaf və demokratik dəyişikliklər uğrunda” layihəsi çərçivəsində “Gürcüstan Beynəlxalq gənclər Assosiasiyası” tərəfindən hüquqi yayınlar seriyasından əvvəlki nöşrdür.

Milli azlıqların müdafiəsi və interqراسiya sahəsində dövyət siyasətinin əsası olan bu nəşr Avropa Şurasının sənədlərini əhatə edir. Bu sənədləri bilmək əhəliyə öz hüquqlarını müdafiə etmək və hətta müəyyən hallarda pozuntulardan yayınmaqda, hakimiyyətin bütün səviyyələrində qərarlar qəbul etmək prosesində iştiraka kömək etməyə, öz icmasının mənafehinin müdafiəsi uğrunda çıxış etməyə yardımçı olacaqdır.

Սույն գիրքը իրենից ներկայացնում է երկրորդ հրատարակությունը իրական հրատարակություններ շարքից, որոնք լույս կտեսնեն Վրաստանի երիտասարդության միջազգային ասոցիացիայի կողմից «Նանայք և երիտասարդությունը առաջընթացի և ժողովրդավարական փոփոխությունների համար» նախագծի շրջանակներում, որը ֆինանսավորում է Վրաստանում Տվյալազատության առաքելությունը/միսիան/:

Սույն հրատարակությունը իր մեջ ներառում է Տվյալազատության փաստաթղթերը, որոնք հանդիսանում են պետության քաղաքականության հիմքը ազգային փոքրամասնության պաշտպանության և ինտեգրացիան բնագավառում:

Տրված փաստաթղթերի իմացությունը բնակչությանը կօգնի իր իրավունքները պաշտպանելու և, նույնիսկ, որոշ դեպքերում խուսափել դրանք խախտելուց, հնարավորություն կտա մասնակցելու իշխանության բոլոր մակարդակներով որոշումների ընդունման գործընթացին, ելույթ ունենալու իր համայնքի օգտին:

СОДЕРЖАНИЕ

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია.....	5
ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ.....	20
ევროპული ქარტია რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესახებ.....	30
ჰააგის რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლებებთან დაკავშირებით.....	47
ოსლოს რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით.....	51
ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში როვნული უმცირესობების ქვედით მონაწილეობასთან დაკავშირებით.....	55
ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ	62
საქართველოს კონსტიტუცია.....	69
ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაცია გულტილინგვური განათლების საშუალებით.....	101
შემფხნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია	117
იურიდიული ლექსიკონი	123
КОНВЕНЦИЯ О ЗАЩИТЕ ПРАВ ЧЕЛОВЕКА И ОСНОВНЫХ СВОБОД.....	134
РАМОЧНАЯ КОНВЕНЦИЯ О ЗАЩИТЕ НАЦИОНАЛЬНЫХ МЕНЬШИНСТВ.....	148
ГААГСКИЕ РЕКОМЕНДАЦИИ О ПРАВАХ НАЦИОНАЛЬНЫХ МЕНЬШИНСТВ НА ОБРАЗОВАНИЕ.....	157

ОСЛОВСКИЕ РЕКОМЕНДАЦИИ О ПРАВАХ НАЦИОНАЛЬНЫХ МЕНЬШИНСТВ В ОБЛАСТИ ЯЗЫКА	160
ЛУНДСКИЕ РЕКОМЕНДАЦИИ ОБ ЭФФЕКТИВНОМ УЧАСТИИ НАЦИОНАЛЬНЫХ МЕНЬШИНСТВ В ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКОЙ ЖИЗНИ	163
ЕВРОПЕЙСКАЯ ХАРТИЯ О МЕСТНОМ САМОУПРАВЛЕНИИ....	169
КОНСТИТУЦИЯ ГРУЗИИ	175
ИНТЕГРАЦИЯ НАЦИОНАЛЬНЫХ МЕНЬШИНСТВ ЧЕРЕЗ МНОГОЯЗЫЧНОЕ ОБРАЗОВАНИЕ.....	211
НАЦИОНАЛЬНАЯ КОНЦЕПЦИЯ ТОЛЕРАНТНОСТИ И ГРАЖДАНСКОЙ ИНТЕГРАЦИИ	227
ЮРИДИЧЕСКИЙ СЛОВАРЬ.....	233
REGIONAL VƏ YA AZLIQ DILLƏRI HAQQINDA AVROPA XARTIYASI.....	244
MILLI AZLIULARIN MÜDAFIƏSİ HAQUINDA ÇRÇIVƏ KONVENSIYASI.....	258
Թարգմանությունը տրամադրել է ՀՀ Արտաքին գործերի նախարարությունը	264
ԵՎՐՈՊԱՅՆ ԽՈՐՀՈՒՐԴ	278
სასარგებლო ვებ-გვერდები	286
ПОЛЕЗНЫЕ ВЕБ-САЙТЫ	286

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია

რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი

ქვემოთ ხელმომწერმა მთავრობებმა, არიან რა ევროპის საბჭოს წევრები;

გაითვალისწინეს რა 1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ გამოცხადებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;

გაითვალისწინეს რა, რომ ეს დეკლარაცია მიზნად ისახავს მასში გაცხადებულ უფლებათა საყოველთაო და ეფექტიანი აღიარებასა და დაცვის უზრუნველყოფას;

გაითვალისწინეს რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო მეტი ერთიანობის მიღწევა და, რომ ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და მათი შემდგომი რეალიზაცია;

კვლავ ადასტურებენ რა თავიანთ ღრმა რწმენას იმ ძირითადი თავისუფლებებისა, რომლებიც არის მსოფლიოში სამართლიანობისა და მშვიდობის საფუძველი და, რომელთა განმტკიცება საუკეთესო საშუალებით ხდება, ერთი მხრივ, ეფექტიანი დემოკრატიული პოლიტიკითა და მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა საერთო გაგებითა და მათი დაცვით, რაზეც ისინი დამოკიდებულნი არიან;

გადაწყვიტეს რა, როგორც ევროპული ქვეყნების მთავრობებმა, რომელნიც არიან თანამოაზრენი და აქვთ პოლიტიკური ტრადიციების, იდეალების, თავისუფლებისა და სამართლის უზენაესობის საერთო მემკვიდრეობა, გადადგან პირველი ნაბიჯები, საყოველთაო დეკლარაციაში დადგენილ, ცალკეულ უფლებათა კოლექტიური განხორციელებისათვის,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1 ადამიანის უფლებათა პატივისცემის ვალდებულება

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში, ყველასათვის უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I ნაწილში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

ნაწილი I - უფლებები და თავისუფლებები

მუხლი 2 სიცოცხლის უფლება

1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება დაცულია კანონით. არავის შეიძლება ნაერთვას სიცოცხლე განზრახ, გარდა კანონით გათვალისწინებული დანაშაულისათვის, პირის მსჯავრდების შემდგომ სასამართლოს განაჩენის აღსრულებისას.

2. სიცოცხლის წართმევა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგოდ ჩადენილ ქმედებად, როდესაც იგი არა უმეტეს აბსოლუტურად აუცილებელი ძალის გამოყენების შედეგია:

ა) ნებისმიერი პირის არამართლზომიერი ძალადობისაგან დაცვა;

ბ) უკანონო დაკავების ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევისთვის ხელის შეშლა;

ც) აჯანყების ან ამბოხების ჩახშობისათვის კანონიერად განხორციელებული მოქმედება.

მუხლი 3 ნაშემის აკრძალვა

არავინ შეიძლება დაექვემდებაროს ნაშემას ან არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას.

მუხლი 4 მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა

1. არავინ შეიძლება იყოს მონობაში ან ყმობაში;

2. არავის შეიძლება მოეთხოვოს იძულებითი ან სავალდებულო სამუშაოს შესრულება;

3. ამ მუხლის მნიშვნელობით ტერმინი იძულებითი ან სავალდებულო სამუშაო არ მოიცავს:

ა) ნებისმიერ სამუშაოს, რომელიც უნდა შესრულდეს ამ კონვენციის მე-5 მუხლის დებულებების შესაბამისად, ჩვეული წესით განხორციელებული თავისუფლების აღკვეთისას ან ასეთი თავისუფლების აღკვეთისაგან პირობითი გათავისუფლების განმავლობაში;

ბ) სამხედრო ხასიათის ნებისმიერ სამსახურს, ან სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვლად დაკისრებულ სამსახურს იმ ქვეყნებში, სადაც შინაგანი მრწამსის თანახმად, სამხედრო სამსახურის გავლის მონინააღმდეგენი აღიარებულნი არიან;

ც) ნებისმიერ სამსახურს, რომელიც დაკისრებულია საგანგებო მდგომარეობის ან უბედური შემთხვევის დროს, რაც საფრთხეს უქმნის საზოგადოების სიცოცხლეს ან კეთილდღეობას;

დ) ნებისმიერ სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც შეადგენს ჩვეულებრივ სამოქალაქო ვალდებულებათა ნაწილს.

მუხლი 5 თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პიროვნული უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდგომი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის თანახმად:

ა) კომპეტენტური სასამართლოს მიერ მსჯავრდების შემდგომ პირის კანონიერი დაპატიმრება;

ბ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება სასამართლოს კანონიერი გადაწყვეტილების შეუსრულებლობისათვის ან კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;

ც) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგენის მიზნით, თუ არსებობს სამარ-

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

თაღდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი ან, როდესაც ეს საფუძვლიანად მიჩნეულია აუცილებლად, პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ან ჩადენის შემდგომ მისი გაქცევის თავიდან ასაცილებლად;

დ) არასრულწლოვანის დაკავება კანონიერი გადაწყვეტილების საფუძველზე საგანმანათლებლო ზედამხედველობის მიზნით ან მისი კანონიერი დაკავება უფლებამოსილი კომპეტენტური სასამართლო ორგანოს წინაშე მისი წარდგენის მიზნით;

ე) ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად პირების, აგრეთვე სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანების ან მანანწალების კანონიერი დაკავება;

ფ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად ან იმ პირისა, რომლის წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები მისი დეპორტაციის ან ექსტრადიციის მიზნით.

2. ყველა დაკავებულს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ ეცნობება მისი დაკავების მიზეზები და მის წინააღმდეგ წაყენებული ყველა ბრალდება.

3. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის (ც) ქვეპუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირი დაუყოვნებლივ წარედგინება მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განხორციელებაზე კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და მას უფლება აქვს სასამართლო პროცესის გონივრულ ვადაში ჩატარებაზე ან პროცესის განმავლობაში გათავისუფლებაზე. გათავისუფლება შეიძლება განპირობებული იყოს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით.

4. დაკავებით ან დაპატიმრებით თავისუფლებადკვეთილ ყველა პირს უფლება აქვს სასამართლო პროცესზე, რომლითაც სასამართლოს მიერ სწრაფად გადაწყდება დაპატიმრების კანონიერება და გაიცემა ბრძანება გათავისუფლებაზე, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი.

5. ყველას, ვინც არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი ამ მუხლის დებულებათა დარღვევით, აქვს აღსრულებადი უფლება კომპენსაციაზე.

მუხლი 6 სამართლიანი განხილვის უფლება

1. სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა ან სისხლის სამართლებრივი ნებისმიერი ბრალდების განსაზღვრისას, ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო მოსმენაზე. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ, მაგრამ დემოკრატიულ საზოგადოებაში ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, პრესა და საზოგადოება შეიძლება არ დაიშვას სასამართლო განხილვის მთელ ან მის ნაწილზე, თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვანთა ინტერესები ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ან სასამართლოს შეხედულებით, განსაკუთრებულ

გარემოებებში, მკაცრი აუცილებლობის ზღვრამდე, თუ საჯაროობა ზიანს მიაყენებდა მართლმსაჯულების ინტერესებს.

2. ყველა, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, სანამ მისი ბრალეულობა დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

3. ყველას, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, აქვს უფლებათა შემდეგი მინიმუმი:

ა) დაუყოვნებლივ და დეტალურად ეცნობოს მისთვის გასაგებ ენაზე წაყენებული ბრალდების არსი და მიზეზი;

ბ) მიეცეს საკმარისი დრო და შესაძლებლობა დაცვის მოსამზადებლად;

გ) დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი სახსრები სამართლებრივი დახმარების ასანაზღაურებლად, მიეცეს ამის შესაძლებლობა უფასოდ, როდესაც მართლმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს;

დ) დაკითხოს ან დაკითხონ მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეები და უზრუნველყოფილ იქნეს დაცვის მოწმეთა დასწრებით და დაკითხვით მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემ მოწმეთა თანაბარ პირობებში;

ე) მიიღოს თარჯიმნის უფასო დახმარება, თუ მას არ შეუძლია გაიგოს ან ილაპარაკოს ენაზე, რომელსაც იყენებს სასამართლო.

მუხლი 7 არავითარი სასჯელი კანონის გარეშე

1. არავინ იქნება ცნობილი ბრალეულად სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში, იმ მოქმედების ან უმოქმედობის გამო რომელიც ჩადენის დროს, ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის თანახმად, არ წარმოადგენდა სისხლის სამართლის დანაშაულს. არც იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე ის სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის დროს.

2. ეს მუხლი ხელს არ შეუშლის ნებისმიერი პირის გასამართლებას და დასჯას ნებისმიერი მოქმედების ან უმოქმედობისათვის, რაც მისი ჩადენის დროისათვის იყო დანაშაული ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების მიხედვით.

მუხლი 8 პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება

1. ყველას აქვს უფლება პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მის მიმონერას;

2. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების ჩარევა ამ უფლების განხორციელებაში, გარდა ისეთი ჩარევისა, რაც დაშვებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის ან უნესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის.

მუხლი 9 აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

1. ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებაზე; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და თავისუფლებას როგორც მარტომ, ისე სხვებთან ერთად და საჯაროდ ან კერძოდ, გააცხადოს თავისი რელიგია ან რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, რიტუალების შესრულებითა და დაცვით.

2. რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის.

მუხლი 10 სიტყვის თავისუფლება

1. ყველას აქვს უფლება სიტყვის თავისუფლებაზე. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების მიერ ჩარევის გარეშე და მიუხედავად საზღვრებისა. ეს მუხლი არ უშლის ხელს სახელმწიფოებს, მოითხოვონ რადიოსამაუწყებლო, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ წარმოებათა ლიცენზირება;

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც იგი აკისრებს მას ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილებისათვის, ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვისათვის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებათა დაცვისათვის, საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილების ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებისათვის.

მუხლი 11 შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

1. ყველას აქვს უფლება მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებასა და სხვებთან გაერთიანების თავისუფლებაზე, თავისი ინტერესების დასაცავად პროფესიული კავშირების შექმნისა და მასში გაერთიანების უფლების ჩათვლით.

2. დაუშვებელია რაიმე შეზღუდვის დანესება ამ უფლებათა განხორციელებაზე, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან აცილებისათვის, ჯანმრთელობის ან ზნეობის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის. ეს მუხლი ხელს არ უშლის შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინ-

ისტრაციის წევრების მიერ ამ უფლებათა განხორციელებაზე კანონიერი შეზღუდვების დაწესებას.

მუხლი 12 ქორწინების უფლება

საქორწინო ასაკს მიღწეულ მამაკაცებსა და ქალებს აქვთ უფლება დაქორწინდნენ და შექმნან ოჯახი ამ უფლების განხორციელების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 13 უფლება სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალებებზე

ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, აქვს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე, მიუხედავად იმისა, რომ ეს დარღვევა ჩადენილია პირთა მიერ, სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას.

მუხლი 14 დისკრიმინაციის აკრძალვა

კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება უზრუნველყოფილია დისკრიმინაციის გარეშე ისეთ საფუძველზე, როგორიცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებები, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობა, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილება, ქონება, დაბადება თუ სხვა სტატუსი.

მუხლი 15 გადახვევა საგანგებო მდგომარეობის დროს

1. ომის ან სხვა საზოგადოებრივი საგანგებო მდგომარეობის დროს, რაც ემუქრება ერის სიცოცხლეს, ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია გაატაროს ღონისძიებები, რომლებიც უხვევენ ამ კონვენციიდან გამომდინარე მის ვალდებულებებს, იმ ზღვრამდე რაც მკაცრად მოითხოვება მდგომარეობის სიმწვავეთ და იმ პირობით, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით ამგვარი ღონისძიებები არ არის შეუსაბამოებაში მხარის სხვა ვალდებულებებთან.

2. ამ დებულების საფუძველზე დაუშვებელია გადახვევა მე-2 მუხლიდან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გარდაცვალება მართლზომიერ საომარ მოქმედებათა შედეგია, ისევე, როგორც მე-3, მე-4 (1-ლი პუნქტი) და მე-7 მუხლებიდან.

3. ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც იყენებს გადახვევის ამ უფლებას, აწვდის ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს სრულ ინფორმაციას მის მიერ გატარებული ღონისძიებებისა და მათი მიზეზების შესახებ. იგი ასევე აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, როდის შეწყვიტა ამ ღონისძიებებმა მოქმედება და კვლავ სრულად ამოქმედდა კონვენციის დებულებები.

მუხლი 16 შეზღუდვები უცხოელთა პოლიტიკურ საქმიანობაზე

მე-10, მე-11 და მე-14 მუხლებში არაფერი განიხილება ხელშემშლელად უცხოელთა პოლიტიკურ საქმიანობაზე, მაღალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ, შეზღუდვების დაწესებისაგან.

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

მუხლი 17 უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა

ამ კონვენციაში არაფერი არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ გულისხმობდეს რომელიმე სახელმწიფოს, ჯგუფის ან პირის უფლებას, მონაწილეობდეს რაიმე საქმიანობაში ან განახორციელოს რაიმე ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა განადგურებას ან ამ უფლებათა და თავისუფლებათა იმაზე მეტად შეზღუდვას, ვიდრე ეს დადგენილია კონვენციით.

მუხლი 18 უფლებებზე შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები

ხსენებულ უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით დაშვებული შეზღუდვები არ გამოიყენება სხვა, თუ არა მათთვის გათვალისწინებული მიზნებისათვის.

ნაწილი II - ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო

მუხლი 19 სასამართლოს დაარსება

კონვენციითა და მისი ოქმებით მალალი ხელშემკვრელი მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად, არსდება ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, შემდგომში მოხსენიებული როგორც “სასამართლო”. სასამართლო ფუნქციონირებს მუდმივ საფუძველზე.

მუხლი 20 მოსამართლეთა რაოდენობა

სასამართლო შედგება მოსამართლეთა იმ რაოდენობისაგან, რომელიც მალალ ხელშემკვრელ მხარეთა რაოდენობის თანაბარია.

მუხლი 21 კრიტერიუმები თანამდებობისათვის

1. მოსამართლეები უნდა ხასიათდებოდნენ მალალი ზნეობრივი თვისებებით და ფლობდნენ მოსამართლის მალალი თანამდებობის დაკავებისათვის აუცილებელ კვალიფიკაციას ან იყვნენ აღიარებული კომპეტენტურობის იურისკონსულტები.

2. მოსამართლეები სასამართლოს წევრები არიან პიროვნულად.

3. მათი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში მოსამართლეები არ უნდა ჩაებნენ მათ დამოუკიდებლობასთან, მიუკერძოებლობასთან ან სრულგანაკვეთიანი სამსახურის მოთხოვნებთან შეუსაბამო რაიმე საქმიანობაში; ყველა საკითხი, რომელიც წამოიჭრება ამ პუნქტის გამოყენებასთან დაკავშირებით, წყდება სასამართლოს მიერ.

მუხლი 22 მოსამართლეთა არჩევა

1. მოსამართლეები თითოეული მალალი ხელშემკვრელი მხარიდან აირჩევიან საპარლამენტო ასამბლეის მიერ ხმების უმრავლესობით, მალალი ხელშემკვრელი მხარის მიერ წარდგენილი სამი კანდიდატურისაგან შემდგარი სიიდან.

2. იგივე პროცედურა გამოიყენება სასამართლოს დასაკომპლექტებლად კონვენციაზე ახალი ხელშემკვრელი მხარის შეერთების შემთხვევაში და გაუთვალისწინებელი ვაკანსიების შევსებისას.

მუხლი 23 უფლებამოსილების ვადები

1. მოსამართლეები აირჩევიან ექვსი წლის ვადით. ისინი შეიძლება ხელახლა არჩეულ იქნენ. თუმცა, პირველ არჩევნებზე არჩეულ მოსამართლეთა ნახევრის უფლებამოსილების ვადა იწურება სამი წლის გასვლის შემდეგ.

2. მოსამართლეები, რომელთა უფლებამოსილების ვადა იწურება პირველი სამწლიანი პერიოდის ბოლოს, დაუყოვნებლივ, მათი არჩევის შემდეგ, შეირჩევიან კენჭისყრით ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ.

3. იმისათვის, რათა მოსამართლეთა ნახევრის უფლებამოსილების ვადის განახლება ყოველ სამ წელიწადში შეძლებისდაგვარად იყოს უზრუნველყოფილი, საპარლამენტო ასამბლეას, შემდგომი არჩევნების ჩატარებამდე, შეუძლია გადანყვიტოს ერთი ან მეტი ასარჩევი მოსამართლის უფლებამოსილების ვადა ან ვადები არ განისაზღვროს ექვსი წლით და განისაზღვროს არა უმეტეს ცხრა და არანაკლებ სამი წლით.

4. იმ შემთხვევებში, როდესაც საკითხი ეხება უფლებამოსილების ერთზე მეტ ვადას და საპარლამენტო ასამბლეა იყენებს წინა პუნქტს, უფლებამოსილების ვადები გადანაწილდება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ კენჭისყრის ჩატარებით, დაუყოვნებლივ არჩევნების შემდგომ.

5. იმ მოსამართლის შესაცვლელად არჩეული მოსამართლე, რომლის უფლებამოსილების ვადა ამოწურული არ არის, იკავებს თანამდებობას მისი წინამორბედის უფლებამოსილების ვადით.

6. მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადა იწურება, როდესაც ისინი მიაღწევენ 70 წლის ასაკს.

7. მოსამართლებს თანამდებობა უკავიათ მათ შეცვლამდე. თუმცა ისინი აგრძელებენ იმ საქმეთა განხილვას, რომელთაც მანამდე განიხილავდნენ.

მუხლი 24 დათხოვნა

არც ერთი მოსამართლე არ შეიძლება, დაითხოვონ თანამდებობიდან, თუ სხვა მოსამართლეები ხმების ორი მესამედის უმრავლესობით არ გადაწყვეტენ, რომ იგი აღარ აკმაყოფილებს ნაყენებულ პირობებს.

მუხლი 25 სამდივნო და იურიდიული მდივნები

სასამართლოს აქვს სამდივნო, რომლის ფუნქციები და ორგანიზაცია დადგენილია სასამართლოს რეგლამენტით. სასამართლოს დახმარებას უწევენ იურიდიული მდივნები.

მუხლი 26 სასამართლო პლენუმი

სასამართლო პლენუმი

ა) ირჩევს სასამართლოს თავმჯდომარეს და თავმჯდომარის ერთ ან ორ მოადგილეს სამი წლის ვადით; ისინი შეიძლება ხელახლა იქნენ არჩეული;

ბ) აარსებს პალატებს, რომლებიც იქმნება დროის განსაზღვრული პერიოდით;

საპარტაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

ვ) ირჩევს სასამართლო პალატების თავმჯდომარეებს; ისინი შეიძლება ხელახლა იქნენ არჩეული;

დ) იღებს სასამართლოს რეგლამენტს; და

ე) ირჩევს სამდივნოს უფროსს და სამდივნოს უფროსის ერთ ან ორ მოადგილეს.

მუხლი 27 კომიტეტები, პალატები და დიდი პალატა

1. გადაცემულ საქმეთა განსახილველად სასამართლო ქმნის სამი მოსამართლისაგან შემდგარ კომიტეტებს, შეიძლება მოსამართლისაგან შემდგარ პალატებსა და ჩვიდმეტი მოსამართლისაგან შემდგარ დიდ პალატას. სასამართლოს პალატები აარსებენ კომიტეტებს დროის განსაზღვრული პერიოდით.

2. მოსამართლე, რომელიც არჩეულია შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოდან, მონაწილეობს პალატისა და დიდი პალატის სხდომებში, როგორც ეს ოფფიცირი წევრი, ან თუ ასეთი მოსამართლე არ ან ვერ მონაწილეობს, სახელმწიფოს მიერ შერჩეული პირი ახორციელებს მოსამართლის უფლებამოსილებას.

3. დიდი პალატა ასევე შედგება სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილეების, პალატების თავმჯდომარეებისა და სხვა მოსამართლეებისაგან, რომლებიც შეირჩევიან სასამართლოს რეგლამენტის შესაბამისად. როდესაც საქმე განსახილველად გადაეცემა დიდ პალატას 43-ე მუხლის თანახმად, იმ პალატის არც ერთი მოსამართლე, რომელმაც გამოიტანა საბოლოო გადაწყვეტილება, არ უნდა მონაწილეობდეს დიდი პალატის სხდომაში, გარდა პალატის თავმჯდომარისა და იმ მონაწილე სახელმწიფოს მოსამართლისა, რომელიც არის დავის მხარე.

მუხლი 28 კომიტეტების მიერ განაცხადის დაუშვებლად გამოცხადება

კომიტეტს შეუძლია, ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, შეტანილი განაცხადი გამოაცხადოს დაუშვებლად ან ამოილოს განსახილველ საქმეთა სიიდან 34-ე მუხლის შესაბამისად, როდესაც ასეთი გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს შემდგომი განხილვის გარეშე. გადაწყვეტილება საბოლოოა.

მუხლი 29 პალატების გადაწყვეტილებები განაცხადის დაშვებასა და არსებითად განხილვაზე

1. თუ გადაწყვეტილება არ არის მიღებული 28-ე მუხლის შესაბამისად, პალატა იღებს გადაწყვეტილებას 34-ე მუხლის თანახმად წარდგენილ ინდივიდუალურ განაცხადთა დაშვებადობასა და არსებითად განხილვაზე.

2. პალატა იღებს გადაწყვეტილებას 33-ე მუხლის თანახმად წარდგენილ სახელმწიფოთაშორის განაცხადთა დაშვებადობასა და არსებითად განხილვაზე.

3. გადაწყვეტილება დაშვებადობაზე მიიღება განცალკევებულად, თუ სასამართლო, გამონაკლის შემთხვევებში, სხვაგვარად არ წყვეტს.

მუხლი 30 უარის განაცხადება იურისდიქციაზე დიდი პალატის სასარგე-

ბლოდ

როდესაც პალატის განხილვაში მყოფი საქმე ნამოჭრის სერიოზულ საკითხს, რომელიც გავლენას ახდენს კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებაზე, ან პალატის მიერ საკითხის გადანყვევტას შეიძლება მოჰყვეს სასამართლოს მიერ მანამდე მიღებულ საბოლოო გადანყვევტილებასთან შეუთავსებელი შედეგი, პალატას უფლება აქვს საბოლოო გადანყვევტილების გამოტანამდე ნებისმიერ დროს უარი განაცხადოს იურისდიქციაზე დიდი პალატის სასარგებლოდ, თუ საქმის ერთ-ერთი მხარე არ არის წინააღმდეგი.

მუხლი 31 დიდი პალატის უფლებამოსილებანი

დიდი პალატა

ა) ნყვეტს 33-ე ან 34-ე მუხლების თანახმად წარმოდგენილ განაცხადებს, რომელთა იურისდიქციაზეც პალატამ განაცხადა უარი 30-ე მუხლის შესაბამისად ან როდესაც განაცხადი მას გადაეცემა 43-ე მუხლის შესაბამისად; და

ბ) განიხილავს 47-ე მუხლის შესაბამისად წარმოდგენილ თხოვნებს საკონსულტაციო დასკვნების შესახებ.

მუხლი 32 სასამართლოს იურისდიქცია

1. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, რომელიც მას გადაეცემა, როგორც ეს გათვალისწინებულია 33-ე, 34-ე და 47-ე მუხლებით.

2. დავის შემთხვევაში, აქვს თუ არა სასამართლოს იურისდიქცია, გადანყვევტილებას იღებს სასამართლო.

მუხლი 33 სახელმწიფოთაშორისი საქმეები

ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მაღალი ხელშემკვრელი სხვა მხარის მიერ კონვენციისა და მისი ოქმების ნებისმიერი დარღვევის მტკიცებით.

მუხლი 34 ინდივიდუალური განაცხადი

სასამართლოს შეუძლია მიიღოს განაცხადები ნებისმიერი პირის, არასამთავრობო ორგანიზაციის ან პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, არანაირად არ შეუშალონ ხელი ამ უფლების ეფექტიან განხორციელებას.

მუხლი 35 დაშვებადობის კრიტერიუმები

1. სასამართლოს შეუძლია საქმე განსახილველად მიიღოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამოიწურება შინასახელმწიფოებრივი დაცვის ყველა საშუალება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმის შესაბამისად, და ექვსი თვის ვადაში – საქმეზე საბოლოო გადანყვევტილების მიღების დღიდან.

2. სასამართლო არ მიიღებს განსახილველად 34-ე მუხლის შესა-

საართაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

ბამისად შეტანილ არც ერთ განაცხადს, რომელიც:

- ა) არის ანონიმური; ან
- ბ) არის არსებითად იგივე საკითხი, რომელიც უკვე განხილულია სასამართლოს მიერ ან გადაეცა საერთაშორისო გამოძიების ან მოგვარების სხვა პროცედურას და არ შეიცავს შესაბამის რაიმე ახალ ინფორმაციას.

3. სასამართლო დაუშვებლად აცხადებს 34-ე მუხლის შესაბამისად შეტანილ ინდივიდუალურ განაცხადს, რომელსაც მიიჩნევს შეუთავსებლად კონვენციასა და მის ოქმებთან, აშკარად დაუსაბუთებლად, ან სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენებად.

4. სასამართლო უარყოფს ნებისმიერ განაცხადს, რომელსაც იგი მიიჩნევს დაუშვებლად ამ მუხლის შესაბამისად. სასამართლოს შეუძლია ამის განხორციელება სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე.

მუხლი 36 მესამე მხარის მონაწილეობა

1. პალატის ან დიდი პალატის განხილვაში მყოფ ყველა საქმეში, მაღალ ხელშემკვრელ მხარეს, რომლის ერთ-ერთი მოქალაქეც არის განმცხადებელი, უფლება აქვს წარადგინოს წერილობითი კომენტარები და მონაწილეობა მიიღოს საქმის მოსმენებში.

2. მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელების ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია მიიწვიოს ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც არ არის პროცესის მონაწილე ან ნებისმიერი დაინტერესებული პირი, რომელიც არ არის განმცხადებელი, წერილობითი კომენტარების წარსადგენად ან საქმის მოსმენებში მონაწილეობის მისაღებად.

მუხლი 37 განაცხადის ამოღება

1. სასამართლოს შეუძლია სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე გადაწყვიტოს, ამოიღოს განაცხადი საქმეთა სიიდან, როდესაც გარემოებებს იგი მიჰყავს დასკვნამდე, რომ:

ა) განმცხადებელს არა აქვს განზრახული ბოლომდე მიჰყვეს თავის განაცხადს;

ბ) საქმე მოგვარდა; ან

ც) სასამართლოს მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა მიზეზით აღარ არის გამართლებული განაცხადის განხილვის გაგრძელება.

თუმცა, სასამართლო აგრძელებს განაცხადის განხილვას, თუ კონვენციითა და მისი ოქმებით განსაზღვრული ადამიანის უფლებათა პატივისცემა ამას მოითხოვს.

2. სასამართლოს შეუძლია გადაწყვიტოს აღადგინოს განაცხადი საქმეთა სიაში, თუ იგი ჩათვლის, რომ გარემოებები ამართლებს ამგვარ ქმედებას.

მუხლი 38 საქმის განხილვა და მორიგების პროცედურა

1. თუ სასამართლო აცხადებს განაცხადს დაშვებულად, იგი:

ა) აგრძელებს საქმის განხილვას მხარეთა წარმომადგენლებთან

ერთად და, საჭიროების შემთხვევაში, აწარმოებს გამოძიებას, რომლის ეფექტიანად წარმართვისათვის შესაბამისი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ყველა აუცილებელი პირობით;

ბ) სთავაზობს შესაბამის მხარეებს თავის სამსახურს საქმეზე მორიგების უზრუნველყოფის მიზნით, ადამიანის უფლებათა პატივისცემის საფუძველზე, როგორც ეს განსაზღვრულია კონვენციასა და მის ოქმებში.

2. 1-ლი პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოებული პროცედურა კონფიდენციალურია.

მუხლი 39 მორიგების მიღწევა

თუ მიღწეულია მორიგება, სასამართლო საქმეს იღებს საქმეთა სიიდან გადაწყვეტილების გზით, რომელიც შემოიფარგლება ფაქტებისა და მიღწეული გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვით.

მუხლი 40 საჯარო მოსმენები და დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობა

1. სასამართლო მოსმენები ღიაა, თუ სასამართლო გამონაკლის შემთხვევებში სხვაგვარად არ წყვეტს.

2. სამდივნოს უფროსთან შენახული დოკუმენტები ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის, თუ სასამართლოს თავმჯდომარე სხვაგვარად არ წყვეტს.

მუხლი 41 სამართლიანი დაკმაყოფილება

თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, და, თუ შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შინასახელმწიფოებრივი სამართალი იძლევა ზიანის მხოლოდ ნაწილობრივი ანაზღაურების შესაძლებლობას, სასამართლო, საჭიროების შემთხვევაში, ანიჭებს დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას.

მუხლი 42 პალატების საბოლოო გადაწყვეტილებები

პალატების გადაწყვეტილებები საბოლოო ხდება 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 43 დიდი პალატისათვის გადაცემა

1. პალატის მიერ საბოლოო გადაწყვეტილებების მიღების დღიდან სამი თვის ვადაში, საქმის მონაწილე ნებისმიერ მხარეს, გამონაკლის შემთხვევებში, შეუძლია ითხოვოს საქმის დიდი პალატისათვის გადაცემა.

2. დიდი პალატის ხუთი მოსამართლისაგან შემდგარი კოლეგია იღებს თხოვნას იმ შემთხვევაში, თუ საქმე წამოჭრის სერიოზულ საკითხს, რომელიც გავლენას ახდენს კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებასა და გამოყენებაზე ან ზოგადი მნიშვნელობის სერიოზულ საკითხებს.

3. თუ კოლეგია მიიღებს თხოვნას, დიდი პალატა საქმეს წყვეტს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების გზით.

მუხლი 44 საბოლოო გადაწყვეტილება

1. დიდი პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა.

2. პალატის გადაწყვეტილება საბოლოო ხდება

ა) როდესაც, მხარეები აცხადებენ, რომ არ მოითხოვენ საქმის გად-

აცემას დიდი პალატისათვის; ან

ბ) პალატის საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანიდან სამი თვის შემდეგ, თუ დიდ პალატაში საქმის გადაცემის თხოვნა არ გაკეთებულა; ან

ც) როდესაც დიდი პალატის კოლეგია უარს აცხადებს, 43-ე მუხლის შესაბამისად, გადაცემის თხოვნის მიღებაზე.

3. საბოლოო გადაწყვეტილება ქვეყნდება.

მუხლი 45 სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებებისა და გადაწყვეტილებების დასაბუთება

1. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებების, ისევე როგორც გადაწყვეტილებები, რომლებიც განაცხადებს დასაშვებად ან დაუშვებლად აცხადებენ, უნდა იქნეს დასაბუთებული.

2. თუ საბოლოო გადაწყვეტილება მთლიანად ან ნაწილობრივ არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთსულოვან აზრს, ნებისმიერ მოსამართლეს უფლება აქვს გამოხატოს განსხვავებული აზრი.

მუხლი 46 საბოლოო გადაწყვეტილების სავალდებულო ძალა და აღსრულება

1. მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულიებას კისრულობენ შეასრულონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებები ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან.

2. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებები გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობს მის აღსრულებას.

მუხლი 47 საკონსულტაციო დასკვნები

1. მინისტრთა კომიტეტის თხოვნით სასამართლოს შეუძლია გასცეს საკონსულტაციო დასკვნები სამართლებრივ საკითხებზე, რომლებიც ეხება კონვენციისა და მისი ოქმების განმარტებას.

2. ამგვარი დასკვნები არ უნდა ეხებოდეს კონვენციის ნაწილსა და მის ოქმებში განსაზღვრულ უფლებათა და თავისუფლებათა შინაარსთან ან ფარგლებთან დაკავშირებულ არც ერთ საკითხს, ან სხვა ისეთ საკითხს, რომელიც სასამართლოს ან მინისტრთა კომიტეტს შესაძლოა უნდა განეხილა ნებისმიერი ისეთი პროცესის შედეგად, რომელიც შეიძლება დაწყებულიყო კონვენციის შესაბამისად.

3. მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებები სასამართლოსათვის საკონსულტაციო დასკვნის თხოვნის თაობაზე საჭიროებს კომიტეტში დასწრების უფლების მქონე წარმომადგენელთა ხმების უმრავლესობას.

მუხლი 48 სასამართლოს საკონსულტაციო იურისდიქცია

სასამართლო წყვეტს შედის თუ არა მის კომპეტენციაში მინისტრთა კომიტეტის მიერ წარდგენილი თხოვნა საკონსულტაციო დასკვნის შესახებ, როგორც ეს განსაზღვრულია 47-ე მუხლით.

მუხლი 49 საკონსულტაციო დასკვნების დასაბუთება

1. სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები დასაბუთებულ უნდა იქნეს.

2. თუ საკონსულტაციო დასკვნა მთლიანად ან ნაწილობრივ არ გამოხატავს მოსამართლეთა ერთსულოვან აზრს, ნებისმიერ მოსამართლეს უფლება აქვს გამოხატოს განსხვავებული აზრი.

3. სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნები გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს.

მუხლი 50 სასამართლოს შენახვის ხარჯები

სასამართლოს შენახვის ხარჯებს ფარავს ევროპის საბჭო.

მუხლი 51 მოსამართლეთა პრივილეგიები და იმუნიტეტები

თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას მოსამართლეები სარგებლობენ პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რომლებიც გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს წესდების მე-40 მუხლით და მის საფუძველზე დადებული შეთანხმებებით.

ნაწილი III - სხვადასხვა დებულებები

მუხლი 52 გენერალური მდივნის მოთხოვნები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისაგან მოთხოვნის მიღებისთანავე ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარე წარუდგენს მას ახსნა-განმარტებას იმის შესახებ, თუ რა გზით უზრუნველყოფს მისი შინასახელმწიფოებრივი სამართალი კონვენციის ნებისმიერი დებულების ეფექტიან განხორციელებას.

მუხლი 53 ადამიანის არსებული უფლებების დაცვა

ამ კონვენციაში არაფერი განიმარტება როგორც შეზღუდვა ან გადახვევა ადამიანის რომელიმე უფლებისა და ძირითადი თავისუფლებისაგან, რომლებიც შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარის კანონმდებლობით ან სხვა შეთანხმებით, რომლის მხარეც ის არის.

მუხლი 54 მინისტრთა კომიტეტის უფლებამოსილებანი

ამ კონვენციაში არაფერი ზღუდავს ევროპის საბჭოს წესდებით მინისტრთა კომიტეტისათვის მინიჭებულ უფლებამოსილებას.

მუხლი 55 დავების მოგვარების სხვა საშუალებათა გამორიცხვა

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები თანხმდებიან, რომ სპეციალური შეთანხმების გარდა ისინი არ ისარგებლებენ მათ შორის ძალაში მყოფი ხელშეკრულებებით, კონვენციებითა და დეკლარაციებით იმ მიზნით, რომ განსახილველად გადაეცეს ამ კონვენციის განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავა მოგვარების სხვა საშუალებებს, გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია ამ კონვენციაში.

მუხლი 56 ტერიტორიული გამოყენება

1. ნებისმიერ სახელმწიფოს, კონვენციის რატიფიცირების ან ამის შემდგომ ნებისმიერ დროს, შეუძლია განაცხადოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივნისადმი შეტყობინების გაგზავნის გზით, რომ წინამდებარე კონვენცია, ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვრცელდება მის ყველა ან რომელიმე ტერიტორიაზე, რომელთა საერთაშორისო

ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი.

2. კონვენცია ვრცელდება შეტყობინებაში მითითებულ ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ ამ შეტყობინების მიღებიდან ოცდამეათე დღეს.

3. ამ კონვენციის დებულებანი გამოიყენება ამგვარ ტერიტორიებზე ადგილობრივი მოთხოვნების სათანადოდ გათვალისწინებით.

4. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა განცხადება ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, შემდგომში ნებისმიერ დროს შეუძლია განაცხადოს იმ ტერიტორიის ან ტერიტორიების სახელით, რომელთაც განცხადება ეხებათ, რომ ის ცნობს სასამართლოს კომპეტენციას, მიიღოს განაცხადები პირებისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციების ან პირთა ჯგუფებისაგან, როგორც ეს გათვალისწინებულია კონვენციის 34-ე მუხლით.

მუხლი 57 დათქმები

1. ნებისმიერ სახელმწიფოს, კონვენციაზე ხელის მოწერის ან სარატიფიკაციო სიგელის დეპონირების დროს, შეუძლია გააკეთოს დათქმა კონვენციის რომელიმე ცალკეული დებულების მიმართ იმ ფარგლებში, რომლებშიც მის ტერიტორიაზე ძალაში მყოფი რომელიმე კანონი არ შეესაბამება ამ დებულებას. დაუშვებელია საერთო ხასიათის დათქმების გაკეთება ამ მუხლის მიხედვით.

2. ამ მუხლის მიხედვით გაკეთებული ნებისმიერი დათქმა უნდა შეიცავდეს შესაბამისი კანონის მოკლე მიმოხილვას.

მუხლი 58 დენონსირება

1. მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია, მოახდინოს წინამდებარე კონვენციის დენონსირება მხოლოდ ხუთი წლის გასვლის შემდეგ იმ დღიდან, როდესაც ის გახდა კონვენციის მხარე და ექვსი თვის გასვლის შემდეგ, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის, რომელიც ატყობინებს სხვა მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს, ცნობის შემცველი შეტყობინების გაგზავნიდან.

2. ასეთი დენონსირება არ ათავისუფლებს შესაბამის მაღალ ხელშემკვრელ მხარეს ამ კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისაგან რაიმე ქმედების მიმართ, რომელიც, შესაძლოა, წარმოადგენდა ასეთ ვალდებულებათა დარღვევას და შეიძლება ჩადენილი ყოფილიყო მის მიერ, დენონსირების ძალაში შესვლის დღემდე.

3. ნებისმიერი მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც წყვეტს ევროპის საბჭოს წევრად ყოფნას, ასეთივე პირობებით წყვეტს ამ კონვენციაში მონაწილეობას.

4. კონვენციის დენონსირება შეიძლება მოხდეს წინა პუნქტების დებულებათა შესაბამისად ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ, რომელზეც მისი მოქმედების გავრცელება გამოცხადდა 56-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 59 ხელმოწერა და რატიფიცირება

1. ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრებისათვის.

იგი ექვემდებარება რატიფიცირებას. სარატიფიკაციო სიგელები დეპონირდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

2. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის ათი სარატიფიკაციო სიგელის დეპონირების შემდეგ.

3. რაც შეეხება იმ ხელმომწერ სახელმწიფოს, რომელიც შემდგომში მოახდენს კონვენციის რატიფიცირებას, კონვენცია ძალაში შედის სარატიფიკაციო სიგელის დეპონირების დღიდან.

4. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ატყობინებს ევროპის საბჭოს ყველა წევრს კონვენციის ძალაში შესვლას, მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა სახელწოდებებს, რომელთაც მოახდინეს მისი რატიფიცირება, და ყველა სარატიფიკაციო სიგელის დეპონირების შესახებ, რომელიც შეიძლება განხორციელდეს შემდგომში.

შესრულებულია ქ. რომში 1950 წლის 4 ნოემბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ორივე თანაბრად აუთენტური ტექსტით, ერთ ეგზემპლარად, რომლებიც შესანახად რჩება ევროპის საბჭოს არქივში. გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს გადასცემს თითოეულ ხელმომწერს.



ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ

სტრასბურგი, 1.II.1995

წინამდებარე ჩარჩო კონვენციის ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი და სხვა სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა იმ იდეალების და პრინციპების დაცვის მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ მათ საერთო მემკვიდრეობას;

ითვალისწინებენ, რა რომ ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და შემდგომი რეალიზაცია;

სურთ რა შეასრულონ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურების მიერ ვენაში 1993 წლის 9 ოქტომბერს მიღებული დეკლარაცია;

გადაწყდა რა მათ ტერიტორიებზე ეროვნული უმცირესობების არსებობის დაცვა;

ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის ისტორიის განვითარებამ გვიჩ-

საერთაშორისო საზოგადოებრივი დოკუმენტები

ვენა, რომ ეროვნული უმცირესობების დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს სტაბილურობის, დემოკრატიული უსაფრთხოებისა და მშვიდობისათვის ამ კონტინენტზე;

ითვალისწინებენ რა, რომ პლურალისტული და ქვემარტად დემოკრატიული საზოგადოება არა მხოლოდ პატივს უნდა სცემდეს ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი თითოეული პირის ეთნიკურ, ლინგვისტურ და რელიგიურ თვითმყოფადობას, არამედ ასევე უნდა შექმნას სათანადო პირობები, რომლებიც საშუალებას მისცემენ მათ გამოამჟღავნონ, დაცვან და განავითარონ თავიანთი თვითმყოფადობა;

ითვალისწინებენ რა, რომ ტოლერანტობისა და დიალოგის ატმოსფეროს შექმნა აუცილებელია, რათა კულტურული მრავალფეროვნება წარმოადგენს არა დანაწილებას, არამედ თითოეული საზოგადოების სულიერი გამდიდრების წყაროსა და ფაქტორს;

ითვალისწინებენ რა, რომ ტოლერანტული და აყვავებული ევროპის რეალიზაცია დამოკიდებულია არა მხოლოდ სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობაზე, არამედ ასევე მოითხოვს ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას ხელისუფლების ადგილობრივ და რეგიონალურ ორგანოებს შორის, თითოეული სახელმწიფოს კონსტიტუციისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ზიანის მიუყენებლად;

მხედველობაში იღებენ რა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასა და მის ოქმებს;

მხედველობაში იღებენ რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციებსა და დეკლარაციებში, ასევე ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის დოკუმენტებში, კერძოდ, 1990 წლის 29 ივნისის კოპენჰაგენის დოკუმენტში განსაზღვრულ ვალდებულებებს ეროვნული უმცირესობების დაცვის მიმართ.

გადაწყდა რა განსაზღვროს ის პრინციპები, რომელთა პატივისცემაც აუცილებელია და ის ვალდებულებანი, რომლებიც გამომდინარეობენ მათგან, იმ მიზნით, რომ კანონის ფარგლებში წევრ და სხვა სახელმწიფოებში, რომლებიც შეიძლება გახდნენ წინამდებარე დოკუმენტის მხარეები, სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისა და ეროვნული სუვერენიტეტის პატივისცემით უზრუნველყოფილი იქნას ეროვნული უმცირესობებისა და იმ პირების უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტური დაცვა, რომლებიც მიეკუთვნებიან ამგვარ უმცირესობებს;

გადაწყდა რა განხორციელდეს ამ ჩარჩო კონვენციაში განსაზღვრული პრინციპები მხარეთა ეროვნული კანონმდებლობისა და სათანადო სამთავრობო პოლიტიკის მეშვეობით, შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

ნაწილი I

მუხლი 1

ეროვნული უმცირესობებისა და იმ პირების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, რომლებიც მიეკუთვნებიან ამგვარ უმცირესობებს, წარმოადგენს ადამიანის უფლებების საერთაშორისო მაშტაბით დაცვის შემადგენელ ნაწილს და როგორც ასეთი, არის საერთაშორისო

თანამშრომლობის სფერო.

მუხლი 2

ამ ჩარჩო კონვენციის დებულებების გამოყენება მოხდება კეთილი განზრახვით, ურთიერთგაგებისა და ტოლერანტობის სულისკვეთებით და სახელმწიფოთა შორის კეთილმეზობლობის, მეგობრული ურთიერთობებისა და თანამშრომლობის პრინციპებთან შესაბამისობაში.

მუხლი 3

1. ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება თავისუფლად აირჩიოს მას მოექცნენ თუ არა, როგორც ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს და დაუშვებელია, რომ ამ არჩევანიდან ან ამ არჩევანთან დაკავშირებული უფლებებით სარგებლობიდან გამომდინარეობდეს რაიმე არახელსაყრელობა.

2. პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, შეუძლიათ ინდივიდუალურად, ისევე როგორც სხვებთან ერთად კავშირში, განახორციელონ ის უფლებები და ისარგებლონ იმ თავისუფლებებით, რომლებიც გამომდინარეობენ წინამდებარე ჩარჩო კონვენციით უზრუნველყოფილი პრინციპებიდან.

ნაწილი II

მუხლი 4

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების კანონის წინაშე თანასწორობა და კანონის მიერ თანაბარი დაცვა. ამ მიმართებით აკრძალულია ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილებაზე დაფუძნებული ნებისმიერი დისკრიმინაცია.

2. აუცილებლობის შემთხვევაში, მხარეები იღებენ ვალდებულებას მიიღონ ადეკვატური ზომები იმისათვის, რომ ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში ხელი შეუწყონ მთლიანი და ეფექტური თანასწორობის დამკვიდრებას იმ პირებს შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობას და იმათ შორის, რომლებიც მიეკუთვნებიან უმრავლესობას. ამ მხრივ, ისინი სათანადოდ გაითვალისწინებენ იმ პირების სპეციფიკურ მდგომარეობას, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.

3. მე-2 პუნქტის შესაბამისად მიღებული ზომები არ იქნებიან განხილულნი, როგორც დისკრიმინაციის აქტი.

მუხლი 5

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეუქმნან აუცილებელი პირობები იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მათი კულტურის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის და მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის.

2. იმ ზომებისათვის ზიანის მიუყენებლად, რომელთა მიღებაც ხდება

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

მათი ზოგადი ინტეგრაციული პოლიტიკის შესაბამისად, მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი პოლიტიკისა და პრაქტიკის განხორციელებისაგან, რომლებიც მიზნად ისახავენ ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ასიმილაციას მათი სურვილის წინააღმდეგ და უნდა დაიცვან ეს პირები ნებისმიერი ქმედებისაგან, რომელიც მიზნად ისახავს ამგვარ ასიმილაციას.

მუხლი 6

1. მხარეები ნაახალისებენ ტოლერანტობისა და კულტურათმორისი დიალოგის სულისკვეთებას და მიიღებენ ეფექტურ ზომებს მათ ტერიტორიებზე მცხოვრებ ყველა პირს შორის ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მხარდასაჭერად, კერძოდ, განათლების, კულტურისა და მასმედიის სფეროში, მიუხედავად ამ პირების ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური კუთვნილებისა.

2. მხარეები იღებენ ვალდებულებას მიიღონ შესაბამისი ზომები იმ პირების დასაცავად, რომლებიც შეიძლება დაექვემდებარონ მუქარას ან დისკრიმინაციას, მტრულ დამოკიდებულებას ან ძალადობას მათი ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური კუთვნილებისდა გამო.

მუხლი 7

მხარეები უზრუნველყოფენ ყველა იმ პირის მშვიდობიანი შეკრების, გაერთიანების, გამოხატვის და რელიგიის თავისუფლების უფლების პატივისცემას, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას.

მუხლი 8

მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ თითოეულ პირს, ვინც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება გამოამჟღავნოს მისი რელიგია ან რწმენა და შექმნას რელიგიური დაწესებულებები, ორგანიზაციები და ასოციაციები.

მუხლი 9

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ თითოეული იმ პირის გამოხატვის თავისუფლების უფლება, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, ასევე მოიცავს თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებები და მიიღოს და გასცეს ინფორმაცია და იდეები უმცირესობის ენაზე სახელმწიფო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრებს მიუხედავად. მხარეები, მათი სამართლებრივი სისტემის ფარგლებში უზრუნველყოფენ, რომ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები არ განიცდიდნენ დისკრიმინაციას მასმედიის მათთვის ხელმისაწვდომობის მხრივ.

2. 1-ლი პუნქტი არ შეუშლის ხელს მხარეებს, დისკრიმინაციის გარეშე და ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, მოითხოვონ ხმოვანი რადიოს და სატელევიზიო მაუწყებლობის ან კინონარმოების ლიცენზირება.

3. მხარეები ხელს არ შეეშლიან იმ პირების მიერ ბეჭდვითი მასმედიის საშუალებების შექმნასა და გამოყენებას, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს. ხმოვანი რადიოს და სატელევიზიო მაუნყებლობის სამართლებრივ ჩარჩოებში და 1-ლი პუნქტის გათვალისწინებით, ისინი მაქსიმალურად უზრუნველყოფენ, რომ იმ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, მინიჭებული ჰქონდეთ მათი მასმედიის საშუალებების შექმნის და გამოყენების უფლება.

4. მათი სამართლებრივი სისტემების ფარგლებში, მხარეები მიიღებენ ადეკვატურ ზომებს იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ მასმედიისადმი ხელმისაწვდომობა იმ პირებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს და ხელი შეუწყონ ტოლერანტობასა და დაამკვიდრონ კელტურული პლურალიზმი.

მუხლი 10

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ რომ, ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, თავისუფლად და ყოველგვარი ჩარევის გარეშე, აქვს უფლება გამოიყენოს მისი უმცირესობის ენა კერძოდ და საჯაროდ, ზეპირად და წერისას.

2. იმ ადგილებში, სადაც ცხოვრობენ ტრადიციულად ან დიდი რაოდენობით ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები, თუკი ეს პირები მოითხოვენ და სადაც ეს მოთხოვნა პასუხობს რეალურ საჭიროებას, მხარეები ეცდებიან მაქსიმალურად უზრუნველყონ ისეთი პირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდის უმცირესობის ენის გამოყენებას ამ პირებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის ურთიერთობებში

3. მხარეები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ ყველა პირისათვის, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, უფლება იყოს სასწრაფოდ ინფორმირებული მისთვის გასაგებ ენაზე მისი დაპატიმრების მიზეზებისა და მის წინააღმდეგ აღძრული ყველა ბრალდების ბუნებისა და მიზეზის შესახებ და დაიცვას თავი ამ ენაზე, აუცილებლობის შემთხვევაში, თარჯიმნის უფასო დახმარებით.

მუხლი 11

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ ყველა პირს რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს მისი გვარისა (პატრონიმი) და პირველი სახელების უმცირესობის ენაზე გამოყენების და მათი ოფიციალური აღიარების უფლება, მათი სამართლებრივი სისტემით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2. მხარეები ვალდებულებას იღებენ აღიარონ, რომ ყველა პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება გამოიყენოს მისი უმცირესობის ენობრივი ნიშნები, წარწერები და სხვა პირადი ხასიათის იმფორმაცია, რომელიც შესაძენვეი იქნება საზოგადოებისათვის.

3. იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობენ პირები, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირე-

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

სობებს, მხარეები მათი სამართლებრივი სისტემებისა და საჭიროების შესაბამისად, ასევე სხვა სახელმწიფოებთან შეთანხმებების ფარგლებში და მათი სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით, ეცდებიან გამოფინონ ტრადიციული ადგილობრივი სახელები, ქუჩის სახელები და საზოგადოებისათვის განკუთვნილი სხვა ტოფოგრაფიული მითითებანი უმცირესობის ენაზეც, როდესაც სახეზეა ამგვარი მითითებების არსებობის საკმარისი მოთხოვნა.

მუხლი 12

1. მხარეები, საჭიროების შემთხვევაში, მიიღებენ ზომებს განათლებისა და მეცნიერული კვლევის სფეროში თავიანთი ეროვნული უმცირესობებისა და უმრავლესობის კულტურის, ისტორიის, ენისა და რელიგიის ცოდნის გასაღრმავებლად.

2. ამ კონტექსტში, მხარეები, ინტერალია, უზრუნველყოფენ მასწავლებელთა პროფესიული მომზადებისა და სახელმძღვანელოებისადმი ხელმისაწვდომობის ადეკვატურ შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობენ კონტაქტებს სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის.

3. მხარეები ვალდებულიებას იღებენ უზრუნველყონ ყველა დონის განათლებისადმი თანაბარი ხელმისაწვდომობა იმ პირებისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.

მუხლი 13

1. მათი განათლების სისტემის ფარგლებში, მხარეები აღიარებენ, რომ ნებისმიერ პირებს რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობას, აქვთ უფლება შექმნან და წარმართონ მათი საკუთარი კერძო საგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების დაწესებულებები.

2. ამ უფლების განხორციელებას შედეგად არ მოჰყვება მხარეთა რაიმე ფინანსური ვალდებულება.

მუხლი 14

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აღიარონ, რომ ნებისმიერ პირს, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, აქვს უფლება ისწავლოს მისი უმცირესობის ენა.

2. იმ ადგილებში, სადაც ტრადიციულად ან მნიშვნელოვანი რაოდენობით ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები და თუკი არსებობს სათანადო მოთხოვნა, მხარეები თავიანთი განათლების სისტემის ფარგლებში ეცდებიან მაქსიმალურად უზრუნველყონ, რომ პირებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს, ჰქონდეთ უმცირესობის ენაზე სწავლის ან ამ ენაზე ინსტრუქტაჟის მიღების ადეკვატური შესაძლებლობანი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტი განხორციელდება ოფიციალური ენის სწავლის ან ამ ენაზე სწავლებისათვის ზიანის მიყენების გარეშე.

მუხლი 15

მხარეები შეუქმნიან აუცილებელ პირობებს ეროვნული უმცი-

რესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობისათვის კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებასა და იმ საზოგადოებრივ საქმეებში, რომლებიც კერძოდ მათ ეხებათ.

მუხლი 16

მხარეები თავს შეიკავებენ იმ ზომების მიღებისაგან, რომლებიც ცვლიან მოსახლეობის პროპორციას იმ ადგილებში, სადაც ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირები და მიზნად ისახავენ წინამდებარე ჩარჩო კონვენციიდან გამომდინარე უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას.

მუხლი 17

1. მხარეები იღებენ ვალდებულებას არ ჩაერიონ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების უფლების განხორციელებაში, დაამყარონ და შეინარჩუნონ მშვიდობიანი ურთიერთობები საზღვარგარეთ იმ პირებთან, რომლებიც კანონიერად იმყოფებიან სხვა სახელმწიფოებში და კერძოდ იმათთან, რომლებთანაც მათ აკავშირებთ საერთო ეთნიკური, კულტურული, ლინგვისტური ან რელიგიური თვითმყოფადობა ან საერთო კულტურული მემკვიდრეობა.

2. მხარეები იღებენ ვალდებულებას არ ჩაერიონ ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების უფლების განხორციელებაში მონაწილეობა მიიღონ არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაში, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

მუხლი 18

1. მხარეები აუცილებლობის შემთხვევაში, ეცდებიან დადონ ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები სხვა სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით მეზობელ სახელმწიფოებთან, რათა უზრუნველყონ იმ პირების დაცვა, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ უმცირესობებს.

2. სათანადო შემთხვევაში, მხარეები მიიღებენ ზომებს შესაბამისი ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის წასახალისებლად.

მუხლი 19

მხარეები იღებენ ვალდებულებას პატივი სცენ და განახორციელონ წინამდებარე ჩარჩო კონვენციიდან გამომდინარე პრინციპები და გადახვევები, რომლებიც დადგენილნი არიან საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტებით, კერძოდ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციით, იმ ზომით, რითაც ისინი შესაბამისობაში იქნებიან ზემოთ მოხსენიებული პრინციპებიდან გამომდინარე უფლებებსა და თავისუფლებებთან.

ნაწილი III

მუხლი 20

წინამდებარე ჩარჩო კონვენციის პრინციპებიდან გამომდინარე უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისას, ნებისმიერი პირი, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ უმცირესობას, პატივს სცემს ეროვნულ კანონმდებლობას და სხვათა უფლებებს, კერძოდ იმათ

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

უფლებებს, რომლებიც მიეკუთვნებიან უმრავლესობას ან სხვა ეროვნულ უმცირესობას.

მუხლი 21

არაფერი, გათვალისწინებული წინამდებარე ჩარჩო კონვენციით, შეიძლება ახსნაგანმარტებული იქნას იმგვარად, რომ გულისხმობდეს რაიმე საქმიანობის წარმოების ან რაიმე ქმედების შესრულების უფლებას, რაც წინააღმდეგობაში იქნება საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან და კერძოდ, სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის, ტერიტორიული მთლიანობის და პოლიტიკური დამოუკიდებლობის პრინციპებთან.

მუხლი 22

არაფერი გათვალისწინებული წინამდებარე ჩარჩო კონვენციით, შეიძლება ახსნაგანმარტებული იქნას იმგვარად, რომ იზღუდებოდეს ან ირღვეოდეს რომელიმე ხელშემკვრელი მხარის კანონებით ან რაიმე სხვა შეთანხმებით, სადაც იგი ერთ-ერთი მხარეა, უზრუნველყოფილი რომელიმე უფლება ან ძირითადი თავისუფლება.

მუხლი 23

წინამდებარე ჩარჩო კონვენციის პრინციპებიდან გამომდინარე უფლებები და თავისუფლებები, იმ ზომით, რითაც ისინი წარმოადგენენ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის შესაბამისი დებულების საგანს, გაგებულნი იქნებიან, როგორც შესაბამისობაში მყოფნი შესაბამის დებულებასთან.

ნაწილი IV

მუხლი 24

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ზედამხედველობას გაუწევს ხელშემკვრელი მხარეების მიერ ამ ჩარჩო კონვენციის განხორციელებას. მხარეები, რომლებიც არ არიან ევროპის საბჭოს წევრები, მონაწილეობას მიიღებენ განხორციელების მექანიზმში შემდგომი განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

მუხლი 25

1. შესაბამისი ხელშემკვრელი მხარის მიმართ წინამდებარე ჩარჩო კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის ვადაში, მხარე ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მიაწვდის სრულ ინფორმაციას ამ ჩარჩო კონვენციაში მოცემული პრინციპების ასამოქმედებლად მიღებული საკანონმდებლო და სხვა ზომების შესახებ.

2. შემდგომში, თითოეული მხარე გადასცემს გენერალურ მდივანს პერიოდულ საფუძველზე და მინისტრთა კომიტეტის მოთხოვნისამებრ ამ ჩარჩო კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებულ შემდგომ ინფორმაციას.

3. გენერალური მდივანი გადასცემს მინისტრთა კომიტეტს ამ მუხლის

შესაბამისად მოწოდებულ ინფორმაციას.

მუხლი 26

მხარეთა მიერ ამ ჩარჩო კონვენციაში მოცემული პრინციპების ასამოქმედებლად მიღებული ზომების ადეკვატურობის შეფასებაში მინისტრთა კომიტეტს დაეხმარება საკონსულტაციო კომიტეტი, რომლის წევრებსაც ექნებათ აღიარებული ცოდნა ეროვნული უმცირესობების დაცვის სფეროში. საკონსულტაციო კომიტეტის შემადგენლობა და მისი რეგლამენტი განისაზღვრება მინისტრთა კომიტეტის მიერ ამ ჩარჩო კონვენციის ძალაში შესვლიდან ერთი წლის ვადაში.

ნაწილი V

მუხლი 27

ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის. კონვენციის ძალაში შესვლის თარიღამდე, იგი ღიაა ხელმოსაწერად ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსათვის, რომელსაც მოინვესტინისტრთა კომიტეტი. იგი ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას, სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 28

1. ეს ჩარჩო კონვენცია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამონურვას თარიღიდან, როდესაც ევროპის საბჭოს შვიდი წევრი სახელმწიფო 27-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად განაცხადებს თავის თანხმობას იყოს ვალდებული კონვენციით.

2. ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში განაცხადებს თავის თანხმობას იყოს ვალდებული მისით, ჩარჩო კონვენცია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამონურვას სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების თარიღიდან.

მუხლი 29

1. ამ ჩარჩო კონვენციის ძალაში შესვლის და ხელშემკვრელ მხარეებთან კონსულტაციების შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, ევროპის საბჭოს სტატუსის 20-დ მუხლის შესაბამისად ხმათა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილებით, შეუძლია მიიწვიოს ევროპის საბჭოს არანწევრი სახელმწიფო მიუერთდეს კონვენციას, რომელიც 27-ე მუხლის შესაბამისად მიწვეულია ხელი მოაწეროს კონვენციას, მაგრამ ჯერ არ მოუწერია ხელი და ასევე, ნებისმიერი სხვა არანწევრი სახელმწიფო.

2. შემდგომში მიერთებული სახელმწიფოს მიმართ, ჩარჩო კონვენცია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამონურვას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების თარიღიდან.

მუხლი 30

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

1. ნებისმიერ სახელმწიფოს ხელმოწერის ან მისი სარატიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან მიერთების სიგელის შესანახად დეპონირებისას შეუძლია განსაზღვროს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც იგი პასუხს აგებს და რომელთა მიმართაც მოხდება ამ ჩარჩო კონვენციის გამოყენება.

2. ყველა სახელმწიფოს მოგვიანებით ნებისმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული დეკლარაციის მეშვეობით, შეუძლია გააგრძელოს ამ ჩარჩო კონვენციის გამოყენება დეკლარაციაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე, ამგვარი ტერიტორიის მიმართ, ჩარჩო კონვენცია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას გენერალური მდივნის მიერ ამგვარ დეკლარაციის მიღების თარიღიდან.

3. წინა ორი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დეკლარაცია, ამგვარ დეკლარაციაში მითითებული ტერიტორიების მიმართ, შეიძლება უკან იქნას გამოთხოვილი გენერალური მდივნის სახელზე შეტყობინების გაგზავნის გზით. უკან გამოთხოვა ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას გენერალური მდივნის მიერ ამგვარი შეტყობინების მიღების თარიღიდან.

მუხლი 31

ყველა მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია დენონსაცია გაუკეთოს ამ ჩარჩო კონვენციას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გაგზავნის საშუალებით. ამგვარი დენონსაცია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს ექვსთვიანი ვადის ამოწურვას გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან.

მუხლი 32

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, სხვა ხელმომწერ სახელმწიფოებს და სახელმწიფოებს, რომლებიც მიუერთდნენ ამ ჩარჩო კონვენციას:

ა) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;

ბ) ნებისმიერი სარატიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების შესახებ;

გ) ამ ჩარჩო კონვენციის 28-ე, 29-ე, და 30-ე მუხლების შესაბამისად ძალაში შესვლის შესახებ;

დ) ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინების ან კომუნიკაციის შესახებ, რომელიც შეხებაში იქნება ამ ჩარჩო კონვენციასთან.

ამის დასტურად ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებმაც სათანადოდ იყვნენ რწმუნებულნი, ხელი მოაწერეს წინამდებარე ჩარჩო კონვენციას.

შესრულებულია სტრასბურგში 1995 წლის თებერვლის პირველ დღეს ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, ორივე ტექსტი არის თანაბრად აუთენტური შედგენილი თითო ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის

საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს მდივანი გადასცემს დამონმებულ ასლებს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს და ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს, რომელიც მიწვეულია ხელი მოაწეროს ან მიუერთდეს ამ ჩარჩო კონენციას.



ევროპული ქარტია რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესახებ

სტრასბურგი, 2. X. 1992

პრეამბულა

ქვემოთ ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა, კერძოდ, იმ იდეალებისა და პრინციპების დაცვისა და რეალიზაციის მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ მათ საერთო მემკვიდრეობას;

ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის ისტორიული რეგიონალური თუ უმცირესობათა ენების დაცვა, რომელთაგანაც ზოგიერთს საბოლოო გაქრობა ემუქრება, ხელს უწყობს ევროპის კულტურული სიმდიდრისა და ტრადიციების შენარჩუნებასა და განვითარებას;

ითვალისწინებენ რა, რომ პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში რეგიონალური ან უმცირესობის ენის გამოყენება წარმოადგენს ხელშეუხებელ უფლებას, რომელიც შეესაბამება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების საერთაშორისო პაქტით გათვალისწინებულ პრინციპებს და ასევე, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის სულისკვეთებას;

მხედველობაში იღებენ რა ეუთოს მიერ შესრულებულ სამუშაოს, კერძოდ კი 1957 წლის ჰელსინკის დასკვნით აქტსა და 1990 წლის კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტს;

ხაზს უსვამენ რა კულტურული ურთიერთობებისა და მრავალენოვნების ღირებულებას და ითვალისწინებენ რა იმას, რომ რეგიონალური ან უმცირესობათა ენების დაცვამ და წახალისებამ ზიანი არ უნდა მიაყენოს ოფიციალურ ენებსა და მათი შესწავლის აუცილებლობას;

აცნობიერებენ რა, რომ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებში რეგიონალური ან უმცირესობათა ენების დაცვა და მათთვის ხელის შეწყობა წარმოადგენს მნიშვნელოვან წვლილს დემკრატიისა და კულტურული მრავალფეროვნების პრინციპებზე დაფუძნებული ევროპის მშენებლობისათვის, ეროვნული სუვერენიტეტისა და ტერიტორიული

მთლიანობის ფარგლებში;

მხედველობაში იღებენ რა სპეციფიკურ პირობებსა და ისტორიულ ტრადიციებს ევროპული სახელმწიფოების სხვადასხვა რეგიონებში, შეთანხმდნენ შემდეგზე:

ნაწილი I

მუხლი 1 - განსაზღვრებები ამ ქარტიის მიზნებისათვის:

ა) “რეგიონალური ან უმცირესობათა ენები” ნიშნავს ენებს, რომლებიც:

i. ტრადიციულად გამოიყენებიან სახელმწიფოს შესაბამის ტერიტორიაზე ამ სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ, რომლებიც რიცხობრივად უფრო პატარა ჯგუფს წარმოადგენენ, ვიდრე ამ სახელმწიფოს დანარჩენი მოსახლეობა; და

ii. განსხვავდებიან სახელმწიფოს ოფიციალური ენისაგან (ენებისაგან); იგი არ მოიცავს სახელმწიფოს ოფიციალური ენის დიალექტებსა და არც მიგრანტების ენებს;

ბ) “ტერიტორია, რომელზედაც გამოიყენება რეგიონალური ან უმცირესობის ენა” ნიშნავს გეოგრაფიულ რაიონს, სადაც აღნიშნული ენა გამოხატვის საშუალებას წარმოადგენს იმ რაოდენობის ხალხისათვის, რომ ამ ქარტიით გათვალისწინებული სხვადასხვა დამცავი და ხელშემწყობი ზომების მიღება გამართლებული იყოს;

გ) “არა-ტერიტორიული ენები” ნიშნავს სახელმწიფოს მოქალაქეების მიერ გამოყენებულ ენებს, რომლებიც განსხვავდებიან სახელმწიფოს დანარჩენი მოსახლეობის მიერ გამოყენებული ენის ან ენებისაგან, მაგრამ რომლებიც, თუმცა ტრადიციულად გამოიყენებიან სახელმწიფოს ტერიტორიაზე, ვერ გაიგივდებიან რომელიმე კონკრეტულ რაიონთან.

მუხლი 2 - ვალდებულებანი

1. თითოეული მხარე ვალდებულია იღებს გამოიყენოს II ნაწილის დებულებები მის ტერიტორიაზე გამოყენებული ყველა რეგიონული ან უმცირესობის ენის მიმართ, რომელიც აკმაყოფილებს 1-ლ მუხლში მოცემულ განსაზღვრებას.

2. თითოეული მხარე ვალდებულია იღებს, მე-3 მუხლის თანახმად რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების დროს განსაზღვრული თითოეული ენის მიმართ გამოიყენოს ქარტიის III ნაწილიდან შერჩეული არანაკლებ ოცდათხუთმეტი პუნქტი ან ქვე-პუნქტი, რომელთა შორის არჩეული უნდა იყოს მე-8 და მე-12 მუხლებიდან არანაკლებ სამ-სამი პუნქტი და მე-9, მე-10, მე-11 და მე-13 მუხლების თითო პუნქტი მაინც.

მუხლი 3 - პრაქტიკული ღონისძიებები

1. თითოეული ხელშემკვერელი მხარე სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელში განსაზღვრავს თითოეულ რეგიონალურ ან უმცირესობის ენას ან ოფიციალურ ენას, რომელიც მთელს მის ტერიტორ-

რიაზე ან ტერიტორიის ნაწილში ნაკლებად არის გამოყენებული და რომელთა მიმართაც მოხდება მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შერჩეული პუნქტების გამოყენება.

2. ნებისმიერ მხარეს, მოგვიანებით ნებისმიერ დროს შეუძლია შეატყობინოს გენერალურ მდივანს, რომ იგი იღებს ქარტიის ნებისმიერი პუნქტის დებულებებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, რომლებიც არ არიან განსაზღვრულნი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელში, ან იგი გამოიყენებს წინამდებარე მუხლის 1-ლ პუნქტს სხვა რეგიონალურ ან უმცირესობათა ან სხვა ოფიციალური ენების მიმართ, რომლებიც ნაკლებად გამოიყენებიან მის მთელს ტერიტორიაზე ან ტერიტორიის ნაწილში.

3. წინა პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებები განიხილება რატიფიკაციის, მიღების ან მოწონების შემადგენელ ნაწილად და აქვს იგივე იურიდიული ძალა შეტყობინების გაგზავნის თარიღიდან.

მუხლი 4 - დაცვის არსებული რეჟიმები

1. არაფერი, გათვალისწინებული ამ ქარტიით, შეიძლება ახსნა-განმარტებული იქნას იმგვარად, რომ იზღუდებოდეს, ან ირღვეოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით უზრუნველყოფილი რომელიმე უფლება.

2. ამ ქარტიის დებულებები ზეგავლენას არ მოახდენენ უფრო ხელსაყრელ დებულებებზე, რომლებიც ეხებიან რეგიონალური ან უმცირესობათა ენების სტატუსს ან უმცირესობებისადმი კუთვნილი პირების სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც შეიძლება არსებობდეს ხელშემკვრელ სახელმწიფოში ან უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებებით.

მუხლი 5 - არსებული ვალდებულებანი

არაფერი, გათვალისწინებული ამ ქარტიით, შეიძლება ახსნა-განმარტებული იქნას იმგვარად, რომ იძლეოდეს რაიმე საქმიანობაში ჩართვის ან რაიმე საქმიანობის განხორციელების უფლებას, რაც წინააღმდეგობაში იქნება გაერთიანებული ერების ქარტიის მიზნებთან ან საერთაშორისო სამართლით დადგენილ სხვა ვალდებულებებთან, სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის ჩათვლით.

მუხლი 6 - ინფორმაცია

მხარეები ვალდებულებას იღებენ ზედამხედველობა გაუწიონ, რომ შესაბამისი ხელისუფლების ორგანოები, ორგანიზაციები და პირები ინფორმირებულნი იყვნენ ამ ქარტიით დადგენილი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ.

ნაწილი II

მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად განსახორციელებელი მიზნები და პრინციპები

მუხლი 7 - მიზნები და პრინციპები

1. რეგიონალური ან უმცირესობათა ენების მიმართ, იმ ტერიტო-

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

რიებზე, რომლებზედაც ასეთ ენებს იყენებენ და თითოეული ენის მდგომარეობის შესაბამისად, მხარეები თავიანთ პოლიტიკას, კანონმდებლობასა და პრაქტიკულ საქმიანობას ააგებენ შემდეგ მიზნებსა და პრინციპებზე დაყრდნობით:

ა) რეგიონალური ან უმცირესობათა ენების აღიარება კულტურული სიმდიდრის გამოხატულებად;

ბ) თითოეული რეგიონალური ან უმცირესობის ენის გეოგრაფიული არეალის პატივისცემა იმის უზრუნველსაყოფად, რომ არსებული ან ახალი ადმინისტრაციული დაყოფა დაბრკოლებას არ წარმოადგენდეს შესაბამისი რეგიონალური ან უმცირესობის ენის ხელშეწყობისათვის;

გ) რეგიონალური ან უმცირესობათა ენების ხელშესაწყობად გადამჭრელი მოქმედების აუცილებლობის აღიარება, მათი დაცვის მიზნით;

დ) ზეპირი და წერილობითი ფორმით, საჯაროდ და პირად ცხოვრებაში რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენების ხელშეწყობა და/ან ნახალისება;

ე) ქარტიით მოცულ სფეროებში რეგიონულ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკე ჯგუფებსა და სახელმწიფოში იმავე ან მსგავს ენაზე მოლაპარაკე ჯგუფებს შორის კავშირის შენარჩუნება და განვითარება, ისევე, როგორც კულტურული ურთიერთობების დამყარება სახელმწიფოში სხვა ჯგუფებთან, რომლებიც იყენებენ განსხვავებულ ენებს;

ვ) შესაბამისი ფორმებისა და საშუალებების უზრუნველყოფა ყველა შესაბამის საფეხურზე რეგიონალური ან უმცირესობათა ენების სწავლებისა და შესწავლისათვის;

ზ) რეგიონალური ან უმცირესობის ენის შესასწავლად პირობების შექმნა იმ რაიონში მოცხოვრები პირებისათვის, სადაც გამოიყენება შესაბამისი ენა, თუკი შესაბამისი პირები ვერ საუბრობენ ამ ენაზე და აქვთ მისი შესწავლის სურვილი;

თ) უნივერსიტეტებსა ან ანალოგიურ ინსტიტუტებში რეგიონალური ან უმცირესობათა ენების შესწავლისა და გამოკვლევის ხელშეწყობა;

ი) ამ ქარტიით მოცულ სფეროებში ტრანსნაციონალური გაცვლების შესაბამისი ფორმების ხელშეწყობა, იმ რეგიონალური ან უმცირესობათა ენების ხელშესაწყობად, რომლებიც იდენტური ან მსგავსი ფორმით გამოიყენებიან ორ ან მეტ სახელმწიფოში.

2. მხარეები ვალდებულია იღებენ აღკვეთონ, თუ ჯერ არ აღუკვეთავთ, რეგიონალურ და უმცირესობათა ენების მიმართ ნებისმიერი გაუმართლებელი გამოჩენვა, გამორიცხვა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება, რომელიც მიზნად ისახავს ამ ენების დაცვისა და განვითარებისათვის ხელის შეშლას ან საფრთხეში ჩაგდებას. რეგიონალური ან უმცირესობათა ენების სასარგებლოდ სპეციალური ზომების მიღება, რომლებიც მიზნად ისახავენ ამ ენებზე მოლაპარაკეთა და დანარჩენ მოსახლეობას შორის თანასწორობის ხელშეწყობას ან რომლებიც სათანადოდ იღებენ მხედველობაში ამ ენების განსაკუთრებულ პირობებს, არ ჩაითვლება დისკრიმინაციის აქტად უფრო გავრცელებულ ენებზე

მოლაპარაკეთა მიმართ.

3. მხარეები ვალდებულიებას იღებენ შესაბამისი ღონისძიებებით ხელი შეუწყონ ურთიერთგაგებას ქვეყნის ყველა ლინგვისტურ ჯგუფს შორის და კერძოდ, თავიანთ ქვეყნებში უზრუნველყოფილი განათლებისა და პროფესიული მომზადების მიზნებს შორის ჩართონ რეგიონალური და უმცირესობათა ენების მიმართ პატივისცემა, გაგება და ტოლერანტული დამოკიდებულება და ასევე ნაახალისონ მასმედია იმავე მიზნების დასახვისათვის.

4. რეგიონალური ან უმცირესობათა ენების მიმართ ეროვნული პოლიტიკის განსაზღვრისას, მხარეები მხედველობაში მიიღებენ ამ ენებზე მოლაპარაკე ჯგუფების საჭიროებებსა და მათ მიერ გამოთქმულ სურვილებს. ნახალისდება მათ მიერ, აუცილებლობის შემთხვევაში, ისეთი ორგანოების შექმნა, რომლებიც, ხელისუფლების ორგანოებს რჩევებს მისცემენ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.

5. მხარეები ვალდებულიებას იღებენ არატერიტორიული ენების მიმართ მუტატის მუტანდის გამოიყენონ, ზემო 1 - 4 პუნქტებში მოცემული პრინციპები. ამასთან, ამ ენებთან მიმართებაში, წინამდებარე ქარტიის ასამოქმედებლად მისაღები ზომების ხასიათი და მასშტაბი განისაზღვრება მოქნილი წესით, აღნიშნულ ენებზე მოლაპარაკე ჯგუფების საჭიროებებისა და სურვილების გათვალისწინებითა და მათი ტრადიციებისა და სპეციფიკური თავისებურებების პატივისცემით.

ნაწილი III

მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით აღებული ვალდებულებების შესაბამისად რეგიონალური ან უმცირესობათა ენების ხელშეწყობის ზომები

მუხლი 8 - განათლება

1. განათლების სფეროში მხარეები ვალდებულიებას იღებენ იმ ტერიტორიებზე, სადაც ასეთი ენები გამოიყენება, ამ ენათაგან თითოეულის მდგომარეობის გათვალისწინებით და სახელმწიფო ენის (ენების) სწავლებისათვის ზიანის მიყენების გარეშე:

ა)

i. ხელმისაწვდომი გახადონ სკოლამდელი განათლება შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან

ii. ხელმისაწვდომი გახადონ სკოლამდელი განათლების არსებითი ნაწილი შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან

iii. გამოიყენონ ზემო ი და იი ქვე-პუნქტებით გათვალისწინებული ზომები იმ მოსწავლეთა მიმართ მაინც, რომელთა ოჯახებიც ითხოვენ ამას და რომელთა რაოდენობაც საკმარისად ჩაითვლება; ან

iv. თუ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს არა აქვთ პირდაპირი კომპეტენცია სკოლამდელი განათლების სფეროში, ხელი შეუწყონ და ნაახალისონ i-დან iii-მდე ქვე-პუნქტებით გათვალისწინებული ზომების

გამოყენება;

ბ)

i. ხელმისაწვდომი გახადონ დანყებითი განათლება შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე;

ii. ხელმისაწვდომი გახადონ დანყებითი განათლების არსებითი ნაწილი შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან

iii. უზრუნველყონ შესაბამისი რეგიონალური ან უმცირესობის ენის დანყებითი განათლების პროგრამაში ჩართვა მეცადინეობათა განრიგის შემადგენელ ნაწილად; ან

iv. გამოიყენონ i-დან iii-მდე ქვე-პუნქტებით გათვალისწინებული ზომებიდან ერთ-ერთი იმ მოსწავლეთა მიმართ მაინც, რომელთა ოჯახებიც ითხოვენ ამას და რომელთა რაოდენობაც საკმარისად ჩაითვლება;

გ)

i. ხელმისაწვდომი გახადონ საშუალო განათლება შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე;

ii. ხელმისაწვდომი გახადონ საშუალო განათლების არსებითი ნაწილი შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან

iii. უზრუნველყონ შესაბამისი რეგიონალური ან უმცირესობის ენის საშუალო განათლების პროგრამაში ჩართვა მეცადინეობათა განრიგის შემადგენელ ნაწილად; ან

iv. გამოიყენონ ზემო ი-დან იი-მდე ქვე-პუნქტებით გათვალისწინებული ზომებიდან ერთ-ერთი იმ მოსწავლეთა მიმართ მაინც, რომლებიც, ან სათანადო შემთხვევებში, რომელთა ოჯახებიც ითხოვენ ამას და რომელთა რაოდენობაც საკმარისად ჩაითვლება.

დ)

i. ხელმისაწვდომი გახადონ ტექნიკური და პროფესიული განათლება შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან

ii. ხელმისაწვდომი გახადონ ტექნიკური და პროფესიული განათლების არსებითი ნაწილი შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან

iii. ტექნიკური და პროფესიული განათლების სფეროში უზრუნველყონ, რომ შესაბამისი რეგიონალური ან უმცირესობათა ენების სწავლება იყოს მეცადინეობათა განრიგის შემადგენელი ნაწილი; ან

iv. გამოიყენონ ზემო i-დან iii-მდე ქვე-პუნქტებით გათვალისწინებული ზომებიდან ერთ-ერთი იმ მოსწავლეთა მიმართ მაინც, რომლებიც, ან სათანადო შემთხვევებში, რომელთა ოჯახებიც ითხოვენ ამას და რომელთა რაოდენობაც საკმარისად ჩაითვლება.

ე)

i. ხელმისაწვდომი გახადონ საუნივერსიტეტო და სხვა სახის უმაღლესი განათლება შესაბამის რეგიონალურ თუ უმცირესობათა ენებზე; ან

ii. უზრუნველყონ საშუალებები ამ ენების შესასწავლად უნივერსი-

ტეტის ან უმაღლესი განათლების ერთ-ერთი საგნის ფორმით;

iii. თუკი უმაღლესი განათლების ინსტიტუტების მიმართ სახელმწიფოს როლის მიზეზით ვერ მოხერხდება i და ii ქვე-პუნქტების განხორციელება, წაახალისონ და/ან ნება დართონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე საუნივერსიტეტო და სხვა ფორმის უმაღლესი განათლების მიღების ან ამ ენების საუნივერსიტეტო ან უმაღლესი განათლების საგნებად სწავლების შესაძლებლობების უზრუნველყოფას;

3)

i. მიიღონ ზომები მოზრდილთათვის და განათლების გაგრძელებით-სათვის კურსების ჩასატარებლად, რომლებშიც სწავლება მთლიანად ან ნაწილობრივ განხორციელდება რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე;

ii. უზრუნველყონ, რომ ასეთი ენები იყოს მოზრდილთა და განგრძობითი განათლების საგნები, ან;

iii. თუ ხელისუფლების ორგანოებს პირდაპირი კომპეტენცია არა აქვთ მოზრდილთა განათლების სფეროში, ხელი შეუწყონ და წაახალისონ, რომ ასეთი ენები წარმოადგენდნენ მოზრდილთა და განგრძობითი განათლების დისციპლინებს.

ბ) მიიღონ ზომები, რომ უზრუნველყოფილი იქნას იმ ისტორიისა და კულტურის სწავლება, რომელიც ასახულია რეგიონალურ ან უმცირესობის ენაში;

თ) უზრუნველყონ მასწავლებელთა ძირითადი და შემდგომი პროფესიული მომზადება, რაც მოითხოვება იმ პუნქტების განსახორციელებლად, რომლებიც მიღებულნი არიან მხარის მიერ ა-დან გ-მდე პუნქტებს შორის.

ი) შექმნან საზეადამხედველო ორგანო ან ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან რეგიონალური ან უმცირესობათა ენების სწავლების შემოღებისა და განვითარების სფეროში მოღწეული პროგრესის მონიტორინგზე და მათ მიერ მოკვლეული შედეგების შესახებ პეროდული მოხსენებების შედგენაზე, რომლებიც შემდგომში საჯაროდ გამოქვეყნდებიან.

2. რაც შეეხება განათლებას იმ ტერიტორიებზე, სადაც ტრადიციულად არ გამოიყენებიან რეგიონალური ან უმცირესობათა ენები, მხარეები ვალდებულიება იღებენ ნება დართონ, წაახალისონ ან უზრუნველყონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე ან ამ ენების სწავლება განათლების ყველა შესაბამის საფეხურზე, თუ რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა ამას ამართლებს.

მუხლი 9 - სასამართლო ორგანოები

1. მხარეები ვალდებულიება იღებენ, იმ სასამართლო ოლქების მიმართ, სადაც მცხოვრებთა რაოდენობა, რომლებიც იყენებენ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებს, ამართლებს ქვემოთ განსაზღვრული ზომების მიღებას ამ ენათაგან თითოეულის მდგომარეობის შესაბამისად და იმ პირობით, რომ

სამართალმცოდნეობის საფუძვლადგმად დოკუმენტაცია

წინამდებარე პუნქტით უზრუნველყოფილი შედეგები მოსამართლის მიერ არ უნდა განიხილებოდეს ისეთებდა, რომლებიც აბრკოლებენ მართლმსაჯულების სათანადოდ განხორციელებას:

ა) სისხლის სამართალწარმოებაში:

i. უზრუნველყონ, რომ სასამართლოები ერთ-ერთი მხარის თხოვნით ახორციელებდნენ სამართალწარმოებას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; და/ან

ii. ბრალდებულისათვის უზრუნველყონ მისი რეგიონალური ან უმცირესობის ენის გამოყენების უფლება; და/ან

iii. უზრუნველყონ, რომ წერილობითი თუ ზეპირი თხოვნები და მტკიცებულებები არ განიხილებოდნენ მიუღებლად მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ისინი ფორმულირებულნი არიან რეგიონალურ ან უმცირესობათა ენაზე; და/ან

iv. თხოვნის საფუძველზე აწარმოონ სამართალწარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე, აუცილებლობის შემთხვევაში, თარჯიმანთა და მთარგმნელთა გამოყენებით შესაბამის პირებზე ზედმეტი ხარჯების დაკისრების გარეშე;

ბ) სამოქალაქო სამართალწარმოებაში:

i. უზრუნველყონ, რომ სასამართლოები ერთ-ერთი მხარის თხოვნით ახორციელებდნენ სამართალწარმოებას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; და/ან

ii. ნება დართონ, რომ სამართალწარმოების მონაწილის სასამართლოში პირადად გამოცხადებისას, მას შეეძლოს მისი რეგიონალური ან უმცირესობის ენის გამოყენება მისთვის დამატებითი ხარჯების დაკისრების გარეშე; და/ან

iii. ნება დართონ, რომ მოხდეს დოკუმენტებისა და მტკიცებულებების წარმოება რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე, აუცილებლობის შემთხვევაში თარჯიმანთა და მთარგმნელთა გამოყენებით;

გ) ადმინისტრაციულ საკითხებზე სამართალწარმოებაში:

i. უზრუნველყონ, რომ სასამართლოებმა ერთ-ერთი მხარის თხოვნით განახორციელონ სამართალწარმოება რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; და/ან

ii. ნება დართონ, რომ სამართალწარმოების მონაწილის სასამართლოში პირადად გამოცხადებისას მას შეეძლოს მისი რეგიონალური ან უმცირესობის ენის გამოყენება მისთვის დამატებითი ხარჯების დაკისრების გარეშე; და/ან

iii. ნება დართონ, რომ მოხდეს დოკუმენტებისა და მტკიცებულებების წარმოება რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე, აუცილებლობის შემთხვევაში, თარჯიმანთა და მთარგმნელთა გამოყენებით;

დ) გადადგან ნაბიჯები, რათა უზრუნველყონ, რომ ზემო ა და ბ პუნქტების ი და იი ქვეპუნქტებისა და თარჯიმანთა და მთარგმნელთა

ნებისმიერ აუცილებელ გამოყენებას შედეგად არ მოჰყვეს დამატებითი ხარჯების დაკისრება შესაბამის პირებზე.

2. მხარეები ვალდებულიებას იღებენ:

ა) არ უარყონ სახელმწიფოში მომზადებულ სასამართლო დოკუმენტთა იურიდიული ძალა მხოლოდ იმის გამო, რომ, ისინი შედგენილნი არიან რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე; ან

ბ) მხარეებმა თავიანთ შორის ურთიერთობებში არ უარყონ მომზადებულ სასამართლო დოკუმენტთა იურიდიული ძალა მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი შედგენილნი არიან რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე და უზრუნველყონ, რომ მათი გამოყენება შესაძლებელი იყოს მესამე მხარეთა წინააღმდეგ, რომლებიც არ იყენებენ ამ ენებს, იმ პირობით, რომ დოკუმენტების შინაარსი უნდა გაცნოთ მათ იმ პირების მიერ, რომლებიც მოიხმობენ ამ დოკუმენტს; ან

გ) მხარეებმა თავიანთ შორის ურთიერთობებში არ უარყონ ქვეყანაში მომზადებულ სასამართლო დოკუმენტთა იურიდიული ძალა, მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ისინი შედგენილნი არიან რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე.

3. მხარეები ვალდებულიებას იღებენ ხელმისაწვდომი გახადონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე ყველაზე მნიშვნელოვანი ეროვნული საკანონმდებლო ტექსტები და კერძოდ, ისინი, რომლებიც ეხებიან ამ ენებზე მოლაპარაკებებს, თუკი ამ ტექსტების მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი.

მუხლი 10 - ხელისუფლების ადმინისტრაციული ორგანოები და სახელმწიფო სამსახურები

1. სახელმწიფოს იმ ადმინისტრაციულ რაიონებში, სადაც ცხოვრობს რეგიონალური ან უმცირესობების ენებზე მოლაპარაკე მოსახლეობის ისეთი საკმარისი რაოდენობა, რომელიც ამართლებს ქვემოთ განსაზღვრული ზომების მიღებას, და თითოეული ენის მდგომარეობის გათვალისწინებით, მხარეები ვალდებულიებას იღებენ, იმ ზომით, რითაც ეს ობიექტურად შესაძლებელი იქნება:

ა)

i. უზრუნველყონ, რომ ხელისუფლების ადმინისტრაციულმა ერთეულებმა გამოიყენონ რეგიონალური ან უმცირესობების ენები; ან

ii. უზრუნველყონ, რომ ამ ორგანოთა მოხელეებმა, რომლებიც კონტაქტში შედიან საზოგადოებასთან, გამოიყენონ რეგიონალური ან უმცირესობათა ენები იმ პირებთან ურთიერთობებში, რომლებიც მიმართავენ მათ ამ ენებზე; ან

iii. უზრუნველყონ, რომ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკებებს შეძლოთ წერილობითი ან ზეპირი მიმართვების წარდგენა და ამ ენებზე შედგენილი პასუხების მიღება;

iv. უზრუნველყონ, რომ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკებებს შეეძლოთ ამ ენებზე შედგენილი წერილობითი ან ზეპირი მიმართვების წარდგენა; ან

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

ვ. უზრუნველყონ, რომ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკებებს შეეძლოთ ამ ენებზე შედგენილი დოკუმენტის წარდგენა დადგენილი წესით;

ბ) ხელმისაწვდომი გახადონ ფართოდ გამოყენებული ადმინისტრაციული ტექსტები და ფორმები რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე ან ორენოვანი ვერსიებით;

გ) ნება დართონ ხელისუფლების ადმინისტრაციულ ორგანოებს შეადგინონ დოკუმენტები რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე.

2. ხელისუფლების იმ ადგილობრივ და რეგიონალურ ორგანოთა მიმართ, რომელთა ტერიტორიაზეც მოსახლეობის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკეთა რაოდენობა ისეთია, რომ ამართლებს ქვემოთ განსაზღვრული ზომების მიღებას, მხარეები ვალდებულიებას იღებენ ნება დართონ და/ან წაახალისონ:

ა) რეგიონალურ ან უმცირესობათა ენების გამოყენება ხელისუფლების რეგიონალური ან ადგილობრივი ორგანოების საქმიანობის ფარგლებში;

ბ) რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკეთა შესაძლებლობა წარადგინონ ამ ენებზე შედგენილი ზეპირი ან წერილობითი მიმართვები;

გ) ხელისუფლების რეგიონალური ორგანოების მიერ მათი ოფიციალური დოკუმენტების გამოქვეყნება შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზეც;

დ) ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ მათი ოფიციალური დოკუმენტების გამოქვეყნება შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზეც;

ე) ხელისუფლების რეგიონალური ორგანოების მიერ მათ შეკრებებზე გამართული განხილვებისას რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენება, ამასთან, სახელმწიფოს ოფიციალური ენის (ენების) გამოყენების გამორიცხვის გარეშე;

ვ) ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ მათ შეკრებებზე გამართული განხილვებისას რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენება, ამასთან, სახელმწიფოს ოფიციალური ენის (ენების) გამოყენების გამორიცხვის გარეშე;

ზ) აუცილებლობის შემთხვევაში, ოფიციალურ ენაზე (ენებზე) სახელელებთან ერთად რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე ადგილების სახელწოდებათა ტრადიციული და სწორი ფორმების გამოყენებადა მიიღება.

3. ხელისუფლების ადმინისტრაციული ორგანოების ან მათი სახელით მოქმედი პირების მიერ უზრუნველყოფილი სახელმწიფო სამსახურების მიმართ, მხარეები ვალდებულიებას იღებენ, მათი ტერიტორიის ფარგლებში, სადაც გამოიყენებან რეგიონალური ან უმცირესობათა ენები, თითოეული ენის მდგომარეობის შესაბამისად და იმ ზომით, რითაც ეს

ობიექტურად შესაძლებელი იქნება:

ა) უზრუნველყონ რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენება სამსახურის უზრუნველყოფისას; ან

ბ) ნება დართონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკებებს წარადგინონ თხოვნა და მიიღონ პასუხი ამ ენებზე; ან

გ) ნება დართონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკებებს წარადგინონ ამ ენებზე შედგენილი თხოვნა.

4. 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტებიდან მათ მიერ მიღებული დებულებების ასამოქმედებლად მხარეები ვალდებულიებას იღებენ მიიღონ შემდეგი ერთი ან მეტი ზომა:

ა) გადათარგმნა ან თარჯიმნობა, როდესაც ეს მოითხოვება;

ბ) სათანადო მოხელეთა დასაქმება სახელმწიფო სამსახურში და აუცილებლობის შემთხვევაში, მათი და სხვა სახელმწიფო მოხელეთა პროფესიული მომზადება;

გ) რეგიონალური ან უმცირესობის ენის მცოდნე სახელმწიფო სამსახურის მოხელეთა თხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილება მათი იმ ტერიტორიაზე დანიშვნასთან დაკავშირებით, სადაც გამოიყენება შესაბამისი ენა.

5. მხარეები ვალდებულიებას იღებენ ნება დართონ გვარების გამოყენებასა და მიღებას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე, შესაბამისი პირების თხოვნის საფუძველზე.

მუხლი 11 - მასმედია

1. მხარეები ვალდებულიებას იღებენ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკებისათვის, იმ ტერიტორიებზე, სადაც გამოიყენება ეს ენები, თითოეული ენის მდგომარეობის შესაბამისად და იმ ზომით, რითაც ხელისუფლების ორგანოები პირდაპირ ან არაპირდაპირ კომპეტენტურნი არიან და აქვთ ამ სფეროში როლის შესრულების უფლებამოსილება, მასმედიის დამოუკიდებლობისა და ავტონომიის პრინციპის პატივისცემით:

ა) იმ ზომით, რითაც რადიო და ტელევიზია ახორციელებენ სახელმწიფო სამსახურის ფუნქციებს:

i. უზრუნველყონ თუნდაც ერთი რადიო სადგურისა და სატელევიზიო არხის შექმნა რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან

ii. წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ თუნდაც ერთი რადიო სადგურისა და ერთი სატელევიზიო არხის შექმნას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან

iii. სათანადოდ უზრუნველყონ, რომ ტელე-რადიო მაუწყებლობამ წარმოადგინოს პროგრამები რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე;

ბ)

i. წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ თუნდაც ერთი რადიო სადგურისა და ერთი სატელევიზიო არხის შექმნას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე; ან

ii. წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ რადიო პროგრამების მაუწყებ-

საართაშორისო სამართლებრივი დოკუმენტაჲი

ლობას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე რეგულარულ საფუძველზე;

გ)

i. წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ თუნდაც ერთი სარელევიზიო არხის შექმნას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე;

ii. წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ სატელევიზიო პროგრამების მაუწყებლობას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე რეგულარულ საფუძველზე;

დ) წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე აუდიო და აუდიოვიზუალური ნაშრომების წარმოებას და დისტრიბუციას;

ე)

i. წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე თუნდაც ერთი გაზეთის შექმნას და/ან შენარჩუნებას; ან

ii. წაახალისონ და/ან ხელი შეუწყონ საგაზეთო სტატიების გამოქვეყნებას რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე რეგულარულ საფუძველზე;

ვ)

i. დაფარონ იმ მასმედიის დამატებითი ხარჯები, რომლებიც იყენებენ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებს, როდესაც კანონით ზოგადად უზრუნველყოფილია მასმედიის ფინანსური დახმარება; ან

ii. გამოიყენონ ფინანსური დახმარების არსებული ზომები რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე შექმნილი აუდიოვიზუალური ნაწარმოებების მიმართაც.

ბ) მხარი დაუჭირონ იმ ჟურნალისტთა და მასმედიის სხვა მოხელეთა პროფესიულ მომზადებას, რომლებიც იყენებენ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებს.

2. მხარეები ვალდებულიებას იღებენ უზრუნველყონ მეზობელი ქვეყნებიდან იმ ენაზე რადიო და ტელემაუწყებლობის პირდაპირი მიღების თავისუფლება, რომელიც გამოიყენება რეგიონალური ან უმცირესობის ენის იდენტური ან მსგავსი ფორმით და არ დააბრკოლონ რადიო და სატელევიზიო მაუწყებლობის გადმოცემა მეზობელი ქვეყნებიდან ასეთ ენაზე. ამას გარდა, ისინი ვალდებულიებას იღებენ უზრუნველყონ, რომ შეზღუდვები არ იქნას დანესებული გამოხატვის თავისუფლებაზე და ბეჭდვითი პრესის მეშვეობით ინფორმაციის თავისუფალ ცირკულაციაზე იმ ენაზე, რომელიც გამოიყენება რეგიონალური ან უმცირესობის ენის იდენტური ან მსგავსი ფორმით. ზემოხსენებული თავისუფლებების განხორციელება, იმის გამო, რომ იგი შეიცავს მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებული არიან კანონით და აუცილებელი არიან დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოე-

ბრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე უწესრიგობის ან დანაშაულის პრევენციისათვის, ჯანმრთელობისა და მორალის და სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვისათვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ან სასამართლოს ხელისუფლებისა და მიუკერძოებლობის შესანარჩუნებლად.

3. მხარეები ვალდებულიებას იღებენ უზრუნველყონ, რომ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მოლაპარაკეთა ინტერესები წარმოდგენილი იქნან ან მხედველობაში იქნან მიღებული იმ ორგანოების მიერ, რომლებიც შეიძლება შეიქმნან კანონის შესაბამისად მასმედიის თავისუფლებისა და პლურალიზმის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 12 - კულტურული საქმიანობა და საშუალებები

1. კულტურული საქმიანობისა და ობიექტების, განსაკუთრებით, ბიბლიოთეკების, ვიდეოთეკების, კულტურული ცენტრების, მუზეუმების, არქივების, აკადემიების, თეატრებისა და კინოთეატრების, ისევე როგორც ლიტერატურული ნაწარმოებებისა და კინომატოგრაფიული პროდუქციის, ხალხური შემოქმედების, ფესტივალებისა და კულტურის დარგების მიმართ, რომლებიც, ინტერალია, მოიცავენ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას, მხარეები ვალდებულიებას იღებენ, რომ იმ ტერიტორიებზე სადაც გამოიყენებია ასეთი ენები და იმ ზომით, რითაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები კომპეტენტურნი არიან და აქვთ უფლებამოსილება ან ასრულებენ როლს ამ სფეროში:

ა) წაახალისონ რეგიონალური ან უმცირესობის ენისათვის დამახასიათებელი თვითგამოხატვის საშუალებები და ინიციატივები და მხარი დაუჭირონ ამ ენებზე შექმნილი ნაწარმოებებისადმი ხელმისაწვდომების სხვადასხვა საშუალებებს;

ბ) წაახალისონ რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე შექმნილი ნაწარმოებისადმი ხელმისაწვდომობა სხვა ენებში სათარგმანო, დუბლირების, პოსტ-სინქრონიზაციისა და სუბტიტრირების საქმიანობისათვის დახმარების განევის გზით;

გ) წაახალისონ სხვა ენებზე შექმნილი ნაწარმოებებისადმი ხელმისაწვდომობა რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე მთარგმნელობითი, დუბლირების, პოსტ-სინქრონიზაციისა და სუბტიტრირების საქმიანობისათვის დახმარების განევის გზით;

დ) უზრუნველყონ, რომ სხვადასხვა სახის კულტურული საქმიანობის ორგანიზაციისა და მხარდაჭერისათვის პასუხისმგებელმა ორგანოებმა დაანესონ შესაბამისი ანაზღაურება რეგიონალური ან უმცირესობათა ენებისა და კულტურის ცოდნისა და გამოყენებისათვის იმ ღონისძიებებში, რომლებსაც ისინი წამოიწყებენ ან რომლებისთვისაც ისინი უზრუნველყოფენ მხარდაჭერას;

ე) ხელი შეუწყონ იმ ზომებს, რომლებიც მიზნად ისახავენ რომ, კულტურული საქმიანობის ორგანიზაციისა და მხარდაჭერისათვის პასუხ-

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

ისმგებელ ორგანოებს ჰყავდეთ ისეთი პერსონალი, რომელიც სრულად ფლობს შესაბამის რეგიონალურ ან უმცირესობის ენას, ისევე როგორც, მოსახლეობის დანარჩენი ნაწილის ენას (ენებს);

ვ) წაახალისონ რეგიონალური ან უმცირესობის ენაზე მოლაპარაკეთა წარმომადგენლის მონაწილეობა კულტურული საქმიანობისათვის საშუალებების უზრუნველყოფაში და მათ დაგეგმვაში;

ზ) წაახალისონ და/ან მხარი დაუჭირონ ისეთი ორგანოს ან ორგანოების შექმნას, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე შექმნილი ნაწარმოებების შეკრებაზე, ასლის შენახვასა და წარმოდგენაზე ან გამოქვეყნებაზე;

თ) აუცილებლობის შემთხვევაში, შექმნან და/ან ხელი შეუწყონ და დააფინანსონ მთარგმნელობითი და ტერმინოლოგიის კვლევითი სამსახურები, კერძოდ იმ მიზნით, რომ შენარჩუნებული იქნას და განვითარდეს შესაბამისი ადმინისტრაციული, კომერციული, ეკონომიკური, სოციალური, ტექნიკური ან სამართლებრივი ტერმინოლოგია თითოეულ რეგიონალურ ან უმცირესობის ენაში.

2. იმ ტერიტორიების მიმართ, იმათ გარდა, სადაც ტრადიციულად გამოიყენებიან რეგიონალური ან უმცირესობათა ენები, თუკი რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობა ამას ამართლებს, მხარეები ვალდებულიებას იღებენ ნება დართონ, წაახალისონ და/ან უზრუნველყონ შესაბამისი კულტურული საქმიანობა და საშუალებები წინა პუნქტის შესაბამისად.

3. მხარეები ვალდებულიებას იღებენ კულტურის სფეროში მათი პოლიტიკის საზღვარგარეთ განხორციელებისას, სათანადო ყურადღება მიაქციონ რეგიონალურ და უმცირესობათა ენებს და იმ კულტურას, რომლის გამოხატულებაც ისინი არიან.

მუხლი 13 - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრება

1. ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის მიმართ, მხარეები ვალდებულიებას იღებენ, მთელი ქვეყნის მასშტაბით:

ა) აღმოფხვრან მათი კანონმდებლობიდან ნებისმიერი დებულება, რომელიც გასამართლებელი მიზეზების გარეშე კრძალავს ან ზღუდავს რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენებას დოკუმენტებში, რომლებიც ეხებიან ეკონომიკურ ან სოციალურ ცხოვრებას, კერძოდ შრომით კონტრაქტებს, და ასევე, ტექნიკურ დოკუმენტებში, ისეთებში როგორცაა პროდუქტების ანაღჭურვილობის გამოყენების ინსტრუქციები;

ბ) აკრძალონ კომპანიათა შიდა რეგულაციებსა და კერძო დოკუმენტებში ისეთი დებულებების ჩართვა, რომლებიც გამორიცხავენ ან ზღუდავენ რეგიონალურ ან უმცირესობების ენათა გამოყენებას, სულ მცირე ამ ენაზე მოლაპარაკებს შორის;

გ) არ დაუშვან ისეთი პრაქტიკა, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენების შეფერხებას ეკონომიკურ ან სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებით;

დ) ხელი შეუწყონ და/ან წაახალისონ რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენება სხვა საშუალებებით, რომლებიც გათვალისწინებული არ არიან ზემო ქვე-პუნქტებით.

2. ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის მიმართ, მხარეები ვალდებულია იღებენ, იმ ზომით, რითაც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები კომპეტენტურნი არიან, იმ ტერიტორიებზე, სადაც გამოიყენებიან რეგიონალური ან უმცირესობათა ენები და იმდენად, რამდენადაც ეს ობიექტურად მიზანშეწონილია:

ა) ჩართონ მათ საფინანსო და საბანკო რეგულაციებში დებულებები, რომლებიც კომერციულ პრაქტიკასთან შესაბამისობაში მყოფი პროცედურების საშუალებით, დართავენ ნებას რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენებას გადახდის ორდერების (ჩეკები, ვექსელები) ან სხვა ფინანსური დოკუმენტების შედგენაში, ან შესაბამის შემთხვევებში, უზრუნველყონ ასეთი დებულებების განხორციელება;

ბ) მათი კონტროლის (სახელმწიფო სექტორის) ქვეშ მყოფ ეკონომიკურ და სოციალურ სექტორში ორგანიზება გაუწიონ ისეთ საქმიანობას, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონალური ან უმცირესობათა ენების გამოყენების წახალისებას;

გ) უზრუნველყონ, რომ სოციალური სფეროს ობიექტებს, ისეთებს როგორებიცაა საავადმყოფოები, მოხუცებულთა სახლები, თავშესაფრები, შეიძლოა რეგიონალურ ან უმცირესობის ენაზე მოლაპარაკე იმ პირების მიღება და მათთან ურთიერთობა ამავე ენაზე, რომლებსაც ესაჭიროებათ მოვლა ავადმყოფობის, ასაკის ან სხვა მიზეზების გამო;

დ) შესაბამისი საშუალებებით უზრუნველყონ, რომ უსაფრთხოების ინსტრუქციები შედგენილი იყოს რეგიონალურ ან უმცირესობათა ენებზე;

ე) უზრუნველყონ, რომ მომხმარებელთა უფლებებზე სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოების მიერ მონოდედებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს რეგიონალურ და უმცირესობათა ენებზე.

მუხლი 14 - საზღვართშორისი გაცვლები

მხარეები ვალდებულია იღებენ:

ა) გამოიყენონ არსებული ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები, რომლებიც მათ აკავშირებთ იმ სახელმწიფოებთან, სადაც იგივე ენა გამოიყენება იდენტური ან მსგავსი ფორმით, ან აუცილებლობის შემთხვევაში, ეცადონ დადონ ასეთი შეთანხმებები, იმგვარად, რომ წაახალისონ კონტაქტები ერთსა და იმავე ენაზე მოლაპარაკეთა შორის შესაბამის სახელმწიფოებში კულტურის, განათლების, ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და შეუწყვეტელი განათლების სფეროებში;

ბ) რეგიონალური ან უმცირესობათა ენების სასარგებლოდ ხელი შეუწყონ და/ან წაახალისონ ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა, კერძოდ, ხელისუფლების რეგიონალურ ან ადგილობრივ ორგანოებს შორის,

საართველოს საგარეო ურთიერთობების დეპარტამენტი

რომელთა ტერიტორიებზეც ერთი და იგივე ენა გამოიყენება იდენტური ან მსგავსი ფორმით.

ნაწილი IV

ქარტიის გამოყენება

მუხლი 15 - პერიოდული მოხსენებები

1. მხარეები ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მინისტრთა კომიტეტის მიერ განსაზღვრული ფორმით წარუდგენენ მოხსენებას ამ ქარტიის I ნაწილის შესაბამისად მათ მიერ გატარებული პოლიტიკის და III ნაწილის მათ მიერ მიღებულ დებულებათა შესაბამისად განხორციელებული ზომების შესახებ. პირველი მოხსენების წარდგენა მოხდება შესაბამისი მხარის მიმართ ამ ქარტიის ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგი მოხსენებების წარდგენა მოხდება სამწლიანი ინტერვალებით პირველი მოხსენების შემდეგ.

2. მხარეები გამოაქვეყნებენ თავიანთ მოხსენებებს.

მუხლი 16 - მოხსენებების განხილვა

1. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის მე-15 მუხლის შესაბამისად წარდგენილი მოხსენებების შემოწმება მოხდება მე-17 მუხლის შესაბამისად შექმნილი ექსპერტთა კომიტეტის მიერ.

2. ხელშემკვერელ სახელმწიფოში კანონიერად შექმნილ ორგანოებსა და ასოციაციებს შეუძლიათ მიაპყრონ ექსპერტთა კომიტეტის ყურადღება იმ საკითხებზე, რომლებიც ეხებიან მხარის მიერ ამ ქარტიის III ნაწილის შესაბამისად აღებულ ვალდებულებებს. შესაბამის მხარესთან კონსულტაციების გამართვის შემდეგ, ექსპერტთა კომიტეტს შეუძლია მხედველობაში მიიღოს ინფორმაცია ქვემო მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოხსენების მომზადებისას. ამ ორგანოებს ან ასოციაციებს შეუძლიათ შემდგომშიც წარმოადგინონ განცხადებები მხარის მიერ I თავის შესაბამისად გატარებული პოლიტიკის შესახებ.

3. 1-ლ პუნქტში განსაზღვრული მოხსენებებისა და მე-2 პუნქტში მოხსენიებული ინფორმაციის საფუძველზე, ექსპერტთა კომიტეტი მოამზადებს მოხსენებას მინისტრთა კომიტეტისათვის წარსადგენად.

4. მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოხსენება, კერძოდ, შეიცავს ექსპერტთა კომიტეტის წინადადებებს მინისტრთა კომიტეტის მიმართ ამ უკანასკნელის მიერ შესაბამისი ერთი ან მეტი მხარის მიმართ სიტუაციით მოთხოვნილი რეკომენდაციების მომზადების თაობაზე.

5. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ყოველ ორ წელიწადში გააკეთებს დეტალურ მოხსენებას საპარლამენტო ასამბლეაზე ამ ქარტიის გამოყენების თაობაზე.

მუხლი 17 - ექსპერტთა კომიტეტი

1. ექსპერტთა კომიტეტი შედგება თითოეული მხარის თითო წარმომადგენლისაგან, რომლებსაც ნიშნავს მინისტრთა კომიტეტი შესაბამისი მხარის მიერ წარდგენილი უმაღლესი მორალური თვისებებისა და ქარტიით მოცულ საკითხებში აღიარებული კომპეტენციის მქონე პირთაგან

შემდგარი სიიდან.

2. კომიტეტის წევრები ინიშნებიან ექვსი წლის ვადით და შესაძლებელი იქნება მათი ხელახალი დანიშვნა. წევრი, რომელიც ვერ შეძლებს სამსახურის ვადის გასრულებას, შეიცვლება 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად და შემცვლელი წევრი იმსახურებს მის მიერ შეცვლილი წევრის უფლებამოსილების ვადის ამონურვამდე.

3. ექსპერტთა კომიტეტი მიიღებს თავის რეგლამენტს. მისი სამდივნოთი მომსახურება უზრუნველყოფილი იქნება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ.

ნაწილი V

დასკვნითი დებულებები

მუხლი 18

ეს ქარტია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის. იგი ექვემდებარება რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას. სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 19

1. ეს ქარტია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამონურვას თარიღიდან, როდესაც ევროპის საბჭოს ხუთი წევრი სახელმწიფო მე-18 მუხლის დებულებების შესაბამისად გამოთქვამს თავის თანხმობას იყოს ვალდებული ქარტიით.

2. ნებისმიერი სხვა წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში გამოთქვამს თავის თანხმობას იყოს ვალდებული მისით, ქარტია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამონურვას სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების თარიღიდან.

მუხლი 20

1. ამ ქარტიის ძალაში შესვლის შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მიიწვიოს ევროპის საბჭოს არაწევრი სახელმწიფო მიუერთდეს ამ ქარტიას.

2. ნებისმიერი მიერთებული სახელმწიფოს მიმართ, ქარტია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამონურვას მიერთების სიგელის ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის ჩაბარების თარიღიდან.

მუხლი 21

1. ნებისმიერ მხარეს, ხელმონერის ან მისი სარატიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარებისას, შეუძლია გააკეთოს ერთი ან მეტი დათქმა ამ ქარტიის მე-7 მუხლის მე-2-დან მე-5-მდე პუნქტების მიმართ. დაუშვებელია სხვა დათქმების გაკეთება.

2. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა დათქმა წინა პუნქტის შესაბამისად, შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გამოითხოვოს იგი ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული შეტყობინების საშუალებით. უკან გამოთხოვა ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან.

მუხლი 22

1. ნებისმიერ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია მოახდინოს ამ ქარტიის დენონსაცია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული შეტყობინების საშუალებით.

2. ასეთი დენონსაცია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს ექვსთვიანი ვადის ამონურვას გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან.

მუხლი 23

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მიუერთდება ამ ქარტიას:

ა) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;

ბ) ნებისმიერი სარატიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების შესახებ;

გ) მე-19 და მე-20 მუხლების შესაბამისად ამ ქარტიის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;

დ) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების გამოყენებისას მიღებული ნებისმიერი შეტყობინების შესახებ;

ე) ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინების ან კომუნიკაციის შესახებ, რომელიც ეხება ამ ქარტიას. ამის დასტურად, ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ რწმუნებულნი, ხელი მოაწერეს წინამდებარე ქარტიას. შესრულებულია სტრასბურგში 1992 წლის ნოემბრის მე-5 დღეს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ორივე ტექსტი არის თანაბრად ავთენტური შედგენილი თითო ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს დამონმებულ ასლებს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს და ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მინვეულია მიუერთდეს ამ ქარტიას.



**ჰააგის რეკომენდაციები
ეროვნულ უმცირესობათა
ბანათლების უფლებებთან დაკავ-
შირებით**

ოქტომბერი, 1996 წელი

საერთაშორისო აქტების სულისკვეთება

1) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების უფლება შეინარჩუნონ საკუთარი თვითმყოფადობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება

იყოს სრულად რეალიზებული, თუ განათლების პროცესში ისინი მშობლიური ენის ცოდნას სათანადო დონეზე შეიძენენ. იმავდროულად, ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა სახელმწიფო ენის სათანადო დონეზე ცოდნის მოპოვების გზით გაერთიანდნენ უფრო ფართო ეროვნულ საზოგადოებაში.

2) იმ საერთაშორისო აქტების გამოყენებისას, რომლებსაც შეუძლიათ სარგებელი მოუტანონ ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს, სახელმწიფოებმა თანამიმდევრულად უნდა დაიცვან თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპები.

3) გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ შესაბამისი საერთაშორისო მოვალეობები და ნაკისრი ვალდებულებები შეადგენენ მინიმალურ საერთაშორისო სტანდარტებს. ამ მოვალეობებისა და ნაკისრი ვალდებულებების შემზღუდველი ინტერპრეტაცია, მათ სულისკვეთებასა და მიზნებს ენინააღმდეგობოდა.

ლონისძიებები და რესურსები

4) უმცირესობათა განათლების უფლებებთან დაკავშირებით სახელმწიფოებმა პრო-აქტიური პოლიტიკა უნდა გაატარონ. როცა ეს საჭიროა, სახელმწიფოები ვალდებული არიან გაატარონ სპეციალური ღონისძიებები, რათა აქტიურად განახორციელონ უმცირესობის ენაზე განათლების უფლებები არსებული რესურსების მაქსიმუმის ფარგლებში, როგორც ინდივიდუალურად, ისე საერთაშორისო - განსაკუთრებით ეკონომიკური და ტექნიკური - დახმარებისა და თანამშრომლობის საფუძველზე.

დეცენტრალიზაცია და მონაწილეობა

5) სახელმწიფოებმა უნდა შექმნან პირობები, რათა შესაძლებლობა მისცენ დაწესებულებებს, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს წარმოადგენენ, ქმედითი მონაწილეობა მიიღონ უმცირესობათა განათლებასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში.

6) სახელმწიფოებმა რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები სათანადო კომპეტენციებით უნდა აღჭურვონ უმცირესობათა განათლების სფეროში და ამით ხელი შეუწყონ უმცირესობათა მონაწილეობას პოლიტიკის შემუშავების პროცესში რეგიონულ და/ან ადგილობრივ დონეზე.

7) სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა წაახალისონ ადგილობრივ დონეზე განათლების სისტემაში მშობლების მონაწილეობა და არჩევანი, მათ შორის, უმცირესობის ენაზე განათლების მიღების თვალსაზრისით.

სახელმწიფო და კერძო დაწესებულებები

8) საერთაშორისო სამართლის თანახმად, ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს ისევე, როგორც სხვებს, უფლება აქვთ დააფუძნონ და მართონ საკუთარი საგანმანათლებლო დაწესებულებები ქვეყანა-

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

ნაში მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე. ასეთი დანესებულებები შეიძლება მოიცავდნენ სკოლებს, რომლებშიც სწავლება უმცირესობის ენაზე მიმდინარეობს.

9) გამომდინარე ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების უფლებიდან დააფუძნონ და მართონ საკუთარი საგანმანათლებლო დანესებულებები, სახელმწიფოებმა არ უნდა დააბრკოლონ ამ უფლებით სარგებლობა ასეთი დანესებულებების შექმნისა და მართვის რეგულირებისათვის მეტისმეტად მძიმე სამართლებრივი და ადმინისტრაციული მოთხოვნების დანესების გზით.

10) კერძო საგანმანათლებლო დანესებულებებს, რომლებშიც სწავლება უმცირესობის ენაზე მიმდინარეობს, უფლება აქვთ, ყოველგვარი დაბრკოლებებისა და დისკრიმინაციის გარეშე, ეძიონ დაფინანსების წყაროები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საერთაშორისო წყაროებიდან და კერძო სექტორიდან.

უმცირესობათა განათლება დანყებითი და საშუალო განათლების დონეზე

11) განათლების პირველ წლებს ბავშვის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. განათლების სფეროში არსებული გამოკვლევები ცხადყოფს, რომ იდეალურ შემთხვევაში სწავლების ენა სკოლამდელ და საბავშვო ბალების დონეზე ბავშვის მშობლიური ენა უნდა იყოს. სადაც კი ეს შესაძლებელია, სახელმწიფოებმა უნდა შეუქმნან მშობლებს ამ შესაძლებლობით სარგებლობის პირობები.

12) არსებული გამოკვლევები ასევე ცხადყოფს, რომ იდეალურ შემთხვევაში დანყებით სკოლებში სასწავლო პროგრამა უმცირესობის ენაზე უნდა ისწავლებოდეს. უმცირესობის ენა რეგულარულად უნდა ისწავლებოდეს, როგორც ერთ-ერთი საგანი. ასევე რეგულარულად უნდა ისწავლებოდეს, როგორც საგანი, სახელმწიფოს ოფიციალური ენაც. ამასთანავე, უმჯობესია, რომ ამ უკანასკნელს ასწავლიდნენ ორენოვანი მასწავლებლები, რომლებმაც კარგად იციან ბავშვების კულტურული და ენობრივი გარემო. ამ პერიოდის ბოლოსკენ რამდენიმე პრაქტიკული ან არათეორიული საგანი სახელმწიფო ენაზე უნდა ისწავლებოდეს. სადაც კი ეს შესაძლებელია, სახელმწიფოებმა უნდა შეუქმნან მშობლებს ამ შესაძლებლობით სარგებლობის პირობები.

13) საშუალო სკოლებში სასწავლო პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი უმცირესობის ენაზე უნდა ისწავლებოდეს. უმცირესობის ენა რეგულარულად უნდა ისწავლებოდეს, როგორც ერთ-ერთი საგანი. ასევე რეგულარულად უნდა ისწავლებოდეს, როგორც საგანი, სახელმწიფოს ოფიციალური ენაც. ამასთანავე, უმჯობესია, რომ ამ უკანასკნელს ასწავლიდნენ ორენოვანი მასწავლებლები, რომლებმაც კარგად იციან ბავშვების კულტურული და ენობრივი გარემო. ასეთი პერიოდის განმავლობაში იმ საგნების რიცხვი, რომლებიც სახელმწიფო ენაზე ისწავლება, თანდათანობით უნდა გაიზარდოს. გამოკვლევები ცხადყოფს, რომ რაც უფრო თანდათანობით მოხდება ასეთი

ზრდა, მით უკეთესია ბავშვისათვის.

14) დაწყებითი და საშუალო განათლების უმცირესობის ენაზე უზრუნველყოფა დიდად არის დამოკიდებული ისეთი მასწავლებლების არსებობაზე, რომლებიც სათანადოდ არიან მომზადებულნი ყველა საგნის მშობლიურ ენაზე სწავლებისათვის. ამიტომაც, გამომდინარე მათი ვალდებულებიდან შექმნან სათანადო პირობები უმცირესობის ენაზე განათლების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფოებმა უნდა შექმნან სათანადო პირობები მასწავლებელთა ჯეროვნად მომზადებისათვის და იზრუნონ, რომ ასეთი მომზადება ხელმისაწვდომი იყოს.

უმცირესობათა განათლება პროფესიულ სასწავლებლებში

15) პროფესიული მომზადება უმცირესობის ენაზე კონკრეტულ საგნებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმ შემთხვევაში, როცა მოცემულ ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებულ პირებს გამოთქმული აქვთ ასეთი სურვილი, როცა მათ გამოავლინეს ამის საჭიროება და როცა ეს მათი რიცხობრიობით არის გამართლებული.

16) იმ პროფესიული სასწავლებლების სასწავლო პროგრამა, რომლებშიც სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს, ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ ამ პროგრამის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს შეეძლოთ თავისი პროფესიული საქმიანობის წარმართვა როგორც უმცირესობის ენაზე, ისე სახელმწიფო ენაზეც.

უმცირესობათა განათლება უმაღლესი განათლების დონეზე

17) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს უნდა ჰქონდეთ მშობლიურ ენაზე უმაღლესი განათლების მიღების საშუალება იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი გამოთქვამენ ამის სურვილს ან საჭიროებას და როცა ეს მათი რიცხობრიობით არის გამართლებული. უმცირესობის ენაზე უმაღლესი განათლების მიღება შეიძლება გახდეს ხელმისაწვდომი არსებულ საგანმანათლებლო სტრუქტურებში შესაფერისი პირობების შექმნის გზით, იმ პირობით, თუ ამგვარი ზომა სათანადოდ პასუხობს მოცემული უმცირესობის მოთხოვნებს. ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს შეუძლიათ, აგრეთვე, ეძიონ გზები და საშუალებები საკუთარი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაქმნელად.

18) იმ ვითარებაში, როცა ახლო წარსულში ეროვნულ უმცირესობას საკუთარი უმაღლესი სასწავლებლების შენახვისა და მართვის შესაძლებლობა ჰქონდა, ეს გარემოება გასათვალისწინებელია სამომავლო მოდელის განსაზღვრისას.

სასწავლო პროგრამების შემუშავება

19) გამომდინარე იმ მნიშვნელობისა და ღირებულებიდან, რომლებსაც საერთაშორისო აქტები ინტერკულტურულ განათლებასა და უმცირესობების ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების ხაზგასმას ანიჭებს, სახელმწიფოს საგანმანათლებლო ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ ზოგადი სავალდებულო სასწავლო პროგრამების ფარგლებში შესაბამისი ეროვნული უმცირესობების ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების

სწავლება. უმრავლესობის წარმომადგენელთა წახალისება სახელმწიფოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ენების შესასწავლად მხოლოდ ხელს შეუწყობს ამ სახელმწიფოში შემწყნარებლობისა და აქტიური მრავალფეროვნების გაძლიერებას.

20) იმ სასწავლო პროგრამების შინაარსი, რომლებიც უმცირესობებს ეხება, უნდა შემუშავდეს მოცემული უმცირესობების წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობით.

21) სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ისეთი ცენტრების დაფუძნებას, რომელთა საზრუნავიც უცმირესობებისათვის სასწავლო პროგრამების შემუშავება და შეფასება იქნება. ასეთი ცენტრები, შესაძლოა, არსებულ დაწესებულებებს დაუკავშირდნენ იმ პირობით, რომ ეს სათანადოდ შეუწყობს ხელს შესაბამისი მიზნების ანხორციელებას.



ოსლოს რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით

თებერვალი, 1998 წელი

გვარ-სახელები და სახელწოდებები

1) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს უფლება აქვთ ისარგებლონ თავიანთი სახელებითა და გვარებით მშობლიურ ენაზე, საკუთარი ტრადიციებისა და ლინგვისტური სისტემების შესაბამისად. ეს გვარ-სახელები ოფიციალურად უნდა იქნენ აღიარებული და გამოყენებული ხელისუფლების ორგანოების მიერ.

2) ამგვარადვე, კერძო ორგანიზაციებს, როგორებიცაა ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების მიერ დაარსებული კულტურული ასოციაციები და საწარმოები, იგივე უფლება აქვთ მათ სახელწოდებებთან დაკავშირებით.

3) იმ ადგილებში, სადაც რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს და როცა შესაბამისი მოთხოვნა არსებობს, ხელისუფლების ორგანოებმა უნდა იზრუნონ, რათა ადგილობრივი სახელები და სახელწოდებები, ქუჩების დასახელებები და საზოგადოებრივი დანიშნულების სხვა ტოპოგრაფიული ნიშნები ეროვნული უმცირესობის ენაზეც გამოიკრას.

რელიგია

4) საკუთარი რელიგიური მრწამსის აღსრულების პროცესში, განურჩევლად იმისა, ინდივიდუალურად ხდება ეს თუ სხვა პირებთან ერთობ-

ლიობაში, თითოეულ პირს უფლება აქვს ისარგებლოს ამა თუ იმ ენით ან ენებით საკუთარი არჩევანის შესაბამისად.

5) იმ რელიგიური რიტუალებისა თუ აქტებისათვის, რომლებიც, იმავდროულად, სამოქალაქო მნიშვნელობისაა და რომლებსაც მოცემულ სახელმწიფოში სამართლებრივი შედეგი გააჩნიათ, სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს, რომ ამგვარი სტატუსის მოწმობები და დოკუმენტები სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ენებზეც გამოიცეს. სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს, რომ სამოქალაქო მნიშვნელობის ჩანაწერები რელიგიურმა დანესებულებებმა სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ენებზეც აწარმოონ.

საზოგადოებრივი ცხოვრება და არასამთავრობო ორგანიზაციები

6) ნებისმიერ პირს, მათ შორის ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს, უფლება აქვთ დააფუძნონ და მართონ საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციები, გაერთიანებები და დანესებულებები. ამ ორგანიზაციებს შეუძლიათ ისარგებლონ იმ ენით (ენებით), რომელსაც თავად შეარჩევნენ. სახელმწიფოს არა აქვს უფლება ენის საფუძველზე დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ამყოფოს ასეთი ორგანიზაციები ან არამართლზომიერად შეზღუდოს ამ ორგანიზაციების უფლება ეძიონ დაფინანსების წყაროები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, საერთაშორისო წყაროებიდან ან კერძო სექტორიდან.

7) თუ სახელმწიფო, სხვებთან ერთად, სოციალურ, კულტურულ და სპორტის სფეროებსაც აქტიურად უჭერს მხარს, იგი ვალდებულია საერთო სახსრების სამართლიანი წილი ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების ანალოგიური საქმიანობის დასაფინანსებლადაც გაიღოს. აღნიშნულ სფეროებში სახელმწიფოს მიერ ყველა იმ საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერა, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების ენაზე ან ენებზე ხორციელდება, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე უნდა განხორციელდეს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

8) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს უფლება აქვთ დაარსონ და შეინახონ საკუთარი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უმცირესობის ენაზე. მაუწყებლობის საშუალებების სახელმწიფო რეგულირება ობიექტურ, არადისკრიმინაციულ კრიტერიუმებს უნდა დაეყრდნოს და არ უნდა იქნეს გამოყენებული უმცირესობის უფლებების შეზღუდვის მიზნით.

9) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი მაუწყებლობის საშუალებების საეთერო დროით საკუთარ ენაზე სარგებლობაზე. როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე მოცემული ეროვნული უმცირესობის ენაზე მაუწყებლობის დროის ხანგრძლივობა და ხარისხი ამ ეროვნული უმცირესობის რაოდენობრივ და კონცენ-

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

ტრაციის მაჩვენებლებს, აგრეთვე, მის მდგომარეობასა და მოთხოვნილებებს უნდა შეესაბამებოდეს.

10) ეროვნული უმცირესობების ენაზე ან ენებზე სახელმწიფო ან კერძო ინფორმაციის საშუალებების პროგრამების დამოუკიდებელი ხასიათი დაცული უნდა იყოს. სახელმწიფო საინფორმაციო საშუალებების სარედაქციო საბჭო, რომელსაც პროგრამების შინაარსსა და ორიენტაციაზე მეთვალყურეობა ევალება, უნდა იყოს დამოუკიდებელი. ამ საბჭოების შემადგენლობაში ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირებიც უნდა შედიოდნენ, რომლებსაც დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ.

11) დაუშვებელია ინფორმაციის საშუალებების საზღვარგარეთიდან შემოსვლის არამართლზომიერი შეზღუდვა. ამ გზით ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა არ უნდა იქნეს გამოყენებული სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ საინფორმაციო საშუალებებში ეროვნული უმცირესობისათვის გამოყოფილი საეთერო დროის შემცირების საბაზად იმ სახელმწიფოში, სადაც მოცემული ეროვნული უმცირესობა სახლობს.

ეკონომიკური ცხოვრება

12) ყველას, მათ შორის ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს, აქვთ უფლება მისდინ კერძო მენარმეობას იმ ენაზე ან ენებზე, რომლებსაც ისინი აირჩევენ. სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს ამ სახელმწიფოს ოფიციალური ენით ან ენებით დამატებით სარგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა შესაძლებელია იმის დემონსტრირება, რომ ამას მოითხოვს დასაბუთებული საზოგადოებრივი ინტერესები, მაგალითად მუშა-მოსამსახურეთა ან მომხმარებელთა დაცვასთან დაკავშირებული ინტერესები, ან ურთიერთობები სანარმოსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის.

ადმინისტრაციული ორგანოები და საზოგადოებრივი მომსახურება

13) იმ რეგიონებსა და ადგილებში, სადაც რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს და სადაც ასეთი სურვილი გამოითქვა, პირებს, რომლებიც ამ ეროვნულ უმცირესობას მიეკუთვნებიან, უფლება აქვთ რეგიონული და/ან ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისაგან სამოქალაქო დოკუმენტები და მონობები მიიღონ როგორც სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ენებზე, ისე ეროვნული უმცირესობის ენაზეც. ამგვარადვე, რეგიონული და/ან ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან აწარმოონ სამოქალაქო ჩანაწერები ეროვნული უმცირესობის ენაზეც.

14) ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს უნდა ჰქონდეთ საკუთარი ენით სარგებლობის ადეკვატური შესაძლებლობა, განსაკუთრებით იმ რეგიონებსა და ადგილებში, სადაც ასეთი სურვილი გამოითქვა და სადაც მათი მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს. ამგვარადვე, ადმინისტრა-

ციულმა ორგანოებმა, როცა კი ეს შესაძლებელია, უნდა უზრუნველყონ საზოგადოებრივი მომსახურება ეროვნული უმცირესობის ენაზეც. ამ მიზნით მათ უნდა განავითარონ კადრების შერჩევისა და მომზადება-გადამზადების შესაბამისი პოლიტიკა და პროგრამები.

15) იმ რეგიონებსა და ადგილებში, სადაც რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების არჩეულ წევრებს, მათი სამსახურებრივი საქმიანობის პროცესში, ეროვნული უმცირესობის ენითაც შეეძლოთ სარგებლობა.

დამოუკიდებელი ეროვნული ინსტიტუტები

16) სახელმწიფოებმა, რომლებშიც ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს, უნდა უზრუნველყონ, რომ ამ პირებს, თუკი ისინი ჩათვლიან, რომ მათი ენობრივი უფლებები შელახულია, მართლმსაჯულების ორგანოებში მიმართვის გარდა, ჰქონდეთ შესაძლებლობა ისარგებლონ ისეთი დამოუკიდებელი ეროვნული ინსტიტუტების დახმარებითაც, როგორებიცაა ომბუდსმენის ინსტიტუტი ან ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიები.

მართლმსაჯულების ორგანოები

17) ყველას, მათ შორის ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებულ პირებს, უფლება აქვთ მათთვის გასაგებ ენაზე მიიღონ სათანადო ინფორმაცია მათი დაპატიმრების და/ან დაკავების მიზეზების შესახებ, აგრეთვე მათთვის წარდგენილი ბრალდების არსისა და ხასიათის შესახებ და დაიცვან თავი ამ ენაზე, თუ საჭიროა - თარჯიმნის უფასო დახმარებით, სასამართლომდე, სასამართლო პროცესის მსვლელობისას და განაჩენის გასაჩივრების შემთხვევაში.

18) იმ რეგიონებსა და ადგილებში, სადაც რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს და სადაც ასეთი სურვილი გამოთქმულია, ამ ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებულ პირებს აქვთ სასამართლო პროცესზე საკუთარ ენაზე გამოსვლის უფლება, თუ საჭიროა - თარჯიმნის და/ან მთარგმნელის უფასო დახმარებით.

19) იმ რეგიონებსა და ადგილებში, სადაც რომელიმე ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნებული პირების მნიშვნელოვანი რაოდენობა სახლობს და სადაც ასეთი სურვილი გამოთქმულია, სახელმწიფოებმა გულდასმით უნდა განიხილონ იმის შესაძლებლობა, რომ ყველა სასამართლო პროცესი, რომელიც ასეთ პირებს ეხება, ეროვნული უმცირესობის ენაზე ჩატარდეს.

თავისუფლების აღკვეთა

20) პენიტენციალური დაწესებულების ხელმძღვანელმა და თანამშრომლებმა უნდა იცოდნენ პატიმართა დიდი უმრავლესობის ენა ან ენები, ან ის ენა, რომელიც მათ დიდ უმრავლესობას ესმის. კადრების

საართაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

შერჩევისა და/ან მომზადებაგადამზადების პროგრამები ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს. აუცილებლობის შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნეს თარჯიმნის მომსახურება.

21) დაკავებულ პირებს, რომლებიც ეროვნულ უმცირესობებს მიეკუთვნებიან, უფლება აქვთ როგორც პატიმრებთან, ისე ნებისმიერ სხვა პირთან ურთიერთობაში იმ ენით ისარგებლონ, რომელსაც ისინი თავად აირჩევენ. სახელმწიფო ორგანოებმა, სადაც ეს შესაძლებელია, უნდა მიიღონ ზომები, რათა პატიმრებმა, კანონით გათვალისწინებული შეზღუდვების ფარგლებში, ზეპირი კომუნიკაციები თუ პირადი მიმოწერა საკუთარ ენაზე აწარმოონ. ამასთან დაკავშირებით, ნებისმიერი დაკავებული ან ავისუფლებადკვეთილი პირი, როგორც წესი, უნდა განთავსდეს დაკავების ან თავისუფლების აღკვეთის იმ ადგილში, რომელიც მისი საცხოვრებელ ადგილთან ახლოს მდებარეობს.



**ლუნდის რეკომენდაციები
საზოგადოებრივ-პოლიტიკურ
ცხოვრებაში ეროვნული
უმცირესობების ქმედით
მონაწილეობასთან დაკავშირებით**

სექტემბერი, 1999

I. ზოგადი პრინციპები

1) საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედითი მონაწილეობა მშვიდობიანი და დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი კომპონენტია. ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ არსებული გამოცდილება ცხადყოფს, რომ ამგვარ მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით მთავრობებს ხშირად სპეციალური ზომების მიღება მართებთ. წინამდებარე რეკომენდაციების მიზანია ხელი შეუწყოს ეროვნული უმცირესობების ჩაბმას სახელმწიფო ცხოვრებაში, მისცეს მათ საკუთარი თვითმყოფადობისა და თავისებურებების შენარჩუნების შესაძლებლობა და, ამდენად, უზრუნველყოს სახელმწიფოს სწორი მმართველობა და მთლიანობა.

2) წინამდებარე რეკომენდაციები ემყარება საერთაშორისო სამართლის ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებსა და ნორმებს, როგორებიცაა ადამიანის ღირსების პატივისცემა, თანასწორუფლებიანობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა, რამდენადაც ეს პრინციპები და ნორმები

გავლენას ახდენს ეროვნული უმცირესობების უფლებებზე მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და ისარგებლონ სხვა პოლიტიკური უფლებებით. სახელმწიფოები მოვალენი არიან პატივი სცენ საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობას, რაც შემწყნარებლობის, მშვიდობისა და კეთილდღეობის პირობებში სამოქალაქო საზოგადოების ყოველმხრივი განვითარების საწინდარია.

3) როცა იქმნება სპეციალური ინსტიტუტები, რომელთა მიზანი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უმცირესობების ქმედითი მონაწილეობის უზრუნველყოფაა, რაც შეიძლება ასეთი დანებსებულებების მიერ ხელისუფლების ან პასუხისმგებლობის განხორციელებალ მოიცავდეს. მათი მოვალეობაა პატივი სცენ ყველა იმ ადამიანის უფლებებს, ვისაც ეხება მათი საქმიანობა.

4) ეროვნულ უმცირესობას მიკუთვნების გარდა, ინდივიდების თვით-ინდენტიფიცირება მრავალი სხვა ფორმითაც ვლინდება. მიაკუთვნებს თუ არა თავს ესა თუ ის ინდივიდი უმცირესობას თუ უმრავლესობას, ან არცერთ მათგანს, თვით ამ ინდივიდის გადასაწყვეტია და არავის აქვს უფლება თავს მოახვიოს მას ამგვარი გადაწყვეტილება. ამასთან, არავის უნდა მიადგეს ზიანი ამგვარი არჩევანის, ან არჩევანზე უარის თქმის გამო.

5) როცა საქმე ეხება ამ რეკომენდაციების შესაბამისად გარკვეული ინსტიტუტებისა და პროცედურების ჩამოყალიბებას, მნიშვნელოვანია როგორც შინაარსი, ისე პროცესიც. ურთიერთდობის ატმოსფეროს შენარჩუნების მიზნით სახელისუფლო ორგანოებმაც და უმცირესობებმაც უნდა აწარმოონ ღია, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულებაზე აგებული კონსულტაციები. სახელმწიფოებმა უნდა წაახალისონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რათა მათ ხელი შეუწყონ კულტურებს შორის ურთიერთგაგებასა და უმცირესობათა პრობლემების ასახვას.

II. გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობა

ა. მექანიზმები ცენტრალური ხელისუფლების დონეზე

ბ) სახელმწიფოებმა უმცირესობებისათვის უნდა უზრუნველყონ ცენტრალური ხელისუფლების დონეზე გადაწყვეტილებების მიღებაში ქმედითი მონაწილეობის შესაძლებლობა, მათ შორის, თუ საჭიროა, საგანგებო მექანიზმების შექმნის გზითაც. გარემოებათა შესაბამისად, ასეთ მექანიზმებში შეიძლება იგულისხმებოდეს:

- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობის საგანგებო ფორმები, მაგალითად — პარლამენტის ერთ ან ორივე პალატაში ან საპარლამენტო კომიტეტებში გარკვეული რაოდენობის ადგილების დაჯავშნის გზით; აგრეთვე, საკანონმდებლო პროცესში გარანტირებული მონაწილეობის სხვა ფორმები;

- ოფიციალური ან არაოფიციალური შეთანხმებები ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებისათვის მთავრობაში, უზენაეს ან საკონსტიტუციო სასამართლოში, ან უფრო დაბალი ინსტანციის სასა-

საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

მართლებში ადგილების და დანიშვნით სათათბირო ან სხვა მაღალი დონის ორგანოებში თანამდებობების გამოყოფის შესახებ;

- მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ უმცირესობათა ინტერესების გათვალისწინებას შესაბამისი სამინისტროების მიერ, მაგალითად, უმცირესობათა საქმეებზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნის, ან მუდმივმოქმედი დირექტივების გამოცემის გზით;

- საგანგებო ზომები სამოქალაქო სამსახურში უმცირესობათა მოსაზიდად, აგრეთვე საჯარო მომსახურებების უზრუნველყოფა ეროვნული უმცირესობის ენაზე.

ბ. არჩევნები

7) ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ არსებული გამოცდილება ცხადყოფს საარჩევნო პროცესის დიდ მნიშვნელობას პოლიტიკურ ცხოვრებაში უმცირესობათა მონაწილეობის ხელშეწყობისათვის. სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ საჯარო საკითხების გადაწყვეტაში ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების მონაწილეობის უფლება, მათ შორის, ხმის უფლებით სარგებლობითა და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე არჩევით თანამდებობაზე კენჭისყრაში მონაწილეობით.

8) პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებისა და საქმიანობის რეგულირება გაერთიანების თავისუფლების საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპს უნდა შეესაბამებოდეს. ეს პრინციპი მოიცავს პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების თავისუფლებას, როგორც რომელიმე ჯგუფთან იდენტიურობის ნიშნით, ისე რომელიმე კონკრეტული ჯგუფის ინტერესებთან იდენტიფიცირების გარეშე.

9) საარჩევნო სისტემა ხელს უნდა უწყობდეს უმცირესობათა წარმომადგენლობასა და გავლენას.

- უმცირესობათა კომპაქტური დასახლების ადგილებში მათი საკმარისი წარმომადგენლობის უზრუნველყოფა შესაძლებელია ერთმანდატიანი ოლქების შექმნის გზით.

- უმცირესობათა წარმომადგენლობას, შესაძლოა, ხელი შეუწყოს პროპორციულმა საარჩევნო სისტემებმა, როცა საკანონმდებლო ორგანოში ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლობა ეროვნულ არჩევნებში მის მიერ მოპოვებული ხმების შესაბამისად განისაზღვრება.

- უმცირესობათა წარმომადგენლობასა და სხვადასხვა ჯგუფებს შორის თანამშრომლობას შეიძლება ხელი შეუწყოს ზოგმა პრეფერენციულმა საარჩევნო სისტემამ, როცა ამომრჩევლები კანდიდატების რანჟირებას საკუთარი არჩევანის შესაბამისად ახდენენ.

- ხელისუფლებაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის გაზრდა შესაძლებელია საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად აუცილებელი საარჩევნო ბარიერის დანევით.

10) საარჩევნო ოლქების საზღვრები ისე უნდა დადგინდეს, რომ ამით ხელი შეეწყოს უმცირესობების სამართლიან წარმომადგენლობას.

გ. მექანიზმები რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე

11) რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე საზოგადოებრივპოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობის ხელშესაწყობად სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ისეთი ზომები, რომლებიც ზემოთ აღნიშნა ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართებით (იხ. პუნქტები 6-10). რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სტრუქტურა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესი თავისი გამჭვირვალებითა და მისაწვდომობით ხელს უნდა უწყობდეს მასში ეროვნული უმცირესობების მონაწილეობას.

დ. სათათბირო და საკონსულტაციო ორგანოები

12) შესაბამისი ინსტიტუციური სისტემის ფარგლებში სახელმწიფოებმა უნდა შექმნან სათათბირო ან საკონსულტაციო ორგანოები, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლებასა და ეროვნულ უმცირესობებს შორის დიალოგის გამართვას მოემსახურება. ამგვარ ორგანოებში მოიზარება საგანგებო დანიშნულების კომიტეტები ისეთ სფეროებში, როგორებიცაა საბინაო და მიწის საკითხები, განათლება, ენა და კულტურა. ამ ორგანოების შემადგენლობა მათივე მიზანს უნდა შეესაბამებოდეს და ხელს უნდა უწყობდეს უმცირესობათა ინტერესების უფრო ქმედით გამოვლენასა და დაკმაყოფილებას.

13) ამ ორგანოებს უნდა შეეძლოთ გადაწყვეტილებების მიმღები ორგანოების წინაშე საკითხების დასმა, რეკომენდაციების მომზადება, საკანონმდებლო და სხვაგვარი ინიციატივების წარდგენა, მიმდინარე მოვლენებზე თვალყურის დევნება და მთავრობის მიერ შემოთავაზებულ ისეთი გადაწყვეტილების პროექტებზე თვალსაზრისის გამოხატვა, რომლებსაც შეუძლიათ პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა იქონიონ უმცირესობებზე. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა რეგულარულად უნდა აწარმოონ კონსულტაციები ამ ორგანოებთან ყველა იმ საკითხის თაობაზე, რომლებიც უმცირესობებთან დაკავშირებულ კანონმდებლობასა თუ ადმინისტრაციულ ზომებს ეხება, რაც ხელს შეუწყობს როგორც უმცირესობების ინტერესების დაკმაყოფილებას, ისე ნდობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას. ამ ორგანოების ეფექტურად ფუნქციონირება მოითხოვს მათთვის სათანადო რესურსების გამოყოფას.

III. თვითმმართველობა

14) საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უმცირესობების ქმედითი მონაწილეობისათვის შეიძლება საჭირო გახდეს თვითმმართველობის არატერიტორიული ან ტერიტორიული მექანიზმების, ან ორივე მათგანის კომბინაციის შექმნა. სახელმწიფოებმა ამისათვის სათანადო რესურსები უნდა გამოყოფონ.

15) ამგვარი მექანიზმების წარმატებული ამოქმედებისათვის აუცილებელია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმაც და უმცირესობებმაც აღიარონ მმართველობის გარკვეულ სფეროებში ცენტრალიზებული და ერთგვაროვანი გადაწყვეტილებების აუცილებლობა, ისევე, როგორც სხვა სფეროებში მრავალფეროვნების შენარჩუნების

უპირატესობა.

• ფუნქციები, რომლებიც, ჩვეულებრივ, ცენტრალური ხელისუფლების გამგებლობას მიეკუთვნება, შემდეგია: თავდაცვა, საგარეო საქმეები, საიმიგრაციო და საბაჟო რეჟიმები, მაკროეკონომიკური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.

• სხვა ფუნქციები, რომელნიც ქვემოთ იქნება მოყვანილი, შეიძლება უმცირესობების ან ტერიტორიული ადმინისტრაციების გამგებლობას, ან ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთობლივ კომპეტენციას მიეკუთვნოს.

• ფუნქციები შეიძლება განაწილდეს ასიმეტრიულად, ერთსა და იმავე სახელმწიფოში სხვადასხვა უმცირესობის მდგომარეობის შესაბამისად.

16) თვითმმართველობის ორგანოები, არატერიტორიული თუ ტერიტორიული პრინციპით მოწყობილი, დემოკრატიულ პრინციპებს უნდა ეფუძნებოდნენ, რათა რეალურად ასახონ მოსახლეობის შესაბამისი ნაწილის შეხედულებები.

ა. არატერიტორიული მექანიზმები

17) მმართველობის არატერიტორიული ფორმები ხელს უწყობენ ეროვნული უმცირესობების თვითმყოფადობისა და კულტურის შენარჩუნება-განვითარებას.

18) საკითხებს, რომლებიც ყველაზე უკეთ შეიძლება მოგვარდეს ამგვარი მექანიზმების მეშვეობით, მიეკუთვნება განათლება, კულტურა, უმცირესობის ენით სარგებლობა, რელიგია და სხვა სფეროები, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული უმცირესობების თვითმყოფადობისა და ცხოვრების წესის შენარჩუნებაში.

• ცალკეულ ინდივიდებსა და ჯგუფებს, მათი სურვილისამებრ, უფლება აქვთ ისარგებლონ თავისი სახელებით უმცირესობის ენაზე და მიაღწიონ ასეთი სახელების ოფიციალურ აღიარებას.

• იმის გათვალისწინებით, რომ საგანმანათლებლო სტანდარტების დადგენა სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციას შეადგენს, უმცირესობათა დანებს უფლებებს შეუძლიათ თავად დაადგინონ მათი ენების, კულტურის, ან ორივეს სასწავლო პროგრამები.

• უმცირესობებს შეუძლიათ დაადგინონ და ისარგებლონ საკუთარი სიმბოლოებითა და კულტურული თვითგამოხატვის სხვა ფორმებით.

ბ. ტერიტორიული მექანიზმები

19) ყოველ დემოკრატიულ სახელმწიფოს აქვს მმართველობის საკუთარი ორგანიზაცია სხვადასხვა ტერიტორიულ დონეზე. ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ დაგროვილი გამოცდილება ცხადყოფს, თუ რაოდენ სასარგებლოა გარკვეული საკანონმდებლო და აღმასრულებელი ფუნქციების გადაცემა ცენტრალურიდან რეგიონული ხელისუფლების დონეზე, რაც არ შემოიფარგლება მხოლოდ ცენტრალური სახელმწიფო აპარატის დეცენტრალიზაციითა და დედაქალაქიდან რეგიონულ ან ადგილობრივ სამსახურებზე ადმინისტრაციის გადაწინაღობით. სუბ-

სიდიარობის პრინციპიდან გამომდინარე სახელმწიფოებმა სათანადო ყურადღება უნდა მიაქციონ ხელისუფლების ტერიტორიული პრინციპით დანაწილების ასეთ შესაძლებლობას, თვითმმართველობის კონკრეტული ფუნქციების ჩათვლით, განსაკუთრებით კი იქ, სადაც ამით გაიზრდება უმცირესობათა შესაძლებლობები ისეთი საკითხების დამოუკიდებლად გადაწყვეტაში, რომლებიც უშუალოდ მათ ეხება.

20) ადგილობრივმა, რეგიონულმა ან ავტონომიურმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, რომლებიც ეროვნული უმცირესობების სპეციფიური ისტორიული და ტერიტორიული მდგომარეობის შესაბამისად ჩამოყალიბდა, ამ უმცირესობების პრობლემების უფრო ეფექტურად გადაწყვეტის მიზნით შეიძლება განხორციელონ რიგი ფუნქციებისა.

· ფუნქციები, რომლებზეც ასეთ ადმინისტრაციულ ორგანოებს წარმატებით გადაეცათ უპირატესი ან უმეტესი კომპეტენცია, მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა განათლება, კულტურა, უმცირესობის ენით სარგებლობა, გარემოს დაცვა, ადგილობრივი დაგეგმვა, ბუნებრივი რესურსები, ეკონომიკური განვითარება, ნებსრიგის დაცვა ადგილებზე, აგრეთვე, საბინაო საკითხები, ჯანდაცვა და სხვა სახის სოციალური მომსახურება.

· ფუნქციები, რომლებიც ცენტრალური და რეგიონული ხელისუფლებების ერთობლივ კომპეტენციას მიეკუთვნება, მოიცავს გადასახადებს, მართლმსაჯულების განხორციელებას, ტურიზმსა და ტრანსპორტს.

21) ადგილობრივი, რეგიონული და ავტონომიური ხელისუფლების ორგანოებმა პატივი უნდა სცენ და დაიცვან ყველა ინდივიდის უფლებები, მათ შორის ნებისმიერი უმცირესობების უფლებები, რომელიც მათ იურისდიქციას ექვემდებარება.

IV. გარანტიები

ა. კონსტიტუციური და სამართლებრივი გარანტიები

22) თვითმმართველობის მექანიზმები კანონით უნდა იყოს დადგენილი და, ჩვეულებრივ, არ უნდა ექვემდებარებოდეს ისეთი სახით ცვლილების შეტანი მეთოდს, რომელიც ზოგად კანონმდებლობაში ცვლილებათა შეტანისას გამოიყენება. გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უმცირესობათა მონაწილეობის ხელშემწყობი მექანიზმები შეიძლება განისაზღვროს კანონით ან სხვა სათანადო საშუალებებით.

· კონსტიტუციური ნორმების და მექანიზმების შეცვლა ან გადასინჯვა, ჩვეულებრივ, კანონმდებელთა ან საერთოეროვნული თანხმობის უფრო მაღალ ხარისხს მოითხოვს.

· კანონმდებლობით დადგენილი თვითმმართველობის მექანიზ-

საპარტაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

მების შეცვლა ხშირად მოითხოვს კვალიფიციური უმრავლესობის მხარდაჭერას უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, ავტონომიური ხელისუფლების ორგანოებში ან ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლობით ორგანოებში, ანდა ერთშიც და მეორეშიც.

· თვითმმართველობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უმცირესობათა მონაწილეობის მექანიზმების პერიოდული განხილვა, დაგროვილი გამოცდილებისა და ახალ გარემოებათა გათვალისწინებით, შეიძლება სასარგებლო იყოს ამ მექანიზმებში ცვლილებების შეტანის მიზანშეწონილობის დასადგენად.

23) განსახილველია ისეთი დროებითი ან ეტაპობრივი მექანიზმები, რომელიც მონაწილეობის ახალი ფორმების გამოცდაგანვითარების შესაძლებლობას იძლევა. ამგვარი მექანიზმების განსაზღვრული ვადით შემოღება შეიძლება საკანონმდებლო ან არაფორმალური წესით. მათი მოქმედების ვადის გაგრძელება, შეცვლა თუ შეწყვეტა მიღებულ შედეგზეა დამოკიდებული.

ბ. სამართლებრივი დაცვა

24) საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედითი მონაწილეობა კონფლიქტების თავიდან აცილებისა და დავების მოგვარების მიზნით საკონსულტაციო მექანიზმების არსებობას, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, საგანგებო ან ალტერნატიული მექანიზმების შექმნის შესაძლებლობასაც მოითხოვს. ასეთებია:

· კონფლიქტების სასამართლო წესით მოგვარება, კერძოდ, კანონმდებლობასა და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებზე სასამართლო ზედამხედველობა, რაც სახელმწიფოში დამოუკიდებელი, ხელმისაწვდომი და მიუკერძოებელი სასამართლო ხელისუფლების არსებობასა და მისი გადაწყვეტილებების მიმართ პატივისცემას მოითხოვს; და

· დავების მოგვარების დამატებითი მექანიზმები, როგორებიცაა მოლაპარაკებები, ფაქტების დადგენა, შუამავლობა, არბიტრაჟი, ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში ომბუდსმენის ინსტიტუტი, აგრეთვე, საგანგებო კომისიები, რომლებსაც შეიძლებათ მმართველობასთან დაკავშირებული საჩივრების მიღება, განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება.



ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ

სტრასბურგი, 15.X.1985

პრეამბულა

ქვემოთ ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანს წარმოადგენს მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა იმ იდეალებისა და პრინციპების დაცვის მიზნით, რომლებიც წარმოადგენენ მათ საერთო მემკვიდრეობას;

ითვალისწინებენ რა, რომ ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს მმართველობის სფეროში ხელშეკრულებების დადება;

ითვალისწინებენ რა, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები წარმოადგენენ ნებისმიერი დემოკრატიული რეჟიმის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს;

ითვალისწინებენ რა, რომ მოქალაქეთა უფლება მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში წარმოადგენს ერთ-ერთ დემოკრატიულ პრინციპს, რომელიც საერთოა ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოსათვის;

ითვალისწინებენ რა, რომ სწორედ ადგილობრივ დონეზე შეიძლება ყველაზე ეფექტურად ამ უფლების პირდაპირი რეალიზაცია;

დარწმუნდნენ რა იმაში, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არსებობას, რომლებსაც გააჩნიათ რეალური პასუხისმგებლობა, შეუძლია უზრუნველყოს ეფექტური და ამასთან, მოქალაქესთან დაახლოებული მმართველობა;

აცნობიერებენ რა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის დაცვა და გაძლიერება სხვადასხვა ევროპულ ქვეყნებში წარმოადგენს მნიშვნელოვან ნვლილს დემოკრატიისა და ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პრინციპებზე დაფუძნებული ევროპის მშენებლობისათვის;

ამტკიცებენ რა, რომ ეს გულისხმობს ხელისუფლების ისეთი ადგილობრივი ორგანოების არსებობას, რომლებიც უფლებამოსილნი არიან გადაყვეტილების მიღების უფლების მქონე, დემოკრატიული გზით შექმნილი ორგანოების მიერ, და რომლებსაც გააჩნიათ ფართო ავტონომია მათი კომპეტენციის, ამ კომპეტენციის განხორციელებისა და ამისათვის აუცილებელი სახსრების მხრივ, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

მხრეები იღებენ ვალდებულებას, მიიჩნიონ თავი ვალდებულად ქვემოთ მოცემული მუხლებით ამ ქარტიის მე-12 მუხლით დადგენილი წესითა და ზომით.

ნაწილი I

მუხლი 2 - ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციური და სამართლებრივი საფუძველი

ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპი აღიარებული იქნება შიდა კანონმდებლობით და შესაძლებლობის შემთხვევაში, კონსტიტუციით.

მუხლი 3 - ადგილობრივი თვითმმართველობის კონცეფცია

1. ადგილობრივი თვითმმართველობა ნიშნავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

2. ამ უფლების განხორციელება ხდება საბჭოების ან ასამბლეების მიერ, რომლებიც შედგებიან პირდაპირი, თანაბარი და საყოველთაო ხმის მიცემის საფუძველზე ფარული კენჭისყრით არჩეული წევრებისაგან და რომლებთანაც შეიძლება არსებობდნენ მათ წინაშე პასუხისმგებელი აღმასრულებელი ორგანოები. ეს დებულება არანაირ ზეგავლენას არ მოახდენს მოქალაქეთა

მონაწილეობაზე ასამბლეებში, რეფერენდუმებში და ნებისმიერი სახის პირდაპირ მონაწილეობაზე იქ, სადაც ეს კანონით ნებადართულია.

მუხლი 4 - ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციის სფერო

1. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ძირითადი უფლებამოსილებანი და პასუხისმგებლობა განისაზღვრება კონსტიტუციით ან კანონით. ამასთან, ეს დებულება ხელს არ შეუშლის კანონის შესაბამისად ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის დამატებითი უფლებამოსილებებისა და მოვალეობების მინიჭებას სპეციალური მიზნებით.

2. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, კანონის ფარგლებში აქვთ სრული თავისუფლება განახორციელონ თავიანთი ინიციატივა ნებისმიერი საკითხის მიმართ, რომელიც არ გამოირიცხება მათი კომპეტენციიდან ან რომელიც მინიჭებული არა აქვს ხელისუფლების რომელიმე სხვა ორგანოს.

3. როგორც წესი, სახელმწიფო უფლებამოვალეობების განხორციელება ხდება ხელისუფლების იმ ორგანოს მიერ, რომელიც ყველაზე ახლოს არის მოქალაქეებთან. მოვალეობების გადანაწილება სხვა ორგანოსათვის უნდა მოხდეს შესაბამისი ამოცანების მოცულობისა და ბუნების, ასევე ეკონომიკისა და ეფექტურობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

4. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის მინიჭებული უფლებამოსილება, როგორც წესი, იქნება სრული და ექსკლუზიური. იგი არ შეიძლება იქნას შეზღუდული სხვა ცენტრალური ან რეგიონალური ორგანოს მიერ, კანონით განსაზღვრული შემთხვევების გარდა.

5. ცენტრალური ან რეგიონალური ორგანოების მიერ უფლებამოსილებათა დელეგირების შემთხვევაში, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს ენიჭებათ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, თავისუფლება მოახდინონ დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელება ადგილობრივ პირობებთან მისადაგებით.

6. რამდენადაც ეს შესაძლებელია, ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უნდა გაეწიოს კონსულტაციები სათანადო დროს და შესაბამისი გზებით ყველა იმ საკითხის დაგეგმვასა და მათზე გადამწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც მათ პირდაპირ ეხებათ.

მუხლი 5 - ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს ადმინისტრაციული საზღვრების დაცვა

ცვლილებები ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოს ადმინისტრაციულ საზღვრებში არ იქნება შეტანილი შესაბამის ადგილობრივ ორგანოსთან წინასწარი კონსულტაციის გარეშე, შესაძლებლობის შემთხვევაში, რეფერენდუმის ჩატარების საშუალებით იქ, სადაც კანონით ეს ნებადართულია.

მუხლი 6 - შესაბამისი ადმინისტრაციული სტრუქტურები და ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა ამოცანების წყარო

1. უფრო ზოგადი საკანონმდებლო დებულებებისათვის ზიანის მიყენების გარეშე, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები უფლებამოსილნი არიან განსაზღვრონ თავიანთი შიდა ადმინისტრაციული სტრუქტურები იმ მიზნით, რომ მოხდეს მათი მისადაგება ადგილობრივ საჭიროებებთან და უზრუნველყოფილი იქნას ეფექტური მართვა.

2. თვითმმართველობის ადგილობრივი ორგანოების მოხელეთა სამსახურის პირობები უნდა იძლეოდნენ იმის საშუალებას, რომ მოხდეს მაღალკვალიფიციური პერსონალის დაქირავება დამსახურებისა და კომპეტენტურობის საფუძველზე; ამ მხრივ უზრუნველყოფილი იქნება პროფესიული მომზადების ადეკვატური საშუალებები, ანაზღაურება და სამსახურეობრივი დანიშნულების საშუალებები.

მუხლი 7 - პირობები, რომელთა მიხედვითაც ხდება უფლებამოსილებათა განხორციელება ადგილობრივ დონეზე

1. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში არჩეული წარმომადგენლების სამსახურის პირობებით უზრუნველყოფილი იქნება მათი ფუნქციების თავისუფალი განხორციელება.

2. ამ პირობებით უზრუნველყოფილი იქნება სამსახურეობრივი მოვალეობების განხორციელების დროს განული ხარჯების შესაბამისი ფინანსური კომპენსაცია, ისევე როგორც, სათანადო შემთხვევებში, კომპენსაცია სახსრების დაკარგვის შემთხვევაში ან შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება და შესაბამისი სოციალური დაცვა.

3. ნებისმიერი ფუნქცია ან საქმიანობა, რომელიც განიხილება, როგორც შეუთავსებელი ადგილობრივ არჩევით თანამდებობასთან, განისაზღვრება კანონით ან ძირითადი სამართლებრივი პრინციპებით.

მუხლი 8 - ადმინისტრაციული ზედამხედველობა ხელისუფლების

ადგილობრივ ორგანოთა საქმიანობაზე

1. ნებისმიერი ადმინისტრაციული ზედამხედველობა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე შეიძლება განხორციელდეს კონსტიტუციით ან კანონით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად და მათ მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში.

2. ნებისმიერი ადმინისტრაციული ზედამხედველობა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაზე, როგორც წესი, მიზნად უნდა ისახავდეს კანონსა და კონსტიტუციურ პრინციპებთან შესაბამისობის მიღწევას. ამასთან, ადმინისტრაციული ზედამხედველობა შეიძლება განხორციელდეს მაღალი დონის ხელისუფლების ორგანოების მიერ იმ ამოცანების შესრულებასთან დაკავშირებით, რომლებიც მათ დელეგირებული აქვთ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისათვის.

3. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებზე ადმინისტრაციული ზედამხედველობა განხორციელდება ისეთი გზით, რომ მაკონტროლებელი ხელისუფლების ორგანოს ჩარევა პროპორციაში იყოს იმ ინტერესების მნიშვნელობასთან, რომელთა დაცვაც არის განზრახული.

მუხლი 9 - ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფინანსური სახსრები

1. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უფლება აქვთ ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში გააჩნდეთ საკუთარი ფინანსური სახსრები, რომელთა განკარგვაც მათ შეეძლება მათი უფლებამოსილების ფარგლებში.

2. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფინანსური წყაროები თანაზომიერნი უნდა იყვნენ კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ მათ უფლებამოვალეობებთან.

3. ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ფინანსური წყაროების თუნდაც ნაწილი უნდა შემოდიოდეს ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან, რომელთა ოდენობის დადგენაც შეუძლიათ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს კანონის ფარგლებში.

4. ფინანსური სისტემები, რომლებსაც ეფუძნებიან ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა სახსრები, უნდა იყოს საკმარისად მრავალფეროვანი და მოქნილი, რათა ამ ორგანოებს საშუალება ჰქონდეთ, იმდენად, რამდენადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელი იქნება, გაითვალისწინონ მათი ამოცანების შესრულებისას განეული რეალური ხარჯების ბალანსი.

5. ფინანსურად სუსტ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა დაცვა მოითხოვს ფინანსური გათანასწოების პროცედურების ან სხვა შესაბამისი ზომების გატარებას, რომელთა დანიშნულებაა გამოასწორონ ფინანსების პოტენციური წყაროებისა და ფინანსური ვალდებულებების არაადეკვატური განაწილების შედეგები. ამგვარი პროცედურები ან ზომები არ შეზღუდავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების თავისუფლებას მათი კომპეტენციის ფარგლებში.

6. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან სათანადო წესით უნდა გაიმართოს კონსულტაციები იმ გზების შესახებ, რომლებითაც უნდა მოხდეს მათთვის გათვალისწინებული სახსრების გადანაწილება.

7. იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების სუბსიდიები არ იქნება გამოყენებული სპეციალური პროექტების დასაფინანსებლად. სუბსიდირება არ ზღუდავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების თავისუფლებას გაატარონ დამოუკიდებელი პოლიტიკა თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში.

8. კაპიტალური ინვესტიციების მიღების მიზნით, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისთვის კანონის ფარგლებში ხელმისაწვდომი იქნება კაპიტალის ეროვნული ბაზარი.

მუხლი 10 - ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლება გაერთიანებაზე

1. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს, მათი უფლებამოსილებების განხორციელებისას, უფლება აქვთ ითანამშრომლონ და კანონის ფარგლებში შექმნან გაერთიანება ხელისუფლების სხვა ადგილობრივ ორგანოებთან, რათა შეასრულონ საერთო ინტერესებში შემავალი ამოცანები.

2. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა უფლება ეკუთვნოდნენ გაერთიანებას მათი საერთო ინტერესების დაცვისა და მხარდაჭერის მიზნით და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საერთაშორისო გაერთიანებას, აღიარებული იქნება თითოეულ სახელმწიფოში.

3. ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უფლება აქვთ კონონით დადგენილი პირობების დაცვით, ითანამშრომლონ სხვა სახელმწიფოების ანალოგიურ ორგანოებთან.

მუხლი 11 - ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი დაცვა

ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს უფლება აქვთ მიიღონ სამართლებრივი ზომები მათი უფლებამოსილებების თავისუფალი განხორციელების და ადგილობრივი თვითმმართველობის ისეთი პრინციპების პატივისცემის უზრუნველსაყოფად, რომლებიც დაცულნი არიან კონსტიტუციით ან შიდა კანონმდებლობით.

ნაწილი II - სხვადასხვა დებულებები

მუხლი 12 - ვალდებულებები

1. თითოეული მხარე ვალდებულებას იღებს აღიაროს, რომ იგი ვალდებულია ქარტიის 1-ლი თავის სულ მცირე 20 პუნქტით, რომელთაგანაც არანაკლებ ათი არჩეულ უნდა იქნას ქვემო პუნქტებიდან:

- მუხლი 2,
- მე-3 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები,
- მე-4 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 პუნქტები,
- მე-5 მუხლი,
- მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი,

საართაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები

- მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი,
- მე-9 მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტები,
- მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტი,
- მე-11 მუხლი.

2. თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო, მისი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების დროს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს აცნობებს იმ პუნქტებს, რომელთა შერჩევაც მოხდება ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად.

3. ნებისმიერ მხარეს, მოგვიანებით ნებისმიერ დროს, შეუძლია შეატყობინოს გენერალურ მდივანს, რომ იგი თავს მიიჩნევს ვალდებულად ამ ქარტიის ნებისმიერი პუნქტით, რომელიც მანამდე არ იქნა მიღებული ამ მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებების შესაბამისად. შემდგომში აღებული ამგვარი ვალდებულებები განიხილება, როგორც მხარის მიერ რატიფიკაციის, მიღების ან მოწონების შემადგენელი ნაწილი და ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამოწურვას გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან.

მუხლი 13 - ხელისუფლების ორგანოები, რომელთა მიმართაც გამოიყენება ქარტია

წინამდებარე ქარტიაში განსაზღვრული თვითმმართველობის პრინციპები გამოიყენება თითოეული მხარის ტერიტორიაზე არსებული ყველა კატეგორიის თვითმმართველობის ორგანოების მიმართ. ამასთან, თითოეულ მხარეს მისი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების დროს შეუძლია განსაზღვროს ადგილობრივი ან რეგიონალური ორგანოების კატეგორიები, რომლებითაც იგი აპირებს შეზღუდოს ქარტიის გამოყენების სფერო ან რომლებსაც იგი გამორიცხავს მისი გამოყენების სფეროდან. მას ასევე შეუძლია ჩართოს ხელისუფლების სხვა ადგილობრივ ან რეგიონალურ ორგანოთა კატეგორიები ქარტიის გამოყენების სფეროში ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისთვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით.

მუხლი 14 - ინფორმაციის მიწოდება

თითოეული მხარე ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს გაუგზავნის ნებისმიერ სათანადო ინფორმაციას საკანონმდებლო დებულებების ამოქმედებისა და ამ ქარტიის პირობების შესრულების მიზნით მის მიერ მიღებული სხვა ზომების შესახებ.

ნაწილი III

მუხლი 15 - ხელმოწერა, რატიფიკაცია და ძალაში შესვლა

1. ეს ქარტია ღიაა ხელმოსაწინად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის. იგი ქვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელები შესანახად ბარდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

2. ეს ქარტია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს

სამთვიანი ვადის ამონაწერს თარიღიდან, როდესაც ევროპის საბჭოს ოთხი წევრი სახელმწიფო წინა პუნქტის დებულებების შესაბამისად განაცხადებს თავის თანხმობას იყოს ვალდებული ქარტიით.

3. ნებისმიერი სხვა წევრი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში განაცხადებს თავის თანხმობას იყოს ვალდებული ქარტიით, იგი ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამონაწერს სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების თარიღიდან.

მუხლი 16 - ტერიტორიული დათქმა

1. ნებისმიერ სახელმწიფოს, ხელმოწერის ან მისი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების დროს, შეუძლია განსაზღვროს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელთა მიმართაც მოხდება ამ ქარტიის გამოყენება.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს მოგვიანებით ნებისმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული დეკლარაციის საშუალებით შეუძლია გაავრცელოს ამ ქარტიის გამოყენება დეკლარაციაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე. ამგვარი ტერიტორიის მიმართ, ქარტია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიანი ვადის ამონაწერს გენერალური მდივნის მიერ დეკლარაციის მიღების თარიღიდან.

3. წინა ორი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დეკლარაცია, მასში მითითებული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ შეიძლება უკან იქნას გამოთხოვილი გენერალური მდივნისათვის შეტყობინების გაგზავნის საშუალებით. უკან გამოთხოვა ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს ექვსთვიანი ვადის ამონაწერს გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან.

მუხლი 17 - დენონსაცია

1. ნებისმიერ მხარეს შეუძლია მოახდინოს ამ ქარტიის დენონსაცია ხუთწლიანი ვადის ამონაწერის შემდეგ ქარტიის ძალაში შესვლის თარიღიდან. ექვსი თვით ადრე გენერალურ მდივანს ეგზავნება შეტყობინება დენონსაციის შესახებ. ამგვარი დენონსაცია არ მოახდენს ზეგავლენას ქარტიის მოქმედებაზე სხვა მხარეთა მიმართ, იმ პირობით, რომ მათი რიცხვი არ უნდა იყოს ოთხზე ნაკლები.

2. ნებისმიერ მხარეს, წინა პუნქტის დებულებების შესაბამისად შეუძლია დენონსაცია გაუკეთოს მის მიერ მიღებულ ქარტიის 1-ლი ნაწილის ნებისმიერ პუნქტს, იმ პირობით, რომ მხარე ვალდებული იქნება მე-12 მუხლში განსაზღვრული პუნქტების რაოდენობითა და სახით. ნებისმიერი მხარე, რომელიც რომელიმე პუნქტის დენონსაციის შემდეგ, ვერ აკმაყოფილებს მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს, განხილვება, როგორც მხარე, რომელმაც მოახდინა ქარტიის დენონსაცია.

საქართველოს კონსტიტუცია

მუხლი 18 - შეტყობინებები
ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს ევროპის საბჭოს ნევრ სახელმწიფოებს:

- ა) ხელმოწერის შესახებ;
- ბ) ნებისმიერი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების შესახებ;
- გ) ამ ქარტიის მე-15 მუხლის შესაბამისად ძალაში შესვლის შესახებ;
- დ) მე-12 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინების შესახებ;
- ე) მე-13 მუხლის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინების შესახებ;
- ვ) ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინების ან კომუნიკაციის შესახებ, რომელიც ეხება ამ ქარტიას. ამის დასტურად, ქვემოთ ხელმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ რწმუნებულნი, ხელი მოაწერეს წინამდებარე ქარტიას.

შესრულებულია სტრასბურგში, 1985 წლის ოქტომბრის მე-15 დღეს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე;

ორივე ტექსტი არის თანაბრად აუთენტიური, შედგენილი თითო ექვემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს დამონმებულ ასლებს ევროპის საბჭოს თითოეულ ნევრ სახელმწიფოს.



საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა, ეყრდნობიან რა ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს, საქვეყნოდ აცხადებენ ამ კონსტიტუციას.

თავი პირველი
ზოგადი დებულებები

მუხლი 1

1. საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით, რომელიც ჩატარდა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის

აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით.

2. საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის დემოკრატიული რესპუბლიკა.

3. საქართველოს სახელმწიფოს სახელწოდებაა “საქართველო”.

მუხლი 2

1. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურებულია და აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აგრეთვე სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

2. საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიის გასხვისება აკრძალულია. სახელმწიფო საზღვრების შეცვლა შეიძლება მხოლოდ მეზობელ სახელმწიფოსთან დადებული ორმხრივი შეთანხმებით.

3. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

4. საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს ანესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეუღახავად. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 3

1. მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიეკუთვნება: ა) კანონმდებლობა საქართველოს მოქალაქეობის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, ემიგრაციისა და იმიგრაციის, ქვეყანაში შემოსვლისა და გასვლის, საქართველოში სხვა სახელმწიფოების მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა დროებით ან მუდმივად ყოფნის შესახებ; ბ) სახელმწიფო საზღვრების სტატუსი, რეჟიმი და დაცვა; ტერიტორიული წყლების, საჰაერო სივრცისა და კონტინენტური შელფის სტატუსი, მათი დაცვა; გ) სახელმწიფოს თავდაცვა და უშიშროება, სამხედრო ძალები, სამხედრო მრეწველობა და იარაღით ვაჭრობა; დ) ომისა და ზავის საკითხები; საგანგებო და საომარ მდგომარეობათა სამართლებრივი რეჟიმის დადგენა და შემოღება; ე) საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობანი; ვ) საგარეო ვაჭრობა, საბაჟო და სატარიფო რეჟიმები; ზ) სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო სესხი; ფულის მოჭრა; საბანკო, საკრედიტო და სადაზღვევო კანონმდებლობა; თ) სტანდარტები და ეტალონები; გეოდეზია და კარტოგრაფია; ზუსტი დროის დადგენა; სახელმწიფო სტატისტიკა;

საქართველოს კონსტიტუცია

ი) ერთიანი ენერგეტიკული სისტემა და რეჟიმი; კავშირგაბმულობა; სავაჭრო ფლოტი; გემთა აღმები; საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ნავსადგურები, აეროპორტები და აეროდრომები; საჰაერო სივრცის, ტრანზიტისა და საჰაერო ტრანსპორტის კონტროლი, საჰაერო ტრანსპორტის რეგისტრაცია; მეტეოროლოგიური სამსახური; გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების სისტემა; კ) სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა და საავტომობილო გზები; ლ) თევზჭერა ოკეანესა და ღია ზღვაში; მ) სასაზღვრო-სანიტარიული კორდონი; ნ) კანონმდებლობა ფარმაცევტული პრეპარატების შესახებ; ო) საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების ატესტაცია და აკრედიტაცია; კანონმდებლობა აკადემიური, სამეცნიერო, პროფესიული წოდებებისა და ხარისხების შესახებ; პ) კანონმდებლობა ინტელექტუალური საკუთრების შესახებ; ჟ) სავაჭრო, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, შრომის სამართლის, სასჯელის აღსრულებისა და საპროცესო კანონმდებლობა; რ) კრიმინალური პოლიცია და გამოძიება; ს) კანონმდებლობა მინის, ნიაღისეულის და ბუნებრივი რესურსების შესახებ.

2. ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები ცალკე განისაზღვრება.

მუხლი 4

1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა-რესპუბლიკის საბჭო და სენატი.

2. რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან.

3. სენატი შედგება აფხაზეთში, აჭარაში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან.

4. პალატების შემადგენლობას, უფლებამოსილებასა და არჩევის წესს განსაზღვრავს ორგანული კანონი.

მუხლი 5

1. საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში.

2. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით.

3. არავის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება.

4. სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

მუხლი 6

1. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყვე-

ლა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას.

2. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

მუხლი 7

სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულია ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.

მუხლი 8

საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში აგრეთვე-აფხაზური.

მუხლი 9

სახელმწიფო აღიარებს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში, ამასთან ერთად აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას, ეკლესიის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან.

მუხლი 10

საქართველოს დედაქალაქი არის თბილისი.

მუხლი 11

საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები დადგენილია ორგანული კანონით.

თავი მეორე

საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი

მუხლი 12

1. საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით. 2. საქართველოს მოქალაქე იმავდროულად არ შეიძლება იყოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე.

3. საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 13

1. საქართველო მფარველობს თავის მოქალაქეს განურჩევლად მისი ადგილსამყოფელისა.

2. მოქალაქეობის ჩამორთმევა დაუშვებელია.

3. საქართველოდან საქართველოს მოქალაქის გაძევება დაუშვებელია.

სასამართლოს კონსტიტუცია

4. საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადანყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 14

ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

მუხლი 15

1. სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა და მას იცავს კანონი.
2. სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება - სიკვდილით დასჯა, მის სრულ გაუქმებამდე, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ორგანული კანონით სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის. ამ სასჯელის შეფარდების უფლება აქვს მხოლოდ საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

მუხლი 16

ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება.

მუხლი 17

1. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია.
2. დაუშვებელია ადამიანის წამება, მის მიმართ არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის მეთოდების გამოყენება.

მუხლი 18

1. ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია.
2. თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადანყვეტილების გარეშე.

3. ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადანყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

4. დაუშვებელია დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდული პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება.

5. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.

6. დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის დაკავების ვადა არ უნდა

ალემატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა - 9 თვეს.

4. კონტროლის პალატის უფლებამოსილება, ორგანიზაცია და საქმიანობის წესი, დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება კანონით.

5. სახელმწიფო კონტროლის სხვა ორგანოები იქმნება კანონის შესაბამისად.

თავი მეშვიდე
სახელმწიფოს თავდაცვა

მუხლი 98

1. საქართველოს სუვერენული უფლებაა აწარმოოს თავდაცვითი ომი.

2. ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად საქართველოს ჰყავს სამხედრო ძალები.

3. სამხედრო ძალების სახეობები და შემადგენლობა განისაზღვრება კანონით. სამხედრო ძალების სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი, რაოდენობას კი ეროვნული უშიშროების საბჭოს წარდგინებით - პარლამენტი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 99

1. სამხედრო აღმშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისათვის იქმნება ეროვნული უშიშროების საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრეზიდენტი.

2. ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობა, უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება ორგანული კანონით.

მუხლი 100

1. საქართველოს პარლამენტის თანხმობის გარეშე დაუშვებელია სამხედრო ძალთა გამოყენება საგანგებო მდგომარეობის დროს ან საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად.

2. სახელმწიფოს თავდაცვის მიზნით განსაკუთრებულ და კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქვეყანაში სხვა სახელმწიფოს სამხედრო ძალის შემოყვანის, გამოყენების და გადაადგილების გადანყვეტილებას იღებს საქართველოს პრეზიდენტი. გადანყვეტილება დაუყოვნებლივ წარედგინება პარლამენტს დასამტკიცებლად და ძალაში შედის პარლამენტის თანხმობის შემდეგ.

მუხლი 101

1. საქართველოს დაცვა საქართველოს ყოველი მოქალაქის მოვალეობაა.

საქართველოს კონსტიტუცია

2. ქვეყნის დაცვა და სამხედრო ვალდებულების მოხდა საამისო უნარის მქონე ყველა მოქალაქის ვალია. სამხედრო ვალდებულების მოხდის ფორმას ადგენს კანონი.

თავი მერვე კონსტიტუციის გადასინჯვა

მუხლი 102

1. კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის კანონპროექტის შეტანის უფლება აქვთ:

- ა) პრეზიდენტს;
- ბ) პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს;
- გ) არანაკლებ 200000 ამომრჩეველს.

2. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი წარედგინება საქართველოს პარლამენტს, რომელიც აქვეყნებს მას საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. პარლამენტში კანონპროექტის განხილვა იწყება მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ.

3. კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.

4. კონსტიტუციის 68-ე მუხლით გათვალისწინებული წესით კონსტიტუციის გადასინჯვის კანონს ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუხლი 103

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადება გამოიწვევს კონსტიტუციის გადასინჯვის შეჩერებას საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე.

თავი მეცხრე გარდამავალი დებულებები

მუხლი 104

1. საქართველოს კონსტიტუცია ძალაში შედის საქართველოს ახლარჩეული პრეზიდენტისა და პარლამენ გს უფლებამოსილების ცნობის დღიდან.

2. კონსტიტუციის 49-ე, 50-ე და 70-ე მუხლები ძალაში შედის კონსტიტუციის გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 105

1. 1995 წლის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას, რომლის ინიციატივა დადასტურებულია 50000 ხელმოწერით მაინც, ან რომელსაც ჰყავდა წარმომადგენელი პარლამენტში კონსტიტუციის მიღების დღისათვის.

2. პროპორციული სისტემით არჩევნები ტარდება ერთიანი პარტიული სიით.

3. პოლიტიკურ გაერთიანებას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წარადგინოს დეპუტატობის ის კანდიდატი, რომელიც იმავდროულად მის პარტიულ სიაშია.

4. მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს, მაგრამ კენჭისყრის მონაწილეთა არანაკლებ ერთი მესამედისა.

5. თუ პარლამენტის წევრი პირველ ტურში ვერ აირჩა, ჩატარდება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს უკეთესი შედეგის მქონე ორი კანდიდატი. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც ხმათა მეტ რაოდენობას მიიღებს.

6. ეს მუხლი ძალაში შედის კონსტიტუციის გამოქვეყნებისთანავე და მოქმედებს ახალარჩეული პარლამენტის უფლებამოსილების ცნობამდე.

მუხლი 106

1. კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდეგ მოქმედებს მხოლოდ ის სამართლებრივი აქტი ან აქტის ნაწილი, რომელიც კონსტიტუციას არ ეწინააღმდეგება.

2. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფენ კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე მიღებული ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეგისტრაციას, კონსტიტუციასთან და კანონებთან მათ შესაბამისობას.

3. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში საქართველოს პარლამენტმა უნდა მიიღოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ორგანული კანონები, ან დაადასტუროს ამ სფეროში არსებული ნორმატიული აქტების მართლზომიერება.

მუხლი 107

1. კონსტიტუციის შესაბამისად სასამართლო წყობილების ორგანული კანონების მიღებამდე ძალაში რჩება სასამართლო წყობილების მოქმედი კანონმდებლობა.

2. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ძალაში შევა შესაბამისი სისხლის სამართლის საპროცესო საკანონმდებლო აქტების მიღების შემდეგ.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონი მიღებულ უნდა იქნეს 1996 წლის 1 თებერვლამდე.

მუხლი 108

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის სრულ აღდგენასთან დაკავშირებით კონსტიტუციის 102-ე მუხლის მე-2 პუნქტში სათანადო ცვლილებებისა თუ დამატებები შეტანა გამონაკლისის

კანონმდობის

წესით დასაშვებია კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნების გარეშე.

მუხლი 109

1. შესაბამისი წესით მიღებულ კონსტიტუციას ხელს აწერს და აქვეყნებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური.

2. საქართველოს პარლამენტისა და საკონსტიტუციო კომისიის წევრები ხელს აწერენ კონსტიტუციის ტექსტს. კონსტიტუციის ძალაში შესვლიდან სულ ცოტა ერთი წლის განმავლობაში ტექსტი ღიად უნდა ინახებოდეს საქართველოს ყველა ადგილობრივი ორგანოს შენობაში, რათა მოსახლეობა გაეცნოს მის შინაარსს.

მიღებულია 1995 წლის 24 აგვისტოს



**ეროვნულ უმცირესობათა
ინტეგრაცია მულტილინგვური
განათლების საშუალებით**

განათლების პოლიტიკის დოკუმენტი (პროექტი)

შესავალი

ეროვნულ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის წარმატების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინდიკატორი არის სახელმწიფო ენის ცოდნა. არსებობს პირდაპირი კავშირი სახელმწიფო ენაზე საუბრის შესაძლებლობას, სამოქალაქო საზოგადოებასთან ინტეგრაციასა და შრომის ბაზარს შორის. არსებობს იმის რისკი, რომ სახელმწიფო ენის გავრცელება, შეიძლება ჩაითვალოს ასიმილაციის პოლიტიკად ეროვნული უმცირესობების მიერ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობის გრძნობა. მაშასადამე, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ენის ხელშეწყობისას დაცულ იქნას უმცირესობათა უფლებები. ე.ი. ის ადამიანები, რომლებიც ეკუთვნიან ეროვნულ უმცირესობებს, აცნობიერებდნენ, რომ აქვთ თანასწორი შესაძლებლობები თავიანთ ენაზე განათლების მიღების ჩათვლით. ასე რომ, მულტილინგვური განათლება აღქმულია, როგორც ინტეგრაციის პოლიტიკის ეფექტური ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას აძლევს ეთნიკურ და ენობრივ უმცირესობებს, რომ ჰქონდეთ სახელმწიფო ენის დაუფლების უკეთესი შესაძლებლობა და ამავე დროს უზრუნველყოფს მათი მშობლიური ენების ფუნქციონირებას.

პოლიტიკის მიზნები

ეროვნული უმცირესობების საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს განათლების სისტემა. ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციისათვის საჭიროა სახელმწიფო ენის ცოდნა და მათი ლინგვისტური და კულტურული იდენტურობის დაცვა. განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ზოგადადამიანური და ზოგადსახელმწიფოებრივი ღირებულებების შესწავლა და მიღება, ასევე ეროვნულ უმცირესობათა კულტურული იდენტურობის დაცვა და ინტერკულტურული განათლება.

მულტილინგვური სწავლებისას კლასში ორი, ან მეტი ენა გამოიყენება. განათლების მიღება მშობლიურ ენაზე ბავშვებსა და მოსწავლეებს თავიანთი ინტელექტუალური შესაძლებლობების სრული განვითარების შესაძლებლობას აძლევს. იმავდროულად ისინი ეუფლებიან ლინგვისტურ უნარებს იმ ენაზე, რომელიც მათთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. თუმცა მულტილინგვური განათლების მიღების ძირითადი უპირატესობა ის არის, რომ იგი ხელს უწყობს ინტერკულტურული ჩვევებისა და ტოლერანტობის განვითარებას, რაც მრავალენოვანი ქვეყანაში მშვიდობიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას განაპირობებს.

ამიტომ საქართველოში მულტილინგვური განათლების ძირითადი მიზნები ასეთია:

- შეიქმნას განათლების ისეთი სისტემა, რომელიც იქნება ძირითადი ინსტრუმენტი ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის.

- შეიქმნას განათლების ისეთი სისტემა, რომელიც იქნება ძირითადი ინსტრუმენტი ტოლერანტობისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის.

- უზრუნველყოფილ იქნას, რომ საქართველოს ყველა მცხოვრები საკმაოდ ფლობდეს ქართულ ენას იმისთვის, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში და წარმატებით მოხდეს მისი ინტეგრაცია დასაქმების სფეროში.

- უზრუნველყოფილ იქნას ეროვნულ უმცირესობათა განათლების ისეთი პროგრამების შექმნა და დანერგვა, რომლებიც შეესაბამება ზემოაღნიშნულ მიზნებს და იმავდროულად ხელს შეუწყობს ეროვნულ უმცირესობათა კულტურული და ლინგვისტური იდენტურობის დაცვასა და ინტეგრაციას ქართულ საზოგადოებაში.

ლეგალური ჩარჩოები

კანონი საჯარო განათლების შესახებ ლეგალურ ჩარჩოებს გვთავაზობს საქართველოში მულტილინგვური განათლების პროგრამების შემუშავებისა და დანერგვისათვის. საჯარო განათლების 4.3 პუნქტის თანახმად, საქართველოს იმ მოქალაქეებს, რომელთათვის ქართული ენა მშობლიური არ არის, აქვთ უფლება მიიღონ სრული საჯარო განათლება თავიანთ მშობლიურ ენაზე იმ კურიკულუმების მიხედვით,

კანონმდებელი

რომელიც შემუშავებულია კანონის შესაბამისად. ასეთ საჯარო სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლა აუცილებელია, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ორივე სახელმწიფო ენის (ქართულისა და აფხაზურის) სწავლა მოეთხოვებათ. უფრო მეტიც, ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგიერთ შემთხვევაში, რომელიც რეგულირდება საერთაშორისო შეთანხმებებითა და ხელშეკრულებებით, რომლებშიც საქართველოც მონაწილეობს, უცხო ენაზე სწავლებაც ნებადართულია. ასეთ საჯარო სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლება აუცილებელია, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ორივე სახელმწიფო ენა უნდა ისწავლებოდეს.

ენობრივი მრავალფეროვნების ღირებულება და ლეგიტიმურობა ხაზგასმულია მზარდი რაოდენობის საერთაშორისო შეთანხმებებსა და სხვა დოკუმენტებში, რომლებიც სხვადასხვა წყაროდან მომდინარეობს: გაერო და მასთან დაკავშირებული სააგენტოები, ევროპის საბჭო და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (OSCE). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს: გაერთიანებული ერების დეკლარაცია იმ ადამიანის უფლებებზე, რომელიც მიეკუთვნება ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ლინგვისტურ უმცირესობებს (1992); კოპენჰაგენის შეხვედრის დოკუმენტი ადამიანის შესაძლებლობებზე (OSCE) (1990); ეროვნული უმცირესობების დაცვის ევროპის საბჭოს ჩარჩო კონვენცია (1994); და ევროპული ქარტია რეგიონულ ან უმცირესობათა ენებისათვის (1992).

2005 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს მთავრობის მიერ რატიფიცირებულ იქნა ევროპული ჩარჩო კონვენცია, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ, რომელიც იძლევა ლეგალურ გარანტიას უმცირესობათა სრული ინტეგრაციის შემდგომ, საგანმანათლებლო სისტემის საშუალებით ინტეგრაციისა და უმცირესობათა ენებზე განათლების უფლებების კონსტიტუციური დაცვის ჩათვლით.

პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მულტილინგვური განათლების პოლიტიკა უნდა ემყარებოდეს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- ხელმისაწვდომობის პრინციპი

მულტილინგვური განათლება თანაბრად ხელმისაწვდომია ყველა მონაწილისთვის; ყველა სკოლას, სწავლების ენისაგან დამოუკიდებლად, აქვს უფლება შეიმუშაოს და დანერგოს მულტილინგვური საგანმანათლებლო პროგრამები თავიანთი რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეებისა და მათი მშობლების საჭიროებების შესაბამისად. მულტილინგვური განათლების ხელმისაწვდომობა ასევე გულისხმობს დამატებითი სასწავლო აქტივობების, სოციალური და კულტურული მოვლენებისა და სხვა ისეთი შესაძლებლობების ხელმისაწვდომობას, რომელთა შეთავაზებაც შეიძლება მულტილინგვური განათლებისა და

სოციალური ინტეგრაციის მხარდასაჭერად.

- ინტეგრაციის პრინციპი

სახელმწიფოში მულტილინგვური განათლება ჩართული უნდა იყოს საშუალო განათლების ინსტიტუციებში.

- მონანილეობის პრინციპი

ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები ფართო საზოგადოებასთან ერთად აქტიურად უნდა ჩაერთონ მულტილინგვური განათლების პოლიტიკის განვითარებასა და გატარებაში.

- უწყვეტობისა და თანმიმდევრობის პრინციპი

საშუალო სკოლებში მულტილინგვური განათლება უნდა გახდეს მთელი განათლების სისტემის – სკოლამდელი განათლებიდან პროფესიულ და უმაღლეს განათლებამდე – ინტეგრალური ნაწილი და უნდა უზრუნველყოს მონანილეთა წარმატებული გადასვლა განათლების შემდგომ საფეხურზე.

- ინსტიტუციათა თანამშრომლობისა და პასუხისმგებლობის პრინციპი

მულტილინგვური განათლება უნდა იყოს ეროვნული ინტეგრაციის პროგრამების ნაწილი და პოლიტიკის გატარებისას უნდა ითხოვდეს პასუხისმგებელი ინსტიტუციების ჩართვასა და თანამშრომლობას.

პრობლემების იდენტიფიცირება

მიმდინარე მულტილინგვური საგანმანათლებლო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ეროვნულ უმცირესობათა საგანმანათლებლო პოლიტიკის სფეროში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გეგმავს არაერთი მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროგრამების განხორციელებას. ამის მთავარი მიზანია არაქართული სკოლების მოსწავლეების სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა, რაც სახელმწიფო ენისა და ეროვნულ უმცირესობათა ენების გაუმჯობესებული სწავლებით უნდა იყოს მიღწეული. ყოვლისმომცველი პროგრამები შექმნილია ფინანსების უკეთ გამოყენებისა და სკოლებში სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ეს ინიციატივები შეეხება არაქართულ სკოლებს მთელი ქვეყნის მასშტაბით.

ამ პროგრამების უმეტესობა მიზანმიმართულია: 1) სახელმწიფო ენისა და ეროვნულ უმცირესობათა ენების კურიკულუმების გაუმჯობესების; 2) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების; 3) ეროვნულ უმცირესობათა სკოლების მხარდაჭერის; 4) სახელმწიფო ენის ფლობის დონის სრულყოფისაკენ.

საზოგადოდ, იმ პროგრამებმა, რომლებიც ფოკუსირებულია ახალი კურიკულუმების შექმნაზე, პილოტირებასა და დანერგვაზე, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უნიფიცირებული განათლების სტანდარტების სისტემის შემუშავებასა და ყველა სკოლაში მათი დანერგვის საქმეში. ისეთი ახალი სახელმძღვანელოების შედგენამ, რომლებიც შეესაბამება ეროვნულ კურიკულუმს, ყველა სკოლაში გაზარდა სწავლებისა და

სწავლის დონის ამაღლების შესაძლებლობა.

არაქართულ სკოლებში მოსწავლეთა და მასწავლებელთა ქართული ენის არასათანადო ცოდნის გათვალისწინებით საჭიროა, სახელმძღვანელოების, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სხვა დამხმარე მასალების თარგმნა ამ სკოლებში ახალი კურიკულუმის დასაწერად. მიუხედავად იმისა, რომ იყო გარკვეული უკმაყოფილება ქართული გრამატიკის, ლიტერატურის, ისტორიისა და გეოგრაფიის ახალი სახელმძღვანელოების გამო, მათი თარგმნა სკოლებისა და მასწავლებლების მიერ პოზიტიურ მოვლენად შეფასდა. თუმცა ზოგიერთი პრობლემა სახელმძღვანელოების ხარისხისა და ფასის გამო კვლავ რჩება. არაქართული სკოლების სახელმწიფო ხელშეწყობის ფარგლებში, სახელმძღვანელოების უფასო მიწოდებაც ივარაუდება, მაგრამ ამით ყველა პრობლემა არ ამოიწურება. სწავლებისათვის საჭირო ახალი სახელმძღვანელოებისა და კურიკულუმების მიწოდება კვლავ ნელა სრულდება. უმცირესობათა ენებზე სახელმძღვანელოების თარგმნაც კი, რაც სრულიად აუცილებელია ყველა სკოლაში ერთიანი კურიკულუმის წარდგენისთვის, არ შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო ენის ფლობის გაღრმავების ეფექტურ ზომად.

მეთოდოლოგიისა და პრაქტიკული უნარების არქონის გამო, ქართული ენის მასწავლებლებს უტარდებოდათ სპეციალური ტრენინგი, ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებისათვის. ეს ხსნის ზოგიერთ ნამონეყებასთან დაკავშირებულ ზოგად უკმაყოფილებას (მაგალითად, “მომავალი ვარსკვლავები დღეს”), როდესაც მასწავლებელს მოსწავლეთა ენის არცოდნისას მეორე ენის სწავლების გამოცდილება არა აქვს. მსგავს პრობლემებს აწყდებიან მასწავლებლები ქართულ სკოლებშიც, სადაც ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეების ზრდა აღინიშნება ქართულ ენაზე სწავლების პროგრამებში ჩართულობის თვალსაზრისით. ასეთ სკოლებს არ ექცეოდათ სათანადო ყურადღება იმის გამო, რომ პოლიტიკა კონცენტრირებული იყო სპეციფიურ რეგიონებზე, რომლებიც ეთნიკური უმცირესობებით არის დასახლებული. ამგვარად, პოლიტიკას, რომელიც მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისკენ არის მიმართული, აკლია სისტემური მიდგომა და არ შეესაბამება ეთნიკური უმცირესობის მოსწავლეთა განათლების სისტემაში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ ყველა მასწავლებლის ტრენინგის საჭიროებას.

სახელმწიფო პროგრამების ხელშეწყობის შედეგად ზოგიერთი პოზიტიური ცვლილება შეინიშნება ეროვნულ უმცირესობათა დამოკიდებულებაში სახელმწიფო ენის შესწავლისადმი და საერთოდ, განათლების პოლიტიკისადმი. მაგალითად, სკოლათა პარტნიორობის პროგრამა დადებითად შეფასდა ეროვნულ უმცირესობათა მხრიდან. მათ ეს მიიღეს, როგორც წვლილი ინტერკულტურული და ინტერეთნიკური ურთიერთობის გაუმჯობესებისა და ეროვნულ უმცირესობებში სახელმწიფო ენის ფლობის სრულყოფისათვის. თუმცა ეს პროგრამები

არ არის ბოლომდე დახვეწილი, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ეთნიკური უმცირესობა კომპაქტურად არის დასახლებული და ქართული ენის გამოყენების შეზღუდული შესაძლებლობაა. ამასთანავე, ქართული მედიაც (გაზეთები, ტელევიზია და სხვა) არ არის ხელმისაწვდომი.

მთავარი ზემოთ მოხსენებულ წამოწყებში არის ეფექტურობა. მნიშვნელოვანია, რომ წარმატებული პროგრამები, კარგი შედეგებისა და გამოცდილების ჩათვლით, აგრძელებს სახელმწიფოსგან მხარდაჭერის მიღებას და ჩართულნი არიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიულ გეგმაში, რათა განხორციელდეს მათი შემდგომი განვითარება და მთელ ქვეყანაში დანერგვა. პირველ რიგში, ეს გულისხმობს რამდენიმე წამოწყების ინსტიტუტულიზაციას და მეორე, შესაბამისი პოლიტიკის განვითარებას, რაც უზრუნველყოფს მომავალში მის გავრცელებასა და დანერგვას მთელ ქვეყანაში. შესაბამისად, მხოლოდ რომელიმე გამიზნულ ჯგუფზე კონცენტრირებამ (მაგ., უმცირესობათა სკოლის მასწავლებლებზე) ან პოლიტიკებს შორის კონტაქტის უქონლობამ, მაგალითად, ფოკუსირებამ მხოლოდ სახელმწიფო ენის, ან მხოლოდ უმცირესობათა ენების შესწავლაზე, შეიძლება გამოიწვიოს ადამიანთა და ფინანსური რესურსების არაეფექტური გამოყენება.

საბოლოოდ შეიძლება დავასკვნათ, რომ ზემოაღნიშნულმა პოლიტიკამ და ინიციატივებმა ქმედითი წვლილი შეიტანა საჭირო წინაპირობისა და პოზიტიური დამოკიდებულების შესაქმნელად მულტილინგვური განათლების ფართო ინტეგრაციისათვის საქართველოს განათლების სისტემაში.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პასუხისმგებლობას იღებს წარმატებულ გამოცდილებასა და ხელმისაწვდომ რესურსებზე დაფუძნებული მულტილინგვური პოლიტიკის შემდგომ განვითარებაზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციისადმი უფრო სისტემური მიდგომა საგანმანათლებლო სისტემის მეშვეობით და შეიქმნას შესაბამისი პირობები (სისტემური, ორგანიზაციული, ინდივიდუალური) მულტილინგვური განათლების დანერგვის ხელშესაწყობად სახელმწიფო და რეგიონალურ დონეზე.

მულტილინგვური

პოლიტიკის დანერგვის პოტენციური რისკი

მგ-ის პოლიტიკის განვითარებისა და დანერგვის წარმატება დიდად არის დამოკიდებული ამ პოლიტიკის გამტარებელი ინსტიტუციების (განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინტეგრაციის პროგრამა, კურიკულუმისა და შეფასების ეროვნული ცენტრი, ეროვნული აკრედიტაციის ცენტრი, რეგიონალური განათლების რესურსცენტრები) პასუხისმგებლობისა და შესაძლებლობის სწორად გადანაწილებაზე. ვარდა იმისა, რომ უნდა შეიქმნას პასუხისმგებელი ჯგუფი შესაბამისი საშტატო ერთეულებითა და დაფინანსებით. შესაძლოა საჭირო გახდეს მათთვის

პანონაროქტი

ტრენინგების ჩატარება, გარე ტექნიკური დახმარებისა და ექსპერტიზის ჩათვლით, რაც ხელმიწუნვდომელი იქნება სამინისტროში.

საზოგადოებრივი ურთიერთობის კომპანიები არასაკმარისია იმისთვის, რომ გაზარდოს საზოგადოებრივი შეგნება ინტეგრაციის პოლიტიკისა და მულტილინგვური განათლების (მგ) მიმართ. ეს ეხება ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებს. ინფორმაციისა და ადგილობრივ საზოგადოებასთან თანამშრომლობის ნაკლებობამ (განსაკუთრებით უმცირესობათა ენებში), შეიძლება მგ-ის პოლიტიკის განხორციელება საფრთხეში ჩააგდოს. ეროვნულ უმცირესობას უნდა განემარტოს, რომ ეს არ გულისხმობს მათ მშობლიურ ენაში განათლების უფლების შეზღუდვას.

მგ-ის პოლიტიკის გატარების დროს მხოლოდ არაქართულ სკოლებზე კონცენტრირებამ შეიძლება შეაფერხოს პოლიტიკის ეფექტი უმცირესობათა ინტეგრაციაზე. რასაკვირველია, მგ-ის მეთოდები ფართოდ უნდა გავრცელდეს არაქართულ სკოლებში, მაგრამ ქართული სკოლებიც მეტად მიმზიდველნი უნდა გახდნენ ეთნიკური უმცირესობის ბავშვებისათვის. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერთან ერთად, სკოლებმა უფრო მეტი ყურადღება და ინტერესი უნდა გამოიჩინონ იმ საჭიროებების მიმართ, რომლებიც უმცირესობის ბავშვებისა და მათი მშობლების მოთხოვნებს ეხება ენებთან, კულტურულ და რელიგიურ იდენტურობასთან დაკავშირებით. ამჟამად ეროვნულ უმცირესობათა საჭიროებების გათვალისწინება არ არის სკოლათა აკრედიტირების/ შეფასების სისტემის ნაწილი.

მგ-ის პოლიტიკის განხორციელება, მასწავლებელთა სერტიფიკაციისა და სკოლების აკრედიტირების სისტემის საშუალებით, ისევე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების ლიცენზია, მოითხოვს ეფექტური მონიტორინგის სისტემის განვითარებას; თუმცა მასწავლებელთა რეგისტრაციის სისტემა ამჟამად ჯერ კიდევ მუშავდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში. არსებული EMIS არ ფლობს სათანადო მონაცემებს და არ იძლევა მიმდინარე განათლების სისტემის მონიტორინგის ჩატარების საშუალებას. უფრო მეტიც, ზოგიერთი გამოკვლევის მონაცემების მიხედვით უმცირესობათა სკოლებში მონაცემები მწირია. მონაცემების რეგულარული ანალიზი ჯერ-ჯერობით არ არის ჩართული გადაწყვეტილების მიღებისა და დაგეგმვის პროცესში, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს პოლიტიკის ეფექტურობის შესახებ დროული და სანდო გამოკითხვის მიღებას. სკოლაში მასწავლებელთა და მოსწავლეთა შესახებ მონაცემების არქონამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მგ-ის პოლიტიკის ეფექტურ დაგეგმვას.

არადამაკმაყოფილებელი რესურსები, ასევე უმცირესობათა ენებზე საჭირო სახელმძღვანელოებისა და მეთოდოლოგიური მასალის შექმნის ძალიან შენელებული ტემპი, შეიძლება მგ-ის პოლიტიკისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ჩამოყალიბების მიზეზი გახდეს და

შეზღუდოს მისი ეფექტურობა.

სკოლებში მგ-ის ინტეგრაცია მოითხოვს დამატებითი თანხებისა და ადამინური რესურსების გამოყენებას (როგორცაა დამატებითი სასწავლო საათები, საშტატო ერთეულები, კურსკულუმებისა და სასწავლო მასალების შექმნა და ა.შ.), რაც ამჟამად ბევრ სკოლას არ აქვს. სკოლების დაფინანსების არსებული სისტემა, ე.ი. ვაუჩერების სისტემა, არ განაწილებს სკოლებს ისე, რომ დაინყონ მგ-ის პროგრამების განხორციელება, რადგან ის არ არის სახელმწიფოსაგან დაფინანსების მყარი საშუალება. საჭიროა გამოიყოს დამატებითი თანხები (მაგ. მასწავლებლების ხელფასი) სკოლებში მგ-ის რეფორმის მხარდაჭერისთვის, გარდამავალ პერიოდში მაინც.

პოლიტიკის მიზნები

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყურადღებას გაამახვილებს პოლიტიკის ძირითად სტრატეგიულ მიზნებზე, რომლებიც დაკავშირებულია ეთნიკური უმცირესობის ბავშვებისა და მოსწავლეების განათლებასა და ინტეგრაციასთან:

პოლიტიკის მიზანი №1: ეთნიკური უმცირესობის ბავშვებისა და მოსწავლეების ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარი უფლებით უზრუნველყოფა.

პოლიტიკის მიზანი №2: ეთნიკური უმცირესობების ბავშვებისა და მოსწავლეებისათვის კულტურული და ენობრივი იდენტურობის შენარჩუნება და განვითარება.

პოლიტიკის მიზანი №3: ეთნიკური უმცირესობების ბავშვებისა და მოსწავლეებისათვის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობის გაუმჯობესება და პოლიტიკასა თუ სოციალურ ცხოვრებაში და შრომის ბაზარში მათი წარმატებული ინტეგრაციის წინაპირობის შექმნა.

პოლიტიკის მიზანი №4: კულტურული მრავალფეროვნების მხარდაჭერა და განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფებს შორის ურთიერთგაგების ჩამოყალიბება განათლების გზით და ბავშვებისა და მოსწავლეების განვითარება ურთიერთპატივისცემის, ტოლერანტობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

პოლიტიკის მიზანი №5: სკოლებში სწავლისა და სწავლების ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ადგილობრივი საზოგადოების მოთხოვნებსა და პოლიტიკური, სოციალური სიტუაციის გაუმჯობესებაზე.

პოლიტიკის მიზანი №6: ყველა დაინტერესებული პირის სოციალური მონაწილეობისა და მოვალეობის გაზრდა, თანასწორი დამოკიდებულების ფორმირება და სოციალური დახმარების სისტემის განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ამ პოლიტიკის დანერგვას.

პოლიტიკის მიმართულებები და აქტივობები

პოლიტიკის ძირითადი მიზნები გატარებული იქნება შემდეგი მიმართულებით:

მიმართულება №1: პოლიტიკის გატარებისათვის ლეგალური გარანტიით უზრუნველყოფა კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის გზით, რაც მიღწეული იქნება:

- მგ-ის პოლიტიკის რეგულირების განვითარების მხარდაჭერით;
- მგ-ის პროგრამების შემუშავებითა და დამტკიცების მექანიზმის შექმნით;
- მგ-ის მოთხოვნების ინტეგრირებით მასწავლებელთა აკრედიტირების სისტემაში;
- მგ-ის მოთხოვნების ინტეგრირებით სკოლების აკრედიტირების სისტემაში.

მიმართულება №2: საგანმანათლებლო სისტემის ინსტიტუციური შესაძლებლობების გამოყენება სახელწიფო სტრუქტურებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული მექანიზმის შექმნით, რომელიც უზრუნველყოფს აქტივობების ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ კოორდინაციას ამ პოლიტიკის ფარგლებში იმ სამთავრობო ინსტიტუციებს შორის, რომლებიც ჩართული არიან საჯარო განათლების სისტემის ადმინისტრირებასა და მონიტორინგში. ეს მიღწეული იქნება:

- მგ-ს დანერგვისათვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ორგანიზაციული და ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოყენებით;
- მგ-ის პოლიტიკის დანერგვისა და კონკრეტული ფუნქციის დაკისრების მექანიზმის შექმნით;
- მგ-ის პოლიტიკის მონიტორინგის სისტემის შექმნით.

მიმართულება №3: ეთნიკური უმცირესობის ბავშვებისა და მოსწავლეების ინტეგრაციის პროცესის დანერგვისათვის განათლების აუცილებელი პირობებისა და საშუალებების შექმნის უზრუნველყოფა და მათი კულტურული იდენტურობის განვითარება. ამას შეიძლება ახლდეს კურიკულუმისა და შინაარსის ცვლილებები. ეს მიღწეული იქნება:

- შესაბამისი კურიკულუმის წარდგენითა და განვითარებით;
- შესაბამისი შეფასების სისტემის განვითარებით;
- მგ-ის მოთხოვნათა ინტეგრირებით შეფასების ეროვნულ სტანდარტულ სისტემაში;
- სკოლებში მგ-ის ხელშეწყობისათვის სახელმძღვანელოებითა და სხვა საჭირო საშუალებებით უზრუნველყოფით.

მიმართულება №4: მულტილინგვური და ინტერკულტურული საგანმანათლებლო პროგრამების დასანერგად საჭირო პედაგოგიური

და ადმინისტრაციული პერსონალის უზრუნველყოფა, რაც მიღწეული იქნება:

- მულტილინგვური და ინტერკულტურული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვისათვის მასწავლებელთა გადამზადებითა და უმაღლესი სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებელი და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემის შექმნით;

- სკოლის ადმინისტრაციის მომზადებით მგ-ის პროგრამების შექმნისა და დანერგვისათვის;

- რეგიონალურ საგანმანათლებლო რესურსცენტრებში საექსპერტო ჩვევების განვითარებით მგ-ის პროგრამების დასანერგად ჩართული სკოლების მხარდასაჭერად.

მიმართულება №5: პოლიტიკის მიზნების განსახორციელებლად არსებულ ვაუჩერულ სქემასთან და ზუსტ ფინანსურ პროექციასთან და ფინანსების დაგეგმვასთან მიმართებაში ეფექტური ფინანსური მექანიზმის უზრუნველყოფა მულტილინგვური და ინტერკულტურული განათლებისათვის, რაც მიღწეული იქნება:

- სკოლებში არსებული ფინანსური მექანიზმების გადახედვითა და გაუმჯობესებით, რაც სკოლებში მგ-ის პროგრამების შემუშავებასა და დანერგვას შეუწყობს ხელს;

- გარდამავალი პერიოდისთვის დამატებითი თანხების გადანაწილებით მგ-ის პროგრამების შექმნისა და პილოტირებისათვის;

- მგ-ის მასწავლებელთა პროფესიული დონის ასამაღლებელი პროგრამების შექმნისა და დანერგვისათვის სპეციალური თანხების გადანაწილებით;

- კურიკულუმისა და რესურსების გასაუმჯობესებლად სპეციალური თანხების გადანაწილებით.

მიმართულება №6: მგ-ის პოლიტიკის შექმნისას და გატარებისას, ასევე მგ-ს პროგრამების მონიტორინგის პროცესში და ეთნიკური უმცირესობების სოციალურ ინტეგრაციაზე მათი ზემოქმედების გამოსავლენად ისეთი სამოქალაქო (არასამთავრობო) ორგანიზაციების ჩართვა, რომლებიც წარმოადგენენ ეროვნულ უმცირესობებს, რაც მიღწეული იქნება:

- არსებული თანამშრომლობის მექანიზმების გაძლიერებით და მათი მომავალი განვითარებით, რომელიც დაფუძნებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა (უმცირესობათა საბჭო და სხვა) წარმომადგენელი ორგანიზაციების რეკომენდაციებზე;

- მგ-ის პოლიტიკის გატარებასა და შედეგებზე საზოგადოების პასუხისმგებლობის ზრდით;

- საზოგადოებრივი თვითშეგნების ორგანიზებით.

მიმართულება №7: ბავშვებისა და მოსწავლეების (ასევე ეთნიკური უმცირესობიდან), სასკოლო განათლების დამატებით სასწავლო გეგმებში ჩართვა, რაც მიღწეული იქნება:

კანონმდობა

• ისეთი სასკოლო და საზოგადო აქტივობების ფორმების შექმნით, რაც ხელს შეუწყობს მულტილინგვურ და ინტერკულტურულ განათლებას;

• სასკოლო და საზოგადო ხელშეწყობის სისტემების დაარსებით (როგორცაა გრანტების პროექტი, სტიპენდიები და ა.შ.), რაც ხელს შეუწყობს მულტილინგვურ და ინტერკულტურულ განათლებას.

აქტივობების, მოსალოდნელი შედეგებისა და ეფექტურობის ინდიკატორების დანვრილებითი აღწერილობა მოცემულია პოლიტიკის ნერგვის გეგმაში.

პოლიტიკის რეზულტატი

პოლიტიკის შედეგები (outcomes)

მულტილინგვური პოლიტიკის გატარების შედეგად მოსალოდნელია შემდეგი ძირითადი შედეგების მიღწევა:

1. საშუალო სკოლებში ეროვნულ უმცირესობათა ენების ხარისხის გაუმჯობესება;

2. ეროვნული უმცირესობიდან სტუდენტთა რაოდენობის ზრდა უმაღლეს სასწავლებლებში;

3. სახელმწიფო ენის ფლობის მაღალი დონე;

4. სკოლებში მართვის გაუმჯობესება და სოციალურ-პოლიტიკური რეფორმების დღის წესრიგში დაყენება საზოგადოებისა და სტუდენტების ინდივიდუალური მოთხოვნების შესაბამისად;

5. მულტილინგვური და ინტერკულტურული განათლების ექსპერტთა ზრდა ქვეყანაში;

6. სკოლებში უფრო პოზიტიური სასწავლო გარემო, რომელიც შედეგება სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეებისაგან;

7. უფრო დადებითი დამოკიდებულების გამომჟღავნება ეროვნულ უმცირესობათა საზოგადოებაში სოციალური ინტეგრირებისათვის.

8. ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ფართოდ მონაწილეობა დღის წესრიგში მდგარ რეფორმებში.

გატარებული პოლიტიკის ეფექტურობის ინდიკატორები

გატარებული პოლიტიკის შედეგები რაოდენობისა და ხარისხის მაჩვენებელთა ჯამით იზომება.

ჩადებული რესურსები/ინვესტირების ინდიკატორები (input):

• მულტილინგვური პრაქტიკის ტიპები სკოლებში (IN 1);

• სკოლებში გატარებული მულტილინგვური განათლების პროგრამების რაოდენობა (IN 2);

• მგ-ში მომზადებულ მასწავლებელთა რიცხვი (IN 3);

• ფინანსური რესურსები მგ-ის დასაწერგად (IN 4);

• მგ-ში დასაქმებულ პირთა პროფესიული ზრდა (IN 5).

შედეგის ინდიკატორები:

ნაციონალურ დონეზე -

• სკოლების მოთხოვნათა ზრდა მგ-ის პროგრამებში ჩასართველად (ON 1);

• მულტილინგვური განათლების პროგრამებში ჩართვა (რეგიონებში) (ON 2);

• სტუდენტთა მიღწევები ეროვნულ გამოცდებში (ON 3);

• უმაღლესი განათლების პროგრამებში ჩართვა (IN 4);

• უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა მგ-ის ტრენინგის პროგრამების რაოდენობა (ON 6);

• ეროვნულ უმცირესობათა სკოლებში მასწავლებლებისა და მასწავლებლების სახელმწიფო ენაში მომზადების აუცილებლობა (მასწავლებელთა და მოსწავლეთა რაოდენობა, ენის ფლობის დონეში დარწმუნება)(ON 7);

• ენობრივი ტრენინგები მოზარდთათვის (სახელმწიფო ენა) (ON 8);

• სკოლის მართვის გაუმჯობესება ეთნიკურ უმცირესობათა საგანმანათლებლო პრობლემებთან მიმართებაში (ON 9);

• ქვეყანაში პროფესიონალიზმის ზრდა (ექსპერტები იმ ინსტიტუციებში, სადაც ხორციელდება რომლებიც პოლიტიკის დანერგვა, ასევე ადგილობრივი ექსპერტები რეგიონებში) (ON 10);

• მგ-ის პოლიტიკა აღიარებულია განსაზღვრული ჯგუფისა და ფართო საზოგადოების მიერ (ON 11).

სკოლის დონეზე:

• მგ ჩართულია აკრედიტაციისა და სკოლების ხარისხის შეფასების სისტემებში (OS 1);

• სტუდენტთა მიღწევები, სახელმწიფო და უმცირესობათა ენებში მიღწევების ჩათვლით (OS 2);

• სტუდენტთა ჩართვა უმაღლესი განათლების პროგრამებში (OS 3);

• მოსწავლეთა, სტუდენტთა და მათი მშობლების კმაყოფილება განათლების პროგრამებით (OS 4);

• ადამიანთა რესურსების გაუმჯობესებული მართვა (მონაწილეობისა და ინიციატივის ზრდა) (OS 5),

• ფინანსური მართვის გაუმჯობესება (დამატებითი რესურსების მოძიებისა და მართვის შესაძლებლობა) (OS 6).

ცხრილი 1 გვიჩვენებს გატარებული პოლიტიკის ეფექტურობის მაჩვენებლებსა და მათ კავშირს მაჩვენებელთა შედეგებთან.

მოსალოდნელია, მგ-ის პოლიტიკას ექნება არაპირდაპირი ზემოქმედება სხვა დღის წერტილში მდგარ რეფორმებზეც, მაგალითად:

• თვითმმართველობის გაძლიერება და ლოკალური ადმინისტრაციული ერთეულების დემოკრატიული პროცესებისთვის ლოკალური უფლებამოსილი პირების მონაცვლეობით მეტად ხელსაყრელი, დემოკრატიული პირობების შექმნა;

• უმუშევრობისა და სიღატაკის შემცირება.

პოლიტიკის მონიტორინგი და შეფასება

პოლიტიკის მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელი ინ-

პანონაროძტი

ცხრილი 1: პოლიტიკის ეფექტურობის მაჩვენებლები:

პოლიტიკის ეფექტურობის ინდიკატორები	აღწერა	კავშირი პოლიტიკის შედეგებთან
ჩადებული რესურსების ინდიკატორები (input)		
IN 1- მულტილინგუარი პრაქტიკის ტიპები სკოლებში	მარკეტული აღნიშნავს სკოლაში გატარებული მულტილინგუარი განათლების მოდელის ნაირსახეობებს (პროგრამების ტიპებს)	1,8
IN 2- სკოლებში გატარებული მულტილინგუარი განათლების პროგრამების რაოდენობა	მარკეტული აღნიშნავს სკოლაში გატარებული მულტილინგუარი განათლების პროგრამების ნაირსახეობებს (წილედებით)	1,8
IN 3- მგ-ში მომზადებული მასწავლებელთა რიცხვი	მარკეტული აღნიშნავს მასწავლებელთა რიცხვს (წილედებით) მგ-ში პროფესიულ განვითარებათა პროგრამების გადარეგ.	1,4
IN 4- ენიანხური რესურსები მგ-ის დახანგრად	მარკეტული აღნიშნავს მგ-ისთვის ხელმისაწვდომი სახელმწიფო ან სხვა ბიუჯეტის რაოდენობას (კატეგორიის მიხედვით)	4
IN 5- ადამიანთა ქმედითურობის რაოდენობა მგ-ის დახანგრად	მარკეტული აღნიშნავს მგ-ის დახანგრად ადამიანთა გამოცდილების რაოდენობას (მასწავლებელთა გარდა— აღმნიშნავს რაოდენობას, ექსპერტებს, ტრენერებს და სხვა).	5
შედეგის ინდიკატორები (ნატიონალური დონე) outcome		
ON 1- სკოლების მოთხოვნის რაოდენობა მგ-ის პროგრამებში ჩახართავად	მარკეტული აღნიშნულია სკოლების მოთხოვნის (წილედების) რაოდენობის რაოდენობა პროგრამებში ჩართავად	8
ON 2- მულტილინგუარი განათლების პროგრამებში ჩართვა (რეგისტრაცია)	ამ მარკეტული აღნიშნულია მულტილინგუარი განათლების პროგრამებში ჩართული სკოლათა რაოდენობა (წილედებით) სკოლების	4,8
ON 3- სტუდენტთა მიღწევები ეროვნულ გამოცდებში	ამ მარკეტული აღნიშნულია ეროვნულ ცენტრალიზებულ გამოცდებში სტუდენტთა შედეგები	3
ON 4- უმაღლესი განათლების პროგრამებში ჩართვა	ამ მარკეტული აღნიშნულია უმაღლესი განათლების პროგრამებში ჩართული სტუდენტების რაოდენობა (წილედებით)	2
ON 5- მგ-ში მასწავლებლების მომზადებული პროგრამების რაოდენობა	ამ მარკეტული აღნიშნულია უმაღლესი მასწავლებლების მიერ დანერგული მგ-ის მასწავლებელთა მომზადებული პროგრამების (ტიპები, ხაზები)	5
ON 6- ეროვნული უმცირესობათა სკოლებში მასწავლებლების და მასწავლებლების სახელმწიფო ენაში მომზადების ხარისხი	ამ მარკეტული აღნიშნულია სახელმწიფო ენის ცოდნის მსურველ მასწავლებელთა და მომწოდებელთა რიცხვი ენის ცოდნის დონის თვითშეფასება	3
ON 7- ენაში ზრდასრულია მომზადება (სახელმწიფო ენა)	ამ მარკეტული აღნიშნულია ზრდასრულია სახელმწიფო ენაში მომზადების რაოდენობა (სახელმწიფო ენაში დამატებით, თუ კერძო მომზადებით)	3

<p>ON 8 - გაუმჯობესებული სკოლის მენეჯმენტ ეფექტიანობის უმცირეს ხარისხს განსაზღვრის პრიორიტეტული მიზანშეწონი</p>	<p>ამ ინდიკატორით აღწერილი სკოლის დარეგულირების ან სხვა თანამშრომლების რაოდენობის, რომლებზეც მენეჯმენტის პრიორიტეტული მიზანშეწონი განისაზღვრება.</p>	<p>4</p>
<p>ON 9- მენეჯმენტის ადგილობრივი ექსპერტების რიცხვის ზრდა</p>	<p>ამ ინდიკატორით ნაჩვენებია მოსალოდნელი ექსპერტების სხვა თანამშრომლების რიცხვი</p>	<p>5</p>
<p>ON 10- მენეჯმენტის პოლიტიკა აღიარებული და ხელშეწყობილი უნდა იქონიებდეს და ფართოდ სარგებლობს მიერ</p>	<p>ამ ინდიკატორით ნაჩვენებია დონის განსაზღვრული უფლებები მენეჯმენტის პოლიტიკის შედეგები (%)</p>	<p>7</p>
<p>შედეგის ინდიკატორები (სკოლის დონე) outcome</p>		
<p>OS 1- მენეჯმენტის სკოლის აკრედიტაციის და ხარისხის შეფასების სისტემაში</p>	<p>ამ ინდიკატორით ნაჩვენებია შედეგის აკრედიტაციის სკოლის აკრედიტაციის მოთხოვნებით კმაყოფილების (%) სკოლების რიცხვი</p>	<p>4,1</p>
<p>OS 2- სტრუქტურული მიდევნების, სახელმწიფო და უმცირეს ხარისხის მიდევნების ჩათვლით</p>	<p>ამ ინდიკატორით ნაჩვენებია სტრუქტურული მიდევნების სახელმწიფო და უმცირეს ხარისხის მიდევნების (სკოლის შეფასების, ეროვნული ცენტრალიზებული შეფასების შედეგები)</p>	<p>3</p>
<p>OS 3 - სტრუქტურული ჩართვა უმაღლესი ხარისხის პრიორიტეტული მიზანშეწონის</p>	<p>ამ ინდიკატორით ნაჩვენებია უმაღლესი ხარისხის პრიორიტეტული მიზანშეწონის განხორციელების მქონე (ახევრე სტრუქტურების, როგორც ეროვნული უმცირესობის განვითარების) პირთა რაოდენობა.</p>	<p>2</p>
<p>OS 4- განათლების პრიორიტეტული მიზანშეწონის, სტრუქტურული და მათი მშობლების კმაყოფილება</p>	<p>ამ ინდიკატორით ნაჩვენებია მოსწავლეების და მშობლების ხასკოლო განათლების პრიორიტეტული კმაყოფილების დონე (მოსწავლეები/სტრუქტურული და მშობლები, როგორც ხასკოლო აკრედიტაციის/შეფასების პრიორიტეტული მიზანშეწონის)</p>	<p>6</p>
<p>OS 5 - აღმართული რეზურვის გაუმჯობესებული მენეჯმენტის (მოწოდების ხარისხის და ინდიკატორის ზრდა)</p>	<p>ამ ინდიკატორით ნაჩვენებია სკოლების მანაჯერული და სხვადასხვა სკოლის თანამშრომლებთან მოწოდების რაოდენობა თანამშრომლების რაოდენობის (უბანი, რეგიონი ან სახელმწიფო დონე) (%)</p>	<p>4,8</p>
<p>OS 6 - ფინანსური მენეჯმენტის გაუმჯობესება (ფინანსური რეზურვის მითითების და მართვის შესაძლებლობა)</p>	<p>ამ ინდიკატორით ნაჩვენებია სკოლების მიერ მენეჯმენტის ფინანსური დამართვის ფინანსების (%) ზრდის ჩვენება.</p>	<p>4</p>

სტიტიტიტიტი

განათლების სამინისტროს პროგრამების დეპარტამენტის ინტეგრაციის პროგრამები პასუხისმგებლობას იღებენ მულტილინგუური განათლების პოლიტიკის დანერგვის გეგმის მონიტორინგისა და შეფასებისათვის. ინტეგრაციის პროგრამა თვალყურს მიადევნებს ამ პოლიტიკის გატარებას იმ ინდიკატორების გამოყენებით, რომლებიც ჩამოყალიბდა

პანონაროქტი

საწყის ეტაპზე და ჩაერთო პოლიტიკის გატარების გეგმაში. დამატებით, ინტეგრაციის პროგრამა პასუხისმგებელია, რომ შექმნას და დანერგოს ფუნქციური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ეროვნულ უმცირესობებში ამ პრობლემით დაინტერესებულმა წრეებმა მონაწილეობა მიიღონ მულტილინგვური განათლების პროგრამების დამუშავებასა და მათ განხორციელებაში და გააკონტროლონ ამ პროგრამების იმპაქტი ეთნიკური უმცირესობების სოციალურ ინტეგრაციაზე.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამული დეპარტამენტის, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისა და ნაციონალური აკრედიტაციის ცენტრის ექსპერტთა სამუშაო ჯგუფი უნდა შექმნას იმისათვის, რომ დროულად უზრუნველყოს პოლიტიკასთან დაკავშირებული აქტივობების დანერგვის დაგეგმვისა და გადამწყვეტილების მიღების პროცესი.

სკოლები პასუხისმგებელი იქნებიან პოლიტიკის გატარების მონიტორინგსა და შეფასებაზე, რისთვისაც გამოყენებული იქნება სტანდარტები და ინდიკატორები, რომლებიც სკოლების აკრედიტაციის ინსტრუქციებში გამოიყენება. მულტილინგვური განათლების პროგრამების დანერგვის შედეგები უნდა აღინუსხოს სკოლების ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშში.

ეროვნული აკრედიტაციის ცენტრი უზრუნველყოფს მულტილინგვური განათლების პროგრამების დანერგვას, როგორც სკოლების აკრედიტაციის პროცესის ნაწილს.

პოლიტიკის მონიტორინგი და შეფასება

განათლების მინისტრი პასუხისმგებელი იქნება პოლიტიკის დანერგვის მართვაზე და უზრუნველყოფს ეთნიკური უმცირესობების უშუალო მონაწილეობას ამ პოლიტიკის მონიტორინგსა და შეფასებაში ომბუდსმენის ოფისში 2008 წლის 28 ივნისს რატიფიცირებულ პრეზიდენტის ტოლერანტობისა და ინტეგრაციის საბჭოსა და ეთნიკური უმცირესობების საბჭოს ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე.

მემორანდუმში უზრუნველყოფს პრეზიდენტის საბჭოსა და ეთნიკური უმცირესობების საბჭოს თანამშრომლობას საქართველოში ეთნიკური უმცირესობების უფლებათა დაცვის საკითხში და შეიმუშავებს პოლიტიკის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს, რომელშიც მოიაზრება საზოგადოებრივი დისკუსიები, რეკომენდაციების შემუშავება და მათზე დაფუძნებული პოლიტიკის დანერგვის გეგმის განხილვა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამული დეპარტამენტის ინტეგრაციის პროგრამა პასუხისმგებელი იქნება მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესებაზე, შეფასების ორგანიზებასა და შედეგების მოხსენებაზე. პროგრამების დეპარტამენტის ინტეგრაციის პროგრამა პასუხისმგებელი იქნება პოლიტიკის დანერგვის მიმდ-

ნარეობაზე და განსახილველად წარმოადგენს რაპორტს პრეზიდენტის ტოლერანტობისა და ინტეგრაციის საბჭოსა და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოში და უზრუნველყოფს პოლიტიკის დანერგვის გეგმის შესახებ გამომხმაურების შეგროვებას და მის დამუშავებას.

განათლების სამინისტროს ანალიტიკურმა დეპარტამენტმა EMIS-ის საშუალებით უნდა უზრუნველყოს საჭირო ინფორმაციის მიწოდება, პოლიტიკის გატარებისა და ეფექტური მაჩვენებლების მისაღწევად. ამ მონაცემთა წყაროები გამოყენებულ უნდა იქნას იმისათვის, რომ უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება პოლიტიკის მონიტორინგისა და შეფასებისათვის:

- მასწავლებელთა რეგისტრაციისა და სერტიფიკაციის მონაცემები;
- სკოლის აკრედიტირებისა და შეფასების მონაცემები;
- მოსწავლეთა ეროვნული გამოცდებისა და ტესტირებების შედეგები;
- სახელმწიფო ბიუჯეტის მიმოხილვა /აუდიტი/ ;
- უმაღლესი განათლების ინსტიტუტების სარეგისტრაციო მონაცემთა ბაზები;
- ინფორმაცია მასწავლებლის პროფესიულ განვითარებაზე;
- საზოგადოების გამოკვლევა და სხვა გამოკვლევები;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და პოლიტიკის გამტარებელმა სხვა ინსტიტუციებმა, რომლებსაც აქვთ სხვა მონაცემები, უნდა უზრუნველყონ მათი ამოქმედება.

ინტეგრაციის პროგრამის მიერ მომზადებული პირველი მოხსენება მოსალოდნელია 2010 წელს და შემდეგ მომზადდება ყოველწლიურად.

პოლიტიკის შეფასების შუა პერიოდი ივარაუდება 2013 წლის დასაწყისში, ხოლო საბოლოო შეფასება დაგეგმილია 2015 წელს. პოლიტიკის გატარების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად რეკომენდირებულია ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მოხდეს პოლიტიკის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში - განახლება, შედეგებისა და მაჩვენებლების შეჯამება წინა შეფასებების შედეგებზე დაყრდნობით.

და ბოლოს, ხანგრძლივადიანი პოლიტიკის შეფასება, მაგალითად, პოლიტიკის იმპაქტის ანალიზი მიზნობრივ ჯგუფებზე, ისევე, როგორც პოლიტიკის საფასურის ეფექტურობის ანალიზი რეკომენდირებულია პირველი ციკლის (თორმეტი წლის) შემდეგ, მას შემდეგ, რაც მულტი-ლინგვური განათლების პროგრამების დანერგვა დასრულდება.

შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია

პროექტი

შესავალი

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია შემუშავდა საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 8 აგვისტოს განკარგულების¹ შესაბამისად. ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევის მიზნით დოკუმენტის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილი იყო ყველა დაინტერესებული პირის, მათ შორის სხვადასხვა პოლიტიკური, სოციალური, რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების მონაწილეობა.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის ძირითადი მიზანია დემოკრატიული, კონსოლიდირებული და საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული სამოქალაქო საზოგადოების შექმნის ხელშეწყობა, რომელიც მრავალფეროვნებას საკუთარი ძლიერების წყაროდ მიიჩნევს და ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფს საკუთარი იდენტობის შენარჩუნებისა და განვითარების შესაძლებლობით.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციით განისაზღვრება სახელმწიფო სტრატეგია და ამოცანები ექვსი ძირითადი მიმართულებით: კანონის უზენაესობა, განათლება და სახელმწიფო ენა, მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა, ეკონომიკური და რეგიონული ინტეგრაცია, კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის განხორციელება არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ რეგიონებით, სადაც ტრადიციულად დიდი რაოდენობით არიან დასახლებულნი ეთნიკური უმცირესობები. თუმცა განსაკუთრებული დახმარება გაენევათ რეგიონებს, რომლებიც საჭიროებს სამოქალაქო ინტეგრაციის სპეციფიკური პოლიტიკის გატარებას. შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის მოქმედება სრულად გავრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მცხოვრებ აფხაზებსა და ოსებზე, ხოლო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონშიც.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონ-

¹“შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების შესახებ,” №639.

ცეფციის აღსრულების მთავარი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დახმარება.

სამართლებრივი საფუძვლები

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, რომელიც აღიარებს ყველა ადამიანის თანასწორობას კანონის წინაშე განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, რელიგიისა, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილებისა და უფლებას, განავითაროს თავისი კულტურა თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე და ისარგებლოს მშობლიური ენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია აგრეთვე ეფუძნება შემდეგ საერთაშორისო შეთანხმებებსა და რეკომენდაციებს, რომლებსაც საქართველო შეუერთდა ან მომავალში შეუერთდება:

- გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
- გენოციდის დანაშაულის წინააღმდეგ წინასწარი ზომების მიღებისა და გენოციდისთვის დასჯის შესახებ საერთაშორისო კონვენცია;
- სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი;
- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი;
- შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის საერთაშორისო კონვენცია;
- ევროპის კულტურული კონვენცია;
- რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ საერთაშორისო კონვენცია;
- აპარტიდის დანაშაულის აღკვეთისა და მისი დასჯის შესახებ საერთაშორისო კონვენცია;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია;
- ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტია;
- ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო კონვენცია;
- ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებს ან ხელისუფლების ორგანოებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ სახელმძღვანელო ევროპული კონვენცია;
- რეგიონული და უმცირესობების ენების ევროპული ქარტია.
- ჰააგის რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა განათლების უფლებების შესახებ.
- ოსლოს რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა ენობრივი უფლებების შესახებ.
- ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნულ უმცირესობათა ეფექტური მონაწილეობის შესახებ.

მიზნები

კანონმდებლობის

შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის მიზნებია:

- შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოს შექმნა საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ ჯგუფებს შორის.

- საქართველოს ყველა მოქალაქის უზრუნველყოფა თანაბარი შესაძლებლობებით, ისარგებლოს სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური უფლებებით განურჩევლად ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური კუთვნილებისა.

- აუცილებელი პირობების შექმნა საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში უმცირესობების ეფექტური მონაწილეობისთვის.

- უმცირესობების წარმომადგენელთა მიერ განათლების ყველა საფეხურის თანაბარი ხელმისაწვდომობის, საკუთარ ენაზე განათლების მიღებისა და კომუნიკაციის უფლების უზრუნველყოფა.

- უმცირესობების კულტურის განვითარების ხელშეწყობა, მათი თვითმყოფადობის ძირითადი ელემენტების, კერძოდ, რელიგიის, ენის, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება.

პრინციპები

- შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის პრინციპებია:

- საქართველოს ყველა მოქალაქის თანასწორობა, ანტიდისკრიმინაცია და შემწყნარებლობის ტრადიციის განმტკიცება.

- ბალანსის დაცვა სამოქალაქო ინტეგრაციასა და უმცირესობების იდენტობის დაცვას შორის, სამოქალაქო ინტეგრაციის ნებაყოფლობითობა და იძულებითი ასიმილაციის დაუშვებლობა.

- უმცირესობების წარმომადგენლების უფლება, თავისუფლად აირჩიონ, გავრცელდეს თუ არა მათზე უმცირესობების წარმომადგენლების სტატუსი და ისარგებლონ თუ არა ამ სტატუსთან დაკავშირებული უფლებებით.

- უმცირესობების წარმომადგენლების უფლება, ისარგებლონ საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით დადგენილი უფლებებითა და თავისუფლებებით როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად.

- უმცირესობების წარმომადგენლების ეფექტური მონაწილეობა ყველა იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება მათი იდენტობის დაცვასა და განვითარებას.

- შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნულ კონცეფციის აღსრულებასთან დაკავშირებული სახელმწიფო ფუნქციების ნაწილობრივ დელეგირება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის.

კანონის უზენაესობა

კანონის უზენაესობა შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა, რომელიც გულისხმობს ეთნიკურ, რელიგიურ, კულტურულ ან ენობრივ ნიადაგზე დისკრიმინაციის სანინაალმდეგო ეფექტური მექანიზმების შექმნას. კერძოდ, ის უზრუნველყოფს შესაბამისი კანონმდებლობისა და ჯეროვანი პროცედურების არსებობას ანტიდისკრიმინაციული მოთხოვნების იდენტიფიცირებისა და მათზე სწრაფი რეაგირებისათვის სასამართლოს ან სხვა მექანიზმების მეშვეობით.

ამოცანები

1. საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან.
2. უმცირესობების მიერ მართლმსაჯულების სისტემის ეფექტური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
3. დისკრიმინაციის სანინაალმდეგო კანონმდებლობისა და საჯარო სამსახურში შიდასაუნყებო პროცედურების გაძლიერება და ეფექტური აღსრულება.
4. საჯარო მოსამსახურეების ცნობიერების ამაღლება უმცირესობების უფლებებსა და ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაზე.
5. რასობრივ, რელიგიურ, ეროვნულ ან ეთნიკურ ნიადაგზე ჩადენილ დანაშაულთა ეფექტური გამოძიება.

განათლება და სახელმწიფო ენა

სამოქალაქო ინტეგრაციის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოწვევაა ეთნიკური უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის არცოდნა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მათ დასაქმებას საჯარო სამსახურში და მონაწილეობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 2004 წლიდან განათლების სფეროში დანყებული რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ეთნიკურ უმცირესობებში სახელმწიფო ენის ცოდნის ხარისხის ამაღლება. სახელმწიფო ენის სრულფასოვანი შესწავლა და მიღებული ცოდნის რეალიზება გრძელვადიანი პერსპექტივაა. თუმცა სანყის ეტაპზე აუცილებელია ისეთი სპეციფიკური ღონისძიებების გატარება, რომლებიც, სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი ხარისხის მიუხედავად, უზრუნველყოფს უმცირესობების ჩართულობას ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში და აამაღლებს მათ მოტივაციას, დაეუფლონ ქართულ ენას.

ამოცანები

1. უმცირესობების წარმომადგენლების მიერ ქართული ენის შესწავლის ხელშეწყობა.
2. ქართულენოვანი მოსახლეობის მიერ უმცირესობების ენების შეს-

პანონაროქტი

წავლის ხელშეწყობა.

3. უმცირესობების წარმომადგენლების მიერ საკუთარ ენაზე განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

4. უმცირესობების ენების, როგორც ღირებულების პოპულარიზაცია.

5. უმცირესობების წარმომადგენლების მიერ კერძო განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.

6. უმცირესობების წარმომადგენლების მიერ უმაღლესი და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

ეთნიკური უმცირესობების ინფორმირების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ, რომლის ეთერშიც 2005 წლიდან გადის საინფორმაციო პროგრამები ეთნიკური უმცირესობების ენებზე (აფხაზურად, ოსურად, სომხურად, აზერბაიჯანულად და რუსულად). უკანასკნელი საკანონმდებლო ცვლილებების მიხედვით, საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული ბიუჯეტის არანაკლებ 25% უნდა მოხმარდეს უმცირესობების ენაზე მომზადებული პროგრამების გადაცემას. სახელმწიფო ენის ცოდნის დაბალი დონისა და ქართული სამაუწყებლო მედიის ძირითადად ქართულენოვანი მაუწყებლობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია სპეციფიკური ღონისძიებების გატარება ეთნიკური უმცირესობების ჯეროვანი ინფორმირების უზრუნველსაყოფად.

ამოცანები

1. ტრადიციულად დიდი რაოდენობით უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ეროვნული და შესაბამისი სათემო მაუწყებლობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

2. უმცირესობების ენებზე სამაუწყებლო პროგრამების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

3. სამაუწყებლო პროგრამებში უმცირესობების გაშუქებისა და უმცირესობების წარმომადგენელთა მონაწილეობის უზრუნველყოფა.

4. უმცირესობების ენებზე ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის განვითარების ხელშეწყობა.

5. მედიაში შემწყნარებლობისა და კულტურული პლურალიზმის დამკვიდრების ხელშეწყობა.

პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა

უმცირესობების პოლიტიკური ინტეგრაციისა და სამოქალაქო მონაწილეობის დონის ამაღლების მიზნით ბოლო წლებში ტარდება საჯარო მოხელის კვალიფიკაციის ამაღლების ტრენინგები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის; ტრადიციულად დიდი რაოდენობით

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში მიმდინარეობს მათი ნახალისება საჯარო სამსახურში რეკრუტირებისას; საარჩევნო მასალები და ბიულეტენები ქვეყნდება ეთნიკური უმცირესობების ენებზე და შექმნილია კონკურენტული გარემო პოლიტიკური პარტიების მიერ საარჩევნო კამპანიის წარმოებისთვის. ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური ჩართვა მეტწილად დამოკიდებული იქნება სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებასა და სანყის ეტაპზე სახელმწიფოს მიერ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების ნახალისებაზე, დაიწყონ მუშაობა საჯარო სამსახურში.

ამოცანები

1. საჯარო სამსახურში დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.
2. არჩევით სახელმწიფო ორგანოებში უმცირესობების თანაბარი წარმომადგენლობისა და თანასწორი საარჩევნო უფლების უზრუნველყოფა.
3. გადანყვეტილებების მიღების პროცესში უმცირესობების მონაწილეობის გაუმჯობესება.

სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია

